



ისტორიული გეგმვები

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2014 წ. აგვისტო, №8 (49), ფასი 3 ლარი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-ივერტინსკი



მისი, როგორც წინდხედული
მხედართმთავრის,
ავტორიტატი თანდათან
ზენიტს აღწევდა. **4**
მის გადაწყვეტილებებს
ანგარიშს უწევდნენ,
მის აზრს ითვალისწინებდა
მთავარსარდლობა და სერიად
თვით იმპერატორის კი...

პირველი მსოფლიო ომი და საქართველო **9**

რაფიელ ერისთავი — 190

„რაფიელ ერისთავი ჩვენი
დავრდომილი ერის
გამოფხიზლებას, ფეხზე
წამოყენებას ცდილობდა,
ნახევარი საუკუნე იმის
ცდაში გაატარა, **31**
სიტყვით თუ საქმით
ქართველებსთვის
შეებნებინებინა მისი
როლი სხვა ერთა შორის,
მისი დანიშნულება.“



22 გარონტი
ქიქოძე —
ეროვნული
იდეოლოგი

23 ენა და
ეროვნული
ენერგია

25 რა
სენსაციური
ჩანაწერები
დაგვიტოვა
საკვი
სორაშაშა?

35 გურამ
ჩიქოძე-
შვილი — 80

36 ლილა
აბაშიძე —
ქართული
ქინოს
პარსკვლავი

ჩიის დარგში
არსებული
მდგომარე-
ობის

38 რაობის
მიმონილვა
და მხიკა
ბიზნესის
განვითარ-
ების რა-
ღური წინა-
დადება

«აღმოსავ-
ლეთის
საქმის»
41 XIX
საუკუნის
20-იან
წლებში და
აფხაზეთი

«საქართველო
— ტკბილი
47 სიზმრის
მშვენიერი
დასასრული»



სარჩევი

სახელმწიფო ქართულენოვანი

■ პლექსანდრა კონსტანტინეს ქე ბაგრატიონ-ივერიატინსკი	4
100 წლის წინათ	
■ პირველი მსოფლიო ომი და საქართველო	9
მარადიული საფიქრალი	
■ გერონტი ქიქოძე – ეროვნული იდეოლოგი	22
■ ენა და ეროვნული ენერჯია	23
სელნაფერები გვიყვებოდნენ	
■ რა სენსაციური ჩანაწერები დაგვიტოვა აქაქი სოკრავე?	25
იუბილე	
■ რაფიელ ერისთავი – 190	31
■ გურამ რჩულიანი – 80	35
სსრმსა	
■ ლეილა აბაშიძე – ქართული ქინოს ვარსკვლავი	36
ჩვენი ფოსტა	
■ ჩინოვანი არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და მხიარული ბიზნესის განვითარების რეალური წინადადებები	38
ჩვენი ისტორია	
■ «აღმოსავლეთის საკითხი» XIX საუკუნის 20-იან წლებში და აწხალეთი	41
მეგობრობა გზად და ხიდად	
■ «საქართველო – ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული»	47
სელმწიფო	
■ საქართველოს მხატვარი – ვლადისლავ სტანკოვიჩი	50

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბაკ) 050 (479.22)
0-892

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაბრატიონ-იპეჩატინსკი (1837-1900)

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იყო სოლომონ მეორის მიერ იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული მეფის — დავით გიორგის ძის შვილის — კონსტანტინე დავითის ძის უმცროსი შვილი მესამე ცოლისაგან (ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვსაგან). იგი დაიბადა პეტერბურგში 1837 წელს. პატარა ალექსანდრე 8 წლისა ცარ იყო, როცა 1844 წელს მამა გარდაეცვალა. კონსტანტინე დავითის ძე სიკვდილის წინ იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ 1842 წელს დამბლადაცემული გოლიცინის საავადმყოფოდან ძლივს გადაიყვანეს დონის მონასტრის ახლოს, დონის ქუჩაზე უხმაურო ადგილას მდებარე წყნარ ბინაში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი გაატარა მწოლიარემ.



ოჯახის ხელმოკლეობის მიზეზი ისიც იყო, რომ პენსიას, რომელსაც კონსტანტინე დავითის ძის დედა, იმერეთის ყოფილი დედოფალი ანა ლეულოვსკა, თავის შვილსა და მის ოჯახს ახმარდა. მამის გარდაცვალების შემდეგ პენსია, 7000 მანეთი, რომელსაც კონსტანტინე დავითის ძე იღებდა სიცოცხლეში, დაქვრივებულ მეუღლესა და სამივე შვილს გაუნაწილდა, იმპერატორის მითითებით. ქვრივ ეკატერინე სერგის ასულ სტრახოვსას მიეცა 2642 მანეთი. დანარჩენი — 4358 მანეთი — სამივე ძმას: კონსტანტინეს, ნიკოლოზსა და ალექსანდრეს თანაბრად გაუნაწილეს.

მამის პენსიის დანაწილებისთანავე მცირეწლოვან ძმებს მეურვედ მოსკოვის საქალაქო საავადმყოფოს ბუხალტერი, კოლეგიის ყოფილი ასესორი — იაგორ ივანეს ძე სიროტინინი დაუნიშნეს, რომელიც კეთილი და უაღრესად პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. იგი დიდ ყურადღებას იჩენდა დაობლებული ძმებისადმი და ეკონომიურად ახარჯებდა კუთვნილი პენსიების ნაწილს, ნაწილს კი უგროვებდა და უნახავდა მომავლისთვის. როგორც ყველა ბატონიშვილი, ალექსანდრეც პაჟთა კორპუსში შეიყვანეს, საიდანაც 1855

წელს პრაპორშჩიკად გაამწესეს ცხენოსანთა გვარდიულ დივიზიაში. ეს დივიზია პეტერბურგში იდგა უმოქმედოდ, რის გამოც მალე მოსწყინდა ალექსანდრეს იქ სამსახური და მოინდომა კავკასიის მოქმედ არმიაში გადასვლა, რომელიც ბრძოლებს აწარმოებდა შამილის წინააღმდეგ. მაშინდელი მეფისნაცვალის, თავადი ბარიატინსკის, შეჰპირდა ალექსანდრეს, რომ, თუ კავკასიაში განაწესებდნენ სამხედრო სამსახურში, მას თავის ადიუტანტად აიყვანდა. მეფისნაცვლის — თავად ბარიატინსკის რჩევით, ალექსანდრეს ჯერ კავკასიის მოქმედ არმიაში უნდა ემსახურა რამდენიმე ხანს, შემდეგ კი, დაპირებისამებრ, თავის ადიუტანტად აიყვანდა. ახალგაზრდა ალექსანდრემ დაიჯერა მეფისნაცვლის რჩევა-დაპირება და კავკასიაში მოქმედ გრენადერთა მე-14 პოლკში ჩაირიცხა პორუჩიკად.

ბარიატინსკის ადიუტანტობა ალექსანდრეს, ალბათ, იმიტომ უფრო უნდოდა, რომ იგი სამსახურს გააგრძელებდა და იცხოვრებდა მისთვის ჯერ კიდევ უნახავ მშობლიურ მხარეში. მან თავი გამოიჩინა ჩეჩნებისა და, განსაკუთრებით, დაღესტნელების წინააღმდეგ ბრძოლებში. ახალ-

გაზრდა პორუჩიკის მთიელთა წინააღმდეგ თავდადებული და მაცური მოქმედება მალე შენიშნა სამხედრო ხელმძღვანელობამ და 1858 წლის 18 ივლისს მას **შტაბს-კაპიტნობა** ებოძა. ბრძოლებში აქტიური მონაწილეობის პარალელურად იგი მოუთმენლად ელოდა მეფისნაცვლის — თავად ბარიატინსკის ადიუტანტობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ შეასრულა მიცემული სიტყვა. ალექსანდრემ უხერხულად ჩათვალა ბარიატინსკის წყალობის ლოდინი, სამხედრო სამსახურიდან გავიდა და გულმოსული საზღვარგარეთ გაემგზავრა.

მოსალოდნელი იყო, რომ იგი, მეფისნაცვლის უპირობით განაწყენებული, სამხედრო სამსახურს აღარ დაუბრუნდებოდა, მაგრამ მალე პეტერბურგში მდგარ, იმავე ცხენოსანთა დივიზიას მიაშურა, რომელშიც პირველად იქნა განწესებული 1855 წელს. აქედან შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე აგრძელებს სწავლას ნიკოლაევის გენერალური შტაბის აკადემიაში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1862 წელს. აკადემიის დამ-



თავრების შემდეგ მისი სამსახურ-რეპრეზენტაციული კარიერა სწრაფად წარმართა. იმავე 1862 წელს იგი გენერალურ შტაბში იქნა დატოვებული. მალე კი, 1863 წელს პოლონეთში ეწევა სამხედრო სამსახურს. იქ ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა პოლონელთა დამშვიდებაში. **ერთგული და საზრიანი მოქმედებისათვის მას 1863 წელს ფლიგელ-ადიუტანტობა მისცეს.**

ალექსანდრემ თავისი ვაჟკაცობით, გაბედული და ჭკვიანური შორსმჭვრეტელობით იმდენად გაითქვა სახელი, რომ ზემდგომ ხელმძღვანელთა ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. **მეფისნაცვალმა ბერგმა 1867 წელს იგი ვარშავის გვარდიული ნაწილების შტაბის უფროსის მოადგილედ დანიშნა, ხოლო 1869 წელს გენერალ-მაიორის ჩინით მისი უდიდებულესობის ამაღლის წევრობა და ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსობა უბოძა. იმპერიის ერთგული სამსახურითა და მხედართმთავრული ნიჭით სახელგანთქმული ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1867 წელს მსროლელი ბატალიონების ინსპექტორად დაინიშნა.** ამ თანამდებობაზე იყო რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დაწყებისას.

თურქეთთან საომარი მოქმედების დაწყებისთანავე, გენერალ-მაიორი ალექსანდრე, როგორც იმპერიის ერთგული პირი და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელი, ბელგრადში გაიგზავნა, სერბეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისისა და, საერთოდ, ბრძოლისუნარიანობის შესამოწმებლად. ბელგრადში საჭირო მოქმედებებისა და სხვა სამუშაოს ჩატარების შემდეგ უკან დაბრუნებისას, თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაძრულ იმპერატორის ამაღლას შეუერთდა ქ. პლოვდისში. თურქეთის ჯარი ოსმან ფაშას ხელმძღვანელობით სწრაფად მოინევიდა წინ. საჭირო იყო რუსეთის არმიის დიდი შენაერთების გადაყვანა მდ. დუნაიზე, რაც ფრიად სასწრა-

ფო და აუცილებელ საქმეს წარმოადგენდა. ამ დიდად სერიოზული და სასწრაფო ოპერაციის დროულად შესრულება ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს დაევალა. ქართველმა გენერალმა კარგად შეასრულა ეს დავალება. ჯარი შეუფერხებლად იქნა გადაყვანილი მდ. დუნაიზე, რისთვისაც ალექსანდრემ იმპერატორის მადლობა დაიმსახურა. ალექსანდრეს მიერ შემოხსენებული დავალების დროულად შესრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საომარი მოქმედების შემდგომი წარმატებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მდ. დუნაიზე ჯარების გადაყვანა იმ დროს მოხდა, როცა ოსმან ფაშას ხელმძღვანელობით თურქეთის ჯარი განის გზით პლევნაში შეიჭრა და ბულგარეთში მყოფი რუსეთის არმიის შუაზე გაჭრას ლამობდა.

ოსმან ფაშამ ორჯერ სასტიკად დაამარცხა გენერალ კრიდნერისა და გენერალ სკობელევის შენაერთები, ორი თვის განმავლობაში შიშის ქვეშ ჰყავდა ბალკანეთში მყოფი რუსეთის არმია, თურქეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლებაში ინიციატივის ხელში ჩაგდებასათვის საჭირო იყო სწორი სტრატეგიული გეგმები და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელობა.

მდ. დუნაიზე ჯარის გადაყვანის შემდეგ ალექსანდრე ქვეითთა მეორე დივიზიის უფროსად დაინიშნა. იგი გაბედულად და თავდადებად იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ. 30 ივლისს პლევნაზე იერიშის მიტანისას, მას, იმპერატორის დავალებით, თვალყური უნდა ედევნებინა ბრძოლის მიმდინარეობისათვის. ბრძოლაში რუსეთის ჯარი დამარცხდა. ალექსანდრემ სწორად აღიქვა ბრძოლის ველზე დამარცხების მიზეზები. მალე, როცა იმპერატორმა პირადად გამოიძახა და ჰკითხა პლევნასთან დამარცხების მიზეზები, ალექსანდრემ ხუთი მიზეზი მოახსენა:

1. რუსეთის ჯარის სიმცირე, თურქეთის არმიასთან შედარებით;

2. მხედართმთავართა შორის

შეტევითი ოპერაციების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა;

3. ცალკეული მოიერიშე შენაერთების მეთაურთა ურთიერთ-შეუთანხმებელი მოქმედება;

4. კორპუსთა გენერლების უნებისყოფობა;

5. შეტევითი ოპერაციების მოუმზადებლობა.

იმპერატორს ძალიან მოეწონა პლევნასთან დამარცხების შესახებ ქართველი გენერლის მოუზრუნებელი, საფუძვლიანი და სწორი მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ პლევნას ოპერაცია პირველად უშედეგოდ დამთავრდა, ქართველი გენერლის მოქმედება და მისი ხელმძღვანელობით დივიზიის მიერ ჩატარებული ბრძოლები იმდენად მიზანსწრაფული და სტრატეგიულად გამართლებული იყო, რომ იგი დაჯილდოვდა „ოქროს ხმლით“, წარწერით „მამაცობისათვის“. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის სახელი და დიდება მთელი რუსეთის იმპერიაში გახდა ცნობილი. შემდგომში სწორედ მისი გეგმით აიღეს პლევნა. პლევნას აღებამდე, მისი გეგმით, საჭირო იყო ორი სტრატეგიული საყრდენის — მდ. დუნაიდან 60 კილომეტრის დაცილებით მდებარე ქ. ლოვჩასა და შემდეგ დუბნიაკის იერიშით აღება, რათა ოსმალეთის ჯარისთვის მოესპოთ კონსტანტინოპოლიდან მასშველი ჯარისა და სურსათ-სანოვანის მიღების საშუალება. ამასთანავე, ქ. ლოვჩას აღებით შეწყდებოდა კავშირი ოსმან ფაშას ჯარებსა და შიპკაზე მოიერიშე სულეიმან ფაშას შენაერთებს შორის. ქ. ლოვჩა მოხერხებულ სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელსაც რიფათ ფაშას მეთაურობით ექვსი ქვემეხით შეიარაღებული 12 ათასი მეზობლისგან შემდგარი გარნიზონი იცავდა.

ერთი სიტყვით, ქ. ლოვჩასა და დუბნიაკის დაკავებით შეიძლებოდა როგორც პლევნას აღება, ისე სარდლის ტყვედ ჩაგდება თავისი ჯარით.

ქ. ლოვჩას აღება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო.



სასწრაფოდ შეიქმნა 27-ათას მებრძოლიანი სპეციალური მოიერიშე რაზმი, რომელსაც გადაეცა 28 ქვემეხი. რაზმის ხელმძღვანელად ალექსანდრე დანიშნა. მან თავისი ახლობელი, სანდო და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელები მოიწვია ლოვჩას ასაღებად.

მოიერიშეთა მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა გენერალი სკობელევი, ხოლო მარცხენა ფრთას — გენერალი დობროვოლსკი. შტაბის უფროსად თავისი მეგობარი, ბრძოლებში გამოჩენილი და გამოცდილი პოლკოვნიკი პარენსოვი დანიშნა. ამრიგად, გაითვალისწინა რა პლევნასთან ბრძოლებში დაშვებული შეცდომები, ლოვჩას ალებით მალე გამარჯვებაც იზეიმა.

ლოვჩას ასაღებად ბრძოლა 1877 წლის 3 სექტემბერს დაიწყო, გათენებისას და 11-საათიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ — საღამოს ხუთ საათზე — ქალაქში ქართველი გენერლის რაზმი შევიდა. **თურქებმა 8200 მებრძოლი დაკარგეს მოკლულთა სახით. რაზმმა თურქეთის ჯარის ორი დროშა და დიდი რაოდენობის სამხედრო შეიარაღება იგდო ხელთ. ბრძოლის დამთავრების შემდეგ გენერალმა ლოვჩას ირგვლივ სამხედრო პოზიციები დაათვალიერა და ჯარს გამარჯვება მიულოცა.**

ლოვჩას ალებით კმაყოფილმა იმპერატორმა გენერალი წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. მისი, როგორც წინდახედული მხედართმ-

თავრის, ავტორიტეტი თანდათან ზენიტს აღწევდა.

მის გადაწყვეტილებაზე ანგარიშს უნავდნენ, მის აზრს ითვალისწინებდა მთავარსარდლობა და ხშირად თვით იმპერატორიც კი. როცა პლევნას ალების საკითხი დადგა დღის წესრიგში, 1877 წლის 10 სექტემბერს, ქართველი გენერალი სამხედრო საბჭოზე მიიწვიეს, როგორც პლევნას გარნიზონის ძლიერების მცოდნე და არსებული ვითარების სწორი შემფასებელი.


ალექსანდრემ ნათლად და სწორად დაახასიათა არსებული მდგომარეობა და პლევნაზე 10 სექტემბრისათვის დანიშნული იერიშის წინააღმდეგ წავიდა. მისი აზრით, ჯერ კიდევ მომზადება იყო საჭირო. სამხედრო ხელმძღვანელობა ჩქარობდა ოპერაციის ჩატარებას. მათ უნდოდათ, რაც შეიძლება მალე აეღოთ პლევნა, არსებულ საბრძოლო ვითარებას კი არ ითვალისწინებდნენ. გენერალმა საკმაოდ საფუძვლიანად და ავტორიტეტულად დაახასიათა ურთიერთმონინააღმდეგე ძალების შეფარდება, არსებული ვითარება და იერიშის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგე წავიდა. ალექსანდრეს საფუძვლიანი მოსაზრებანი არ მიიღეს და 10 სექტემბერს პლევნაზე იერიშის მიტანა გადაწყვიტეს. პლევნაზე იერიშის მიტანის პირველ ეტაპზე რუსეთის ჯარმა მცირეოდენ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ მალე ინიციატივა თურქთა ხელში გადავიდა. ორდღიანი ბრძოლა 1877

წლის 12 სექტემბერს რუსეთის ჯარის დამარცხებით დამთავრდა. რუსეთის ჯარმა დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ პლევნა კვლავ თურქთა ხელში დარჩა. **რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას ძვირად დაუჯდა ალექსანდრეს აზრის მიუღებლობა.**

პლევნას ალება კვლავ პირველ საკითხად იდგა დღის წესრიგში, მიუხედავად იმისა, რომ ლოვჩასა და დუბნიაკის ალებით ოსმან ფაშას გარნიზონი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ველარ იღებდნენ საჭირო სურსათ-სანოვავებს, ვერც ცოცხალი ძალების შევსებას და, საერთოდ, იზოლირებული აღმოჩნდნენ ახლომახლო პროვინციებისგან, მთავარსარდალი ომარ ფაშა მაინც განაგრძობდა წინააღმდეგობის განწევას. რუსეთის ჯარმა პირდაპირი იერიშით ვერ მიაღწია პლევნას ხელში ჩაგდებას. საჭირო იყო პლევნას ალყაში მოქცევა.

ამ მიზნის მისაღწევად კვლავ სპეციალური რაზმი შეიქმნა, რომლის შტაბის უფროსობა ალექსანდრეს დაეკისრა. ამ თანამდებობაზეც იგი ჩვეული ენერგიითა და შემართებით იღვწოდა რაზმის პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად და სურსათ-სანოვავის საჭირო რაოდენობის მოსამარაგებლად, რათა უკანასკნელი ცდა პლევნას ალებით დამთავრებულიყო. შტაბის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას, იგი ერთგული და სწორუპოვარი თანაშემწე იყო პლევნას ასაღებად სპეციალურად შექმნილი რაზმის უფროსის, გენერალ ტოტლებენისა.

ტოტლებენი მაღალ შეფასებას აძლევდა ალექსანდრეს საქმიანობას შტაბის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას. პლევნას ალების შემდეგ მისი ერთგული სამსახურის შესახებ გენერალი ტოტლებენი აღნიშნავდა: **„სექტემბერში პლევნასთან ჩემი ჩასვლისას, თქვენთვის ცნობილ რთულ ვითარებაში, შტაბის უფროსად თავადი იმერეთინსკი დანიშნეს, თავადმა მოკლე დროში ჩამოაყალიბა შტაბი; მისი შემად-**



ლოვჩას ალებით კმაყოფილმა იმპერატორმა გენერალი წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. მისი, როგორც წინდახედული მხედართმეთავრის, ავტორიტეტი თანდათან ზენიტს აღწევდა. მის გადაწყვეტილებაზე ანგარიშს უნავდნენ, მის აზრს ითვალისწინებდა მთავარსარდლობა და ხშირად თვით იმპერატორიც კი.



გენლობა საუკეთესო იყო; თავადის მეთაურობით იგი დღე და ღამე მუშაობდა, მხედველობაში მაქვს საქმის წარმატება. წინა იერიშების შედეგად საოცარი დანაკარგების გამო, ჯარი მოშლილი იყო, აუცილებელი იყო მისი წესრიგში მოყვანა, რაც მან საუკეთესოდ შეასრულა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, არმია უზრუნველყოფილ იქნა სურსათ-სანოვაგით, კორპუსებისა და ცალკეული რაზმების მეთაურობით; ყველა თავის დროზე დებულობდა დირექტივებს“.

პლევნას ალბანეთის ოს-მან ფაშას გარნიზონის ალყაში მოქცევის გაგმა თვით ალექსანდრე შაჰბინა. ამ გაგმის შესაბამისად თურქეთის გარნიზონს პლევნაში გარს შემოარტყნენ. პლევნა გაათავისუფლეს 1877 წლის 28 ნოემბერს. მისი ალბანის პირველი ორგანიზატორი და გმირი გენერალი ალექსანდრე პაპრატიონ-იმერეტინსკი იყო.

1878 წლის 29 ნოემბერს ალექსანდრე წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა; ეს ორდენი პირადად ხელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ გადასცა. რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა მისი მითითებით ალექსანდრეს ბრძოლებში განსაკუთრებული თავის გამოჩენისთვის **გენერალ-ლეიტენანტის** წოდება მიენიჭა. მისი ერთგული სამსახურით დიდად კმაყოფილი იყო გენერალი ე. ტოტლებენი, რომელიც აღფრთოვანებით სწერდა მთავარსარდალს: **„თავს ვალდებულად ვთვლი გაცნობით შტაბის უფროსის, თავად იმერეტინსკის დამსახურება; იგი ჩემი შეუცვლელი მოადგილე იყო იმ რთულ ვითარებაში, რომელიც 28 ნოემბერს წარმატებით დამთავრდა“.**

ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებში ალექსანდრემ ვაჟკაცისა და ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა. ერთ ბრძოლაში ორი ორდე-

ნიკოლოზ იმერეტინსკი საბანგებოდ უსვამდა ხაზს ამ მოვლენას: «ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებით ალექსანდრე თავისი სახელი ჩაწერა რუსეთის სამხედრო ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, წმინდა გიორგის ორდენების მფლობელთა ისტორიაში».

ნით — წმინდა გიორგის IV და III ხარისხის ორდენებით — დაჯილდოება რუსეთის სამხედრო ისტორიაში იშვიათი შემთხვევა იყო. ნიკოლოზ იმერეტინსკი საგანგებოდ უსვამდა ხაზს ამ მოვლენას: **„ლოვჩასა და პლევნასთან ბრძოლებით ალექსანდრემ თავისი სახელი ჩაწერა რუსეთის სამხედრო ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, წმინდა გიორგის ორდენების მფლობელთა ისტორიაში“.** ორმოცი წლის ქართველმა გენერალმა ისეთ აღიარებას მიიღწია, რომ მის სახელსა და დამსახურებას იმ დროის თითქმის ყველა სამხედრო მოხელე და თანამდებობის პირი იცნობდა.

გ. წერეთელი აღფრთოვანებით წერდა ჟურნალ „კვალის“ 1897 წლის ივნისის ნომერში: **„მან განითქვა დიდი მხედართმთავრის სახელი რუს-ოსმალის ომში. ყველას ეხსომება ის შემადრწუნებელი დრო, როდესაც ბოლგარიაში მთელ რუსეთის მხედრობას განის გზით შეეჭრა სახელგანთქმული ოსმან ფაშა პლევნაში და ჰლამობდა, მთელი რუსეთის არმია შუაზე გაეჭრა. იმან ორჯერ საშინლად დაამარცხა ლენერლები — კრიდნერი და სკობოლევი, ორი თვის განმავლობაში მას შიშის ქვეშ ჰყავდა მთელი რუსეთის ბალკანის არმია. ამ დროს არმიის შტაბის უფროსად იყო უგანათლებული ა. იმერეტინსკი. იმან შეთხზა ახალი სამხედრო გეგმა, რომ ოსმან ფაშას პლევნაში გარს შემორტყმოდა და მთელი თავისი**

მხედრობით ტყვედ წამოეყვანა.

ამ განზრახვით მან ჯერ იერიშით აიღო ლოვჩა და მერე დუბნიაკი. რაკი ეს ორი სტრატეგიული ბურჯი წაართვა ოსმალეთის გამოჩენილ მხედართმთავარს და ამით მოუსპო მას გზა, რომ სურსათი და ახალი ჯარები ველარ მიუშველებინა კონსტანტინოპოლიდან, შემდეგ მისი ტყვეთ წამოყვანაც ადვილი შეიქმნა. თვით ბალკანის ქედზე გადასვლა და კონსტანტინოპოლის ქალაქამდის იერიშის მიტანა უგანათლებულესი თავადის — ალექსანდრე იმერეტინსკის საქმე იყო“.

ქართველ გენერალს წინ კვლავ დიდი წინსვლა და სახელმწიფოებრივი საქმიანობა ელოდა. **იმავე 1878 წლის ბოლოს ქართველი გენერალი მოქმედი არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა ა. ნეპოკოინიციკის მაგიერ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე დაინიშნა სანკტ-პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიული ჯარების შტაბის უფროსად, სადაც დაჰყო ალექსანდრე მეორის გარდაცვალებამდე — 1881 წლამდე. ამ წელს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ქართველი გენერალ-ლეიტენანტი მთელი იმპერიის მთავარი სამხედრო სასამართლოს სამმართველოს უფროსად და მთავარ სამხედრო პროკურორად დაინიშნა. იმავე წელს გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი საგანგებო ელჩად გაიგზავნა თურქეთში,**



კონსტანტინოპოლში, რათა ეცნობებინა იმპერატორ ალექსანდრე მეორის გარდაცვალება და ალექსანდრე მესამის ასვლა საიმპერატორო ტახტზე.


ამ თანამდებობაზე ალექსანდრე იმერეთისკი ჩვეული ენერგიითა და საქმის ცოდნით მსახურობდა. ის იყო სათნო, ჩინებული მოლაპარაკე და მიუდგომელი მოსამართლე. ამიტომ იყო, რომ ამ თანამდებობებზე ის დიდხანს — 1892 წლამდე — დარჩა. იმავე წელს ალექსანდრე დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, რაც განპირობებული იყო მისი რუსეთისადმი დიდი ერთგულებით, დამსახურებითა და დიდი გამოცდილებით. სახელმწიფო საბჭოში მას უხდებოდა დიდი და რთული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში ჩანვდომა და თავისი აზრის გამოთქმა. მას არც ამ თანამდებობაზე შეურცხვენია თავი. ოთხი წლის შემდეგ, 1896 წლის 1 იანვარს, იგი ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ვარშავის სამხედრო ოლქის მეთაურად დაინიშნა. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეთისკის ვარშავის გენერალ-გუბერნატორად დამტკიცების შესახებ 1897 წლის ჟურნალ „კვალის“ ივნისის ნომერში, გ. წერეთელი სტატიის „უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი, შეცვლილი გვარით იმერეთისკი“ წერდა: „ამ იანვარში მოვიდა რუსეთიდან ამბავი, რომ უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერეთისკი

დაინიშნა ვარშავის ლენერალ-გუბერნატორად. ის ითვლება ამჟამად მთელ რუსეთში უნიჭიერეს მხედართმთავრად, მას აქეთ, რაც მან წარსულ ომში თავი ისახელა შესანიშნავი სტრატეგიული და ტაქტიკური ნიჭის გამოჩენით“... ალექსანდრე პოლონეთში საკმაო ხანს იყო ნამსახური, იცნობდა იქაური ხალხის მეობასა და იქაურ ვითარებას. ამდენად, მოულოდნელი არ იყო მისთვის ხსენებულ თანამდებობაზე დანიშვნისას პოლონეთის დედაქალაქში შექმნილი რთული ვითარება. იგი ანგარიშს უწევდა პოლონელი ხალხის საუკეთესო ტრადიციებს, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულსა და სარწმუნოებისადმი ერთგულებას. ახალმა გენერალ-გუბერნატორმა გულწრფელად განაცხადა: „არ ვიქნები მებრძოლი ყოველგვარი წვრილმანებისადმი, განსაკუთრებით იმისა, რასაც შეუძლია შეურაცხყოს პოლონელთა ეროვნული გრძობა, მათი ერთგულება სარწმუნოებისადმი, სიყვარული სამშობლოსადმი, სახელოვანი ისტორიული ტრადიციები, რომლებიც თუნდაც დრომოჭმული იყოს. მით უმეტეს ყოველივე ის, რაც ძვირფასია და ახლოა პოლონეთისა და პოლონელი ხალხისათვის“. ალექსანდრე იმპერიისადმი ჩვეული ერთგულებითა და დიდი ენერგიით შეუდგა ახალ თანამდებობაზე სამსახურს. იგი, როგორც რუსეთის ერთგული მოხელე, პოლონეთში იმპერიის პო-

ლიტიკას ატარებდა, მაგრამ ვარშავის სხვა, წინა გენერალ-გუბერნატორებთან შედარებით, უფრო ლმობიერი, განმკითხველი და ზოგჯერ დამთმობიც იყო, თუ კი ამით რუსეთის იმპერიას ზიანი არ მიადგებოდა და იქ კი ფართო მასების გულს მოიგებდა. ასეთი მიდგომით ალექსანდრემ ხალხში ავტორიტეტი მოიპოვა, რასაც მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა განაპირობებდა. თუ რამეს იტყოდა ან შეჰპირდებოდა ვინმეს, შეასრულებდა კიდევ. იგი, როგორც გენერალ-გუბერნატორი, ხალხის ცხოვრების ყოველ სფეროში ერეოდა დადებითად, ზრუნავდა ხალხისათვის და მათ ნდობასა და პატივისცემასაც მიჰლენია. სულ რამდენიმე წელი იყო აღნიშნულ თანამდებობაზე და მოასწრო ბევრი სიკეთის გაკეთება პოლონელი ხალხისათვის. მან დააარსა ვარშავაში პოლიტექნიკური და სხვა სახის სასწავლებლები, გამოვიდა ორი გაზეთი; ვარშავის ცენტრში დადგა პოლონელი ხალხის საყვარელი პოეტის მიცკევიჩის ძეგლი.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეთისკი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა 1900 წელს; მას ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო, ადრე რომ არ სწევოდა უბედურება, სწორად შენიშნავდა მისი ერთი ახლობელი პირი: „თავად იმერეთისკის სახით ჩვენ დავკარგეთ არა მარტო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ ერთ-ერთი უნიჭიერესი, ღირსეული, ვიტყვი პირდაპირ — ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი. როგორც სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ, როგორც მებრძოლმა გენერალმა მან სახელი გაითქვა ბალკანეთის სლავი ხალხების განთავისუფლებისათვის ომებში და პოლონეთის მართვაში; მისი შრომითა და ზრუნვით იგი უფრო დაახლოვა იმპერიასთან, ვიდრე ოდესმე. განსვენებულმა თავადმა სამუდამოდ ჩასწერა თავისი საგვარეულო სახელი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“.

მიხეილ გონიკიშვილი



«ამ იანვარში მოვიდა რუსეთიდან ამბავი, რომ უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერეთისკი დაინიშნა ვარშავის ლენერალ-გუბერნატორად. ის ითვლება ამჟამად მთელ რუსეთში უნიჭიერეს მხედართმთავრად, მას აქეთ, რაც მან წარსულ ომში თავი ისახელა შესანიშნავი სტრატეგიული და ტაქტიკური ნიჭის გამოჩენით»...



პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

კაცობრიობის ისტორიას მრავალი ომი ახსოვს. სხვადასხვა ინტერესების გამო სახელმწიფოები ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რომელსაც მუდამ საშინელი შედეგები მოჰქონდა. ინტერესთა შეჯახების პროცესმა მძიმე დალი დაასვა ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებას. ზოგიერთმა სახელმწიფომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა, გაქრა არაერთი ერი და ეთნიკური ერთეული. თავისი მასშტაბითა და მონაწილეთა რაოდენობით პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წ.წ.) განსაკუთრებულია მსოფლიო ისტორიაში. მან ცხრა მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა და დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრა ევროპული ცივილიზაციის მომავალი. ამ ომმა ოთხი იმპერიის — ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და რუსეთის დაშლა გამოიწვია, აგრეთვე, ევროპაში ახალ სახელმწიფოთა — ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის — ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ 1914-1918 წლების სამხედრო-პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა გარკვეულწილად განსაზღვრა ოცი წლის შემდგომ დიდი საერთაშორისო აფეთქება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის სახით დაატყდა კაცობრიობას.



ევროპის პოლიტიკური რუკა 1914 წელს

1914 წლის აგვისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელშიაც ჩაბმული აღმოჩნდა 33 ქვეყანა. ეს ქვეყნები შეკრებილი იყვნენ ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფების გარშემო: პირველი — **გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი**; მეორე — **ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.**

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918), ასევე, ცნობილია, როგორც ყველა ომის დასრულების ომი, იყო ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში (მეორე მსოფლიო ომამდე), რომელსაც დაახლოებით 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მოკავშირეთა ძალებმა ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და მოგვიანებით, იტალიისა და

აშშ-ის მეტაფორით დაამარცხეს ცენტრალური ძალები გერმანიის იმპერიის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიის აქსისში.

ბრძოლების უდიდესი ნაწილი განხორციელდა დასავლეთის ფრონტის გასწვრივ ჩრდილოეთის ზღვიდან შვეიცარიის საზღვრამდე. აღმოსავლეთის ფრონტზე, კონფლიქტის მასშტაბი იგივე იყო, თუმცა ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო ტექნიკურად ნაკლებად აღჭურვილი. შეტაკებები განხორციელდა ზღვაზე და მის ქვეშ, და პირველად ისტორიაში — ჰაერშიც.

ომს შედეგად ოთხი იმპერიის დაშლა მოჰყვა: **ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და რუსეთის. გერმანია და აპარგა მისი ზღვისიქითა იმპერია და შეიქმნა ახალი სახელმწიფოები — ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და იუგოსლავია.** ამ ომის შედეგები მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მეორე მსოფლიო ომის განვითარებაში დაახლოებით 20 წლით გვიან.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი და გამოფხვავი მიზეზები

XX საუკუნის დასაწყისში ევროპა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით მდებარეობდა უზარმაზარი რუსეთი, დასავლეთით — პრუსიასთან ომის შედეგად დაკნინებული ავსტრო-უნგრეთი და საფრანგეთთან ომში გამარჯვებული და გაძლიერებული გერმანიის იმპერია. გერმანიის და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ძალიან ძლიერი იყო. გერმანიას მზარდი ამბიციების დაკმაყოფილება სურდა, ხოლო საფრანგეთი ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებაზე ოცნებობდა. მიუხედავად ამისა, ევროპის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ მაინც ბრიტანეთი რჩებოდა. ბრიტანეთის იმპერიას დედამიწის მეექვსედი ნაწილი ეკავა. ამ უზარმაზარი იმპერიის შესანარჩუნებლად ბრიტანელებს მსოფლიო-

ომი საუკეთესო ფლოტი ჰყავდათ.

ევროპის გარეთ ორი ძლიერი სახელმწიფო არსებობდა, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია. ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ ეკონომიკა საგრძობლად წინ წავიდა, ქვეყანაში არ წყდებოდა ემიგრანტების დინება. იაპონია კი, რომელიც XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ახლა ცდილობდა, სამხედრო და ტექნოლოგიურ სფეროში დასავლეთ ევროპას დაწეოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან გერმანიას სურდა, სხვა ევროპული ქვეყნებზე აფრიკაში და აზიაში კოლონიები მოეპოვებინა. რიგ კოლონიალურ კონფლიქტებში გერმანელები აჯანყებულ ერებს საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ, რის გამოც გერმანიის ურთიერთობები ინგლისთან და საფრანგეთთან სერიოზულად დაიძაბა.

ამ კოლონიალურმა კონფლიქტებმა ევროპაში რამდენიმე მტრული ბანაკის ჩამოყალიბება გამოიწვია. გერმანელებმა და ავსტრიელებმა თავდაცვითი კოალიცია შექმნეს, იტალია დაუკავშირდა საფრანგეთს, გერმანიის ინდუსტრიის ზრდით შენუხებულმა ინგლისმა კი შექმნა კავშირები საფრანგეთთან და რუსეთთან, ამ კავშირს **ანტანტა** ეწოდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძული დასუსტებულ ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა. ამ რეგიონში ავსტრიასაც და რუსეთსაც თავიანთი ინტერესები ჰქონდათ. 1912 წელს აქ განმათავისუფლებელი ომი დაიწყო, რაც 1913 წელს თურქების ევროპიდან განდევნით დასრულდა, მაგრამ ახლადჩამოყალიბებული ბალკანური სახელმწიფოები უკმაყოფილონი დარჩნენ, სერბეთსაც და ბულგარეთსაც მეზობლების ხარჯზე საკუთარი ტერიტორიების გაფართოვება სურდათ.

1914 წლის 28 ივნისს ავსტრო-

უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე **ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი** სარაევოში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა, სადაც მას თავს დაესხა სტუდენტი **გაფრილო პრინციპი** და ტახტის მემკვიდრე მოკლა. დაიწყო მსოფლიო ომი.

გერმანიას, ავსტრო-უნგრეთს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას თავიანთი მიზნები ჰქონდათ; ასევე თავისი გეგმა ჰქონდა რუსეთს.

რუსეთი კონცენტრაციას ახდენდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც მის ინტერესებს ავსტრია-უნგრეთი ეღობებოდა.

რუსეთი კონსტანტინეპოლის აღებას იმედოვნებდა (რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო), რის შემდეგაც გაიზრდებოდა რუსეთის გავლენა ეგეოსის ზღვასა და შავ ზღვაზე.

რუსეთის მიზანი იყო, ასევე, აღმოსავლეთ პრუსიის შემოერთება; მემელის, აღმოსავლეთ გალისიის დაპყრობა; ასევე, პოლონეთის სამეფოსათვის — პოზენის, შლეზიენის პროვინციებისა და დასავლეთ გალისიის დაქვემდებარება; ელზასი, ლოთრინგენი, რაინის მიწები და ფვალცი — საფრანგეთს, ხოლო ააჰენის მიდამოები ბელგიას გადაეცემოდა; შლეზვიგ-ჰოლშტაინი დანიას, აღდგებოდა ჰანოვერის სამეფო, დაუბრუნდებოდა ბოჰემია; უნგრეთი და ავსტრია ერთიანი მონარქია იქნებოდა.

სერბეთი მიიღებდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, დალმატიას, ჩრდილოეთ ალბანეთს. საბერძნეთი შეიერთებდა სამხრეთ ალბანეთს, ბულგარეთსა და მაკედონიის ნაწილს. გერმანიის იმპერიის კოლონიები გადანაწილდებოდა საფრანგეთზე, ინგლისსა და იაპონიაზე.

რაც შეეხება **ოსმალეთის იმპერიას**, მას, პირველ რიგში, სურდა შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზის კონტროლი.

თურქებს უნდა მოეხდინათ **ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკუპაცია**. თურქები გაიმადგრებდნენ პოზიციებს კავკასიაში, შე-

ეცდებოდნენ ყველა თურქი ხალხის გაერთიანებას.

გერმანიის იმპერიული ძალების ნაქეზებით თურქეთი ომში 1914 წლის ოქტომბერში ჩაება. პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა „დიდი იმპერიის“ აღდგენა მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, პოვოლოჟიესა და თვით შუა აზიის გაერთიანებით.

1914 წლის 2 აგვისტოს ხელი მოეწერა გერმანია-თურქეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქული არმია, ფაქტობრივად, რჩებოდა გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელობის ქვეშ და ცხადდებოდა მობილიზაცია.

იმავედროულად თურქეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ.

10 აგვისტოს დარდანელში გერმანული ხომალდები შევიდა. მათმა არა მხოლოდ თურქული არმია, არამედ ფლოტიც გერმანელთა დაქვემდებარებაში მოაქციეს. 9 სექტემბერს თურქეთის მთავრობამ ყველას გამოუცხადა, რომ კაპიტულაციის რეჟიმზე, უცხოეთის მოქალაქეების განსაკუთრებულ სამართლებრივ უფლებებზე უარს აცხადებდა.

თურქეთის მთავრობის წევრთა უმრავლესობა საერთოდ წინააღმდეგი იყო ომისა. მაშინ თურქეთის სამხედრო მინისტრმა ენვერფაშამ გერმანელებთან ერთად თურქეთის მთავრობის წევრთა თანხმობის გარეშე ომი დაიწყო და ქვეყანა ფაქტის წინაშე დააყენა.

1914 წლის 29-30 ოქტომბერს თურქეთის ფლოტმა ცეცხლი გაუხსნა სევასტოპოლს, ოდესას, ფეოდოსიასა და ნოვოროსიას. 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. 5-6 ნოემბერს მის კვალს მიჰყვნენ ინგლისი და საფრანგეთი. ამგვარად, წარმოიშვა **კავკასიის ფრონტი რუსეთსა და თურქეთს შორის**.



რუსეთი ყურადღებას არ ადუნებდა, რათა თურქეთს ყარსის ციხესიმაგრესა და ბათუმის პორტზე კონტროლი არ დაებრუნებინა, რაც თურქეთმა 1870-იანი წლების ბოლოს დაკარგა. ამასთან დაკავშირებით აქვე გთავაზობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს:

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ევროპასა და წინა აზიაში მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან: ინგლისი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ოსმალეთი; კერძოდ, ინგლისი და რუსეთი დაპირისპირებულია შუა აზიის გამო; ინგლისი და საფრანგეთი — ევროპაში ჰეგემონობისათვის; რუსეთი და ოსმალეთი შავი ზღვის აკვატორიაში (ბალკანეთი, კავკასია) გაბატონებისათვის იბრძვიან და სხვ. არის დროებითი კოალიციებიც: ინგლისი კავშირშია ოსმალეთთან, ბისმარკის გერმანია და ავსტრო-უნგრეთი — რუსეთთან.

აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გადანაწილებისათვის ბრძოლაში ალექსანდრე მეორის რუსეთი ამარცხებს სულთნის ოსმალეთს. 1878 წლის 3 მარტს **სანსტეფანოს ზავით** დამარცხებულმა თურქებმა რუსებს დაუთმეს ბათუმიც (ყარსთან ერთად). საქართველო, როგორც დამხვდური ქვეყანა ამ დროს არ არსებობს; დეზორიენტირებულია ქართული ეროვნული ცნობიერებაც; ამ დროს საქართველოს მასშტაბით აქტიურად ჩნდება ილია ჭავჭავაძის გუნდი, რომელიც ერის კონსოლიდაციას ცდილობს.

1878 წლის 30 მაისს რუსეთ-ინგლისის საიდუმლო გარიგებით, ინგლისი თანხმდება რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა ბათუმი (ყარსთან ერთად) დაიკავოს, მაგრამ 1878 წლის 13 ივნისს **ბერლინის კონგრესზე** ინგლისმა მხარი დაუჭირა გერმანია-თურქეთის კოალიციას, რათა **ბათუმი გამოცხადებულიყო პორტო-ფრანკოდ**. განაწყენებული რუსები შეეცადნენ, ჩაეშალათ ბერლინის კონგრესი, მაგრამ ბისმარკის



მოქნილობით რუსეთი მაინც დაიყოლიეს და **ბათუმი გამოცხადდა ყველასთვის საზიარო ქალაქად (თავისუფალ სავაჭრო ზონად, თანამედროვე ტერმინოლოგიით: თავისუფალ ეკონომიკურ ზონად)**. ამავე კონგრესმა **3-წლიანი ვადა დაადგინა სამხრეთ საქართველოდან მუსლიმან ქართველთა აყრისა და შუა თურქეთში გადასახლებისათვის**.

1886 წლის 23 ივლისს რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო; ამ ფაქტმა რეგიონის სხვა გეოპოლიტიკური მთავარი მოთამაშეების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ იმხანად ომში გამარჯვებულ რუსეთთან კონფლიქტი არ გაამწვავეს; თუმცა ბათუმის საკითხი მათთვის ღია ჭრილობად დარჩა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ **ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებას მიესალმა ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან, მისი აზრით, „თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ“ გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა** (შ. მეგრელიძე, 1963, ხ. ახვლედიანი, 1971). საყურადღებოა, რომ ამავე შინაარსის ცნობას გვანვდის ცნობილი მოგზაური ევგენი ვეიდენბაუმი; კერძოდ, ის 1878 წლის ნოემბერში თავის დღიურებში წერს: „აქამდე პორტო-ფრანკო ვაჭრების წახალისებას კი არა, გარემემო მცხოვრებთა შევიწროებას ემსახურებოდა;...

კერძოდ, ქალაქში მათ შემოაქვთ მცირეოდენი ლარიბული პროდუქტი, შემდეგ შეისყიდებიან რამდენიმე არშინ ნარმას და უკან ბრუნდებიან — ბათუმი არის მათი ბაზარი. პორტო-ფრანკოს გამოცხადების შემდეგ ქალაქის საზღვრის მცველები მათ ბაჟს თხოვენ. ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ უნდა გადაიხადოს მან დამატებითი თანხა ქალაქიდან გასვლისას უკვე ნაყიდ საქონელში“.

რუსეთს ხელს არ აძლევდა ბათუმის პორტოფრანკო. სამაგიეროდ, ბათუმში თავისუფალი ვაჭრობა ხელს აძლევდა სხვა მომხდურ ქვეყნებს, ამიტომაც **ბათუმის პორტოფრანკო, ისევ და ისევ ქართველთა ნების გარეშე, დღის წესრიგში დასვეს ევროპის სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც**. საქართველოს გარეშე ინტენსიურად იხილებოდა ეს თემა ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს სხდომებზეც 1920 წელს.

ომი კავკასიაში ორივე მხარისათვის — რუსეთისთვისაც და თურქეთისთვისაც — ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით რთული იყო ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალით, სურსათით, ცხენებისათვის საჭირო ფურაჟით; ამასთან, მთიანი რელიეფის გამო გაძნელებული იყო კავშირი; ხოლო სარკინიგზო



კავშირის უქონლობა აძლიერებდა ამ რაიონში (პირველ რიგში, ბათუმსა და ტრაბზონში) შავი ზღვის პორტებზე კონტროლის მნიშვნელობას.

საომარი მოქმედებების დაწყებამდე კავკასიის არმიის ყურადღება მიმართული იყო ორი ჯგუფის ორ მთავარ ოპერატიულ მიმართულებაზე; ეს იყო:

1. ყარსის მიმართულება (ყარსი — ერზრუმი) — დაახლოებით 6 დივიზია ოლტი-სარიყამიშის რაიონში;

2. ერევნის მიმართულება (ერევანი — ალაშკერტი) — დაახლოებით 2 დივიზია და მხედრონი იგდირის რაიონში.

ფლანგებს იცავდა საზღვრისპირა დაცვა და არცთუ ისე დიდი დამოუკიდებელი რაზმები, კაზაკები და საჯარისო შენაერთები. მარჯვენა ფლანგი მიმართული იყო შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმისკენ; მარცხენა კი — ქურთთა რაიონების (სადაც ქურთებმა მობილიზაციის გამოცხადების შედეგად ჩამოაყალიბეს ქურთთა ირეგულარული მხედრობა) და თურქული აზერაიჯანის წინააღმდეგ.

1914 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ, შეიჭრა რა თურქეთის საზღვრებში, შეტევა განახორციელა 350 კმ რადიუსში; მაგრამ წინააღმდეგობის განწევის გამო იძულებული გახდა, თავდაცვაზე გადასულიყო.

კავკასიის ფრონტი და სარიყამიშის ბრძოლა

კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციები 1914 წლის ოქტომბერში დაიწყო. თურქეთის ჯარებმა არზრუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით შეუტევეს; დეკემბერში კი დიდი შეტევა ოლთისის რუსთა დაჯგუფების გასანადგურებლად წამოიწიეს. ძირითადი ბრძოლები 10-22 დეკემბერს სარიყამიშში მიმდინარეობდა.

1914 წლის დეკემბერსა და 1915 წლის იანვარში სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობისას კავკასიის რუსულმა არმიამ შეაჩერა თურქთა ჯარების შეტევა ყარსზე, შემდეგ კი გაანადგურა ისინი.

სარიყამიშის (ახლა თურქეთის ტერიტორია) რაიონში კავკასიის რუსულმა არმიამ დაამარცხა რუსეთის ამიერკავკასიაზე თავდამსხმელი თურქეთის მე-3 არმია გენერალ ენვერ-ფაშას მეთაურობით. თურქებმა 90 ათასი ადამიანი და 60-ზე მეტი ქვემეხი დაკარგეს; ხოლო რუსულმა არმიამ სულ — 20 ათასი კაცი (დაღუპული, დაჭრილი და ავადმყოფი).

ეს ოპერაცია 1914 წლის 9 დეკემბრიდან 1915 წლის იანვრამდე გაგრძელდა. თურქეთის სარდლობას განზრახული ჰქონდა, ალყა შემოეერთა და გაენადგურებინა კავკასიის არმიის (გენერალი გ.

ე. ბერხმანი) სარიყამიშის რაზმი, შემდეგ კი ყარსი დაეკავებინა.

მე-9 და მე-10 კორპუსების მთავარი დარტყმა თურქებმა 9 დეკემბერს ჩრდილო-დასავლეთ სარიყამიშს მიიყენეს, სადაც იმყოფებოდა იალტის რაზმი გენერალ ნ. გ. ისტომინის (დაახლოებით 8 ბატალიონი) მეთაურობით. მოიგერია რა მტერი, 12 დეკემბერს ორი თურქული კორპუსი მკაცრ ყინვაში სარიყამიშის მისადგომებთან გამოვიდა. ფრონტიდან სარიყამიშს თურქთა მე-11 კორპუსი უტევედა. თურქული სარდლობა სარიყამიშის ჩრდილოეთიდან დარტყმით ალებას გეგმავდა და ამით გენერალ ბერხმანის ზურგში მოქცევას აპირებდა, მოუჭრიდა რა მას უკან დასახვე გზას.

ჩრდილოეთიდან თურქთა ძალების სარიყამიშთან მიახლოების მომენტში ქალაქში მხოლოდ მცირერიცხოვანი საჯარისო ნაწილები იმყოფებოდნენ. ამ დროს სარიყამიშში გავლით იმყოფებოდა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ბუკრეტოვი. ის სათავეში ჩაუდგა ქალაქში თავმოყრილ რაზმს და გმირულად მოიგერია თურქთა მე-10 კორპუსის შემოტევა. 14 დეკემბერს ქალაქის დამცველებს კაზაკთა პირველი პოლკი მიეშველა. სარიყამიშის დაცვას გენერალი მ. ა. პრუჟევალსკი ხელმძღვანელობდა. მალე დაცვის გასაძლიერებლად ფრონტიდან დამატებითი ძალებიც მოვიდნენ.

კავკასიის ფრონტის მეთაურმა, გენერალმა ა. ზ. მიშლაევსკიმ ოპერაცია წაგებულად მიიჩნია და უკან დახევის ბრძანება გასცა, მაგრამ უკან დახევა დაგვიანებული აღმოჩნდა, რამდენადაც თურქთა მე-10 კორპუსმა გადაჭრა სარიყამიშის გზა — ყარსის შოსე. ამით სარიყამიშის რაიონში კავშირი რუსულ ჯარებსა და ტფილისის შორის განწყდა. შეწყდა, ასევე, რადიონფორმაციებიც, რადგან ერთადერთი რადიოსადგური თურქებმა ააფეთქეს. უკან დახევა 20-გრადუსიანი ყინვაში თოვლით დაფარული მთებით სარიყამიშელთათვის დაღუპვის ტოლფასი იყო. ქალაქის დამცველებს მხოლოდ





საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ. უკან დახევის ბრძანების მიუხედავად, ისინი ჯიუტად იცავდნენ ქალაქს.

რუს ჯარისკაცთა შეუპოვრობამ და თავიანთი ბაზის დაცვის ინიციატივამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ოპერაციაში, რომლის წარმატებაც ძაფზე ეკიდა. ვერ შეძლეს რა ერთბაშად სარიყამის ალება, ორი თურქული კორპუსი ყინულის ალყაში მოექცა, რაც მათთვის საბედისწერო შეიქნა. თურქულმა ჯარებმა მხოლოდ ერთ დღეში, 14 დეკემბერს, 10 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, რომლებმაც ძლიერ ყინვას ვერ გაუძლეს და გაიყინნენ. 17 დეკემბერს სარიყამის ასაღებად თურქთა ბოლო მცდელობა, რომელსაც რუსთა კონტრშეტევები დაუპირისპირდა, თურქთა მარცხით დასრულდა. ენვერ-ფაშამ გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა და მთავარი დარტყმა ყარაურლანზე გადაეტანა, რომელსაც სარიყამის რაზმის ნაწილები იცავდა.

19 დეკემბერს სარიყამითან შეტევაზე გადასულმა რუსულმა ჯარებმა მთლიანად მოიქციეს ალყაში გათოშული მე-9 თურქული კორპუსი. სამდღიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მისმა ნარჩენებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. თურქთა მე-10 კორპუსის ჯარისკაცებმა უკან დახევა მოასწრეს, მაგრამ არდაღანთან, მიიღეს რა შევსება იალტის რაზმისგან, მონინალმდევგეს მაინც ვერ გაუმკლავდნენ და დამარცხდნენ.

25 დეკემბერს კავკასიის არმიის მეთაურად გენერალი ნ. ნ. იუდე-ნიჩი დაინიშნა, რომელმაც კონტრშეტევის ბრძანება გასცა ყარაურლანთანაც. 1915 წლის 5 იანვრისათვის, გადაისროლეს რა მე-3 არმიის ნარჩენები 30-40 კმ-ზე, რუსებმა შეწყვიტეს თურქთა დევნა, თუმცა ოცგრაფუსიან ყინვაში მდევარი აღარც კი იყო საჭირო — ენვერ-ფაშამ 78 ათასი კაცი, თავისი შემადგენლობის 80% დაკარგა. რუსთა დანაკარგმა კი 26 ათასი კაცი შეადგინა. სარიყამის შემდეგ ომმა კავკასიის ფრონტზე პოზიციური ხასიათი მიიღო. ომის



წლებში ერთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და ეროვნული საკითხი გააქტიურდა. რუსული შოვინისტური და პან-თურქისტული ექსპანსიური წრეები ერთნაირი მონდომებით და მიზანსწრაფულად ეწეოდნენ ანტიქართულ საქმიანობას. რუსმა შოვინისტებმა განგებ ასტეხეს განგაში ამ ომში აჭარელი მოსახლეობის ვითომცდა თურქოფილური განწყობილების შესახებ. ეს იყო ბოროტი ცილისწამება. **სინამდვილეში აჭარის მოსახლეობამ თავისი წვლილი შეიტანა პან-თურქიზმის ლიდერთა ავანტიურისტული გეგმების ჩაშლაში.** აჭარის ინტელიგენტური წრეები ჰაიდარ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის სახიფეფენდი მეხეშიძის, რ. დიასამიძის, ო. გურგენიძის, ა. მიქელაძის, ყედემ-ალა ზაქარაძის და სხვათა შემადგენლობით ენერგიულად იბრძოდნენ, რათა მოსახლეობაში ხოჯებისა და მოღების ისლამისტური საქმიანობა გაექარწყლებინათ და აჭარა მკვიდრად შემოეყვანათ ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში. **თურქი დამპყრობლები თავის მხრივ სისტემატურად აწყობდნენ თავდასხმებს მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის მიწა-წყალზე, ჟღეტიდნენ მოსახლეობას, ანგრევდნენ და აპარტახებდნენ სოფლებს. ქართველი ხალხი აჭარელ თანამემამულეთა დასახმარებლად ენერგიას და სახსრებს არ იშურებდა. თურქეთის ხელისუფლება აგენტებს გზავნიდა აფხაზეთში.**

შეძლებულ მემამულეებს დიდ პრივილეგიებს აღუთქვამდა, თუ ისინი აფხაზეთიდან რუსეთის გამოდევნასა და ამ მხარის თურქეთისათვის მიერთებაში დაეხმარებოდნენ. ზოგი აფხაზი ნაციონალისტი აპყვა კიდეც პანთურქისტულ პროპაგანდას.

XX საუკუნის პირველ ოცნლეულში თანდათან ტოვებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა უფროსი თაობა. 1912 წლის პირველ ივნისს გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი. მისი დაკრძალვა ნამდვილ სახალხო გლოვად იქცა. ერის დიდ მოამაგეს, ქართული ენის ამადგარ ქომაგს, დაუცხრომელ მებრძოლს საქართველოს პროგრესისათვის სამუდამო განსასვენებელი ხალხმა მთანმინდაზე მიუჩინა.

1913 წელს გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით დაიტირა ეს უანგარო და უნიჭიერესი პატრიოტი მოაზროვნე. ეროვნული მოღვაწისადმი ხალხის ღრმა პატივისცემა ჩაქსოვილია თბილისელ მუშათა იმ გვირგვინში, რომელიც დიდუბის პანთეონში დღესაც ამკობს განსვენებულის საფლავს.

1915 წლის 25 იანვარს სოფ. სხვიტორში სამუდამოდ დადუმდა აკაკის ქნარი. სახალხო პოეტი, რომელსაც ქვეყნის „უგვირგვინო მეფის“ ტიტული ჰქონდა მინიჭებული, დიდი პატივით დაკრძალეს მთანმინდაზე. გამოსათხოვარ



სიტყვაში აკაკის თანამებრძოლმა და თანამოაზრემ ნიკო ნიკოლაძემ პოეტისა და მოღვაწისადმი ერთსულოვანი თანაგრძნობა ეროვნული მთლიანობის გამოსახულებად შეაფასა და ინტელიგენციას მიანიშნა კიდევ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების დროულობაზე.

1915 წელსვე წმიდა ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლა უნივერსიტეტის მნ აუდიტორია) გარდაიცვალა ქართული პოეზიის არნივი — ვაჟა ფშაველა. „ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ფენდა მთელ საქართველოს. გაფრინდა „მთის არნივი“. ვაჟა მოგვიკვდა, ფშაველა!“ — თქვა გამოსათხოვარ სიტყვაში კორნელი კეკელიძემ.

მსოფლიო ომის დაწყებამ ამ თაობის წინაშე პრაქტიკულად დააყენა სამშობლოს მომავალი ბედობის საკითხი. რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას საკუთარი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ, მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას ყველა მეომარ ქვეყანაში და მონარქიული რეჟიმის მოსპობის შემდეგ დემოკრატიუ-

ლი წყობილების დამყარებას. ამ ლოზუნგს, როგორც ანტიპატრიოტულს, რუს ხალხში გავლენა არ ჰქონია. რუსეთის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა იდგა „ობორონცულ“, ე.ი. საკუთარი მთავრობის დახმარების პოზიციაზე. ასეთივე თვალსაზრისზე იდგნენ, ძირითადად, მენშევიკი სოციალ-დემოკრატებიც.

რუსების გამარჯვებამ სარიყამიშთან საბოლოოდ დააცხრო თურქთა აგრესია ამიერკავკასიაში და გაამყარა კავკასიის არმიის პოზიციები. სარიყამიშის ოპერაციამ აჩვენა, რომ ამ ბრძოლაში მთავარი და გადამწყვეტი როლი უმაღლეს სარდლობას კი არ შეუხრულებია, არამედ ჯარების ინიციატივასა და ჯარისკაცთა მამაცობასა და თავგანწირვას. „სარიყამიშის ოპერაცია“ თურქთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა. თურქეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში წარმატებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. საქართველოს იმ დროს რჩეული ოფიცრობა ჰყავდა; ესენი იყვნენ: გიორგი მაზნიაშვილი, გიორგი კვინიტაძე (ჩიქოვანი), აბელ (ბალო) მაყაშვილი, შალვა მალლაკელიძე, ვასილ გაბაშვილი (გაბაევი), სეით რაზმაძე, ივლიანე ყიფიანი და სხვ.

მაგალითად, სარიყამიშის ოპერაციაში თურქთა ერთი დივიზია

გენერალ-მაიორ გაბაშვილის რაზმმა მთლიანად გაანადგურა.

ვასილ დავითის ძე გაბაშვილი (1868-1947) რუსეთის იმპერიის გენერალი გახდა. იგი რუსეთში ცნობილი იყო გაბაევის გვარით და იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს სამსახურში იდგა. 1916 წელს ვ. გაბაშვილი გენერალ-ლეიტენანტი გახდა; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და პირველ მსოფლიო ომებში. 1916-1917 წლებში იგი გახლდათ ტფილისის სამხედრო კომენდანტი; გამორჩეული სამსახურისათვის და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოები: წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი — 1906 წელს; წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენი — 1908 წელს; 1911 წელს დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო 1918-21 წლებში იყო ქართული არმიის კორპუსის მეთაური; 1921 წლიდან გადადგა.

1915 წლის თებერვალ-აპრილში რუსეთისა და თურქეთის არმიები თავს ინესრიგებდნენ. ბრძოლებს ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მარტის ბოლოს რუსულმა არმიამ თურქებისგან განმინდა სამხრეთ აჭარა და მთელი ბათუმის ოლქი.

რუსული არმიის მიზანი იყო, ბათუმის რაიონიდან მთლიანად გამოეძევებინა თურქები და სპარსეთში რუსეთის გავლენის გასამყარებლად შეტევა სპარსულ აზერბაიჯანზე განეხორციელებინა.

ასრულებდა რა გერმანია-თურქეთის საომარ გეგმას „ჯიჰადის“ (მუსლიმანთა წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ) თაობაზე, თურქული არმია სპარსეთისა და ავღანეთის ჩათრევას ცდილობდა რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ ომში; მას უხდოდა, ერევნის მიმართულებით განხორციელებული შეტევით რუსეთი როგორმე აეძულებინა, რომ ამ უკანასკნელს ბაქოს ნავთობის მწარმოებელი რაიონი დაეტოვებინა.





აპრილის ბოლოს სპარსულ აზერბაიჯანში თურქული არმიის ცხენოსანთა რაზმები შეიჭრნენ. თურქეთის არმიის ზურგში აღსდგა სომეხი მოსახლეობაც; აჯანყების ჩასახშობად დატოვებულმა თურქულმა დივიზიამ ქალაქ ვანში ალყაში მოიქცია სომეხები.

ამ შეტევამ **ვანის ბრძოლის** სახელი მიიღო. 30 ოქტომბერს რუსული ჯარები პორტ ენზელში გადმოსხეს. დეკემბრის ბოლოს რუსებმა თურქული შეიარაღებული რაზმები გაანადგურეს და თავიანთ კონტროლს ჩრდილოეთ სპარსეთის ტერიტორია დაუქვემდებარეს, რითაც აღკვეთეს სპარსეთის გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ და უზრუნველყვეს კავკასიის არმიის მარცხენა ფლანგის დაცვა.

1916 წლისათვის თურქებს არ ჰქონდათ კონკრეტული გეგმა ბრძოლის საწარმოებლად. რუსთა არმიას კი სამი მიმართულებით ჰქონდა განსაზღვრული თავისი მოქმედება: **ერზრუმის, ტრაპეზუნდისა და ოგნოს.**

რუსები შიშობდნენ, რომ ეს ჯარები კავკასიის ფრონტზე იქნებოდა გადასროლილი, ამიტომ თურქეთის არმიის განადგურების გადაწყვეტილება მანამ მიიღეს, ვიდრე მათთან დამხმარე ძალა მივიდოდა.

რუსთა შეტევა იანვარში დაიწყო. მათ შეაღწიეს თურქთა ზურგში. თურქები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. 20 იანვარს რუსთა ჯარები ერზრუმს მიადგნენ.

კავკასიის არმიის მთავარსარდალმა, დიდმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ამ ციხესიმაგრის აღების გადაწყვეტილება მიიღო. შეტევა 29 იანვარს დაიწყო; 3 თებერვალს ერზრუმი აიღეს. თურქთა არმიამ უკან დაიხია, მან პირადი შემადგენლობის 50 პროცენტი და მთელი არტილერია დაკარგა. მაშინ, როცა რუსულმა არმიამ ამ ოპერაციის დროს პირადი შემადგენლობის მხოლოდ მეთათედი დაკარგა.

1916 წლის საომარი მოქმედებების შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. რუსების არმია თურქეთის სიღრმეში 250 კილომეტრზე შევიდა, დაიკავა უმნიშვნელოვანესი პუნქტები — ერზრუმი და ტრაპეზუნდი. კავკასიის არმია თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა — დაეცვა ამიერკავკასია თურქთა შემოსევისაგან უზარმაზარ ფრონტზე, რომლის სიგრძე 1916 წლის ბოლოსათვის 1000 კილომეტრს აღემატებოდა.

1917 წლის კამპანია კავკასიის ფრონტზე მიწყნარდა. მკაცრი ზამთარი ართულებდა საომარ მოქმედებებს. სურსათისა და ფურაჟის მინოდება გაჭირვებით ხერხდებოდა. დაიწყო ეპიდემიები და ავადმყოფობები. 1917 წლის დასაწყისში კავკასიის არმიამ ავადმყოფობითა და ჭრილობებით 100 ათასი კაცი გარდაიცვალა.

ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში და შემდგომ 1918 წელს ბრესტის ზავმა რუსული არმიის წარმატებები კავკასიის ფრონტზე გააქარწყლა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსულ არმიას უნდა დაეტოვებინა არა მარტო დაკავებული ტერიტორიები თურქეთში, არამედ ბათუმის მხარეშიც და იგი ოსმალეთის იმპერიის ხელში უნდა გადასულიყო.

ბრესტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ თურქულმა არმიამ არა მარტო ბათუმის ოკუპაცია მოახდინა, არამედ მთელი ამიერკავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანისა, დაიკავა რა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორცაა ბათუმი და ბაქო (1918 წლის ოქტომბერში); თურქეთის ჯარები გადაადგილდნენ დერბენტისკენ, ოღონდ 1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთმა კაპიტულაცია მოახდინა. მის ჯარებს უნდა დაეტოვებინა მათ მიერ აქამდე დაკავებული ტერიტორიები; ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ბათუმი და ბაქო ინგლისის ჯარებს უნდა დაეკავებინათ.

1918 წლის ბოლოს საომარი მოქმედებები კავკასიაში შეწყდა,

ოღონდ მათ სხვა ბევრი კონფლიქტი მოჰყვა.

1916 ბოლოს ომის შედეგები ძალიან მძიმედ აისახა რუსეთზე, ქვეყანა პრაქტიკულად შიმშილის ზღვარზე იყო. კომუნისტების გამოსვლები კიდევ უფრო ამწვავებდა სიტუაციას. ომის გარდა ქვეყანაში სერიოზული შინა არეულობა დაიწყო. ამ მოვლენების შედეგად 1917 წლის 15 მარტს ნიკოლოზ II იძულებული გახდა, უარი ეთქვა ტახტზე.

გერმანელებმა კარგად იცოდნენ რუსეთში არსებული სიტუაციის შესახებ და, როგორც კი შეეძლოთ, ხელი შეუწყვეს ბოლშევიკებს; დააბრუნეს რუსეთში მათი ლიდერი — ლენინი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუცია დააჩქარა.

დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი ალექსანდრე კერენსკი კი ცდილობდა, მოეგვარებინა დემორალიზებულ არმიამ სიტუაცია. მან გალიციაში დიდი შეტევის გეგმა დაამუშავა, ბრუსილოვი კი მთავარსარდალად დანიშნა. შეტევა 1 ივლისს დაიწყო, რომელსაც წინ ორდღიანი საარტილერიო მომზადება უძღვოდა. რუსებმა მოახერხეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ისევ და ისევ ცუდი მომარაგების გამო ვერ შეძლეს შეტევის გაგრძელება, ავსტრიელებმა კი მოკლე ხანში მოაგროვეს რეზერვები. 16 ივლისს რუსები ფრონტის მთელ ხაზზე შეაჩერეს, ხოლო 3 დღეში გერმანელებმა და ავსტრიელებმა კონტრშეტევა დაიწყეს. რუსულ არმიამ მასიური დეზერტირობა დაიწყო. რუსეთში პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, გერმანელებმა ამით ისარგებლეს და სექტემბერში რიგა აიღეს.

ნოემბერში კი რევოლუცია მოხდა და რუსეთი პრაქტიკულად გამოეთიშა ომს. 1918 წლის 3 მარტს კი რუსებმა ბრესტ-ლიტოვსკში ზავს მოაწერეს ხელი, რომლითაც დაკარგეს ბალტიისპირეთი, ფინეთი, ამიერკავკასიის სამხრეთი და უკრაინის დიდი



ნაწილი. გერმანიამ კი მთელი ძალები დასავლეთ ფრონტზე გადაისროლა.

პირველმა მსოფლიო ომმა კორექტივები შეიტანა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიო რუკაზე. გერმანიამ დაკარგა აფრიკის და აზიის კოლონიები; ასევე, ელზასი და ლოტარინგია. მძლავრ გერმანიის იმპერიას ჩაენაცვლა არასტაბილური, ლატაკი ვაიმარის რესპუბლიკა, რომელმაც 1933 წლამდე იარსება. გერმანიის მოსახლეობა დაიტანჯა შიმშილით და სიღატაკით, ომს ეკონომიკის სრული კრაზი და 20-ანი წლების დასაწყისში ჰიპერინფლაცია მოჰყვა. კომუნისტები ყველა ხერხით ცდილობდნენ სახელმწიფოს სათავეში მოსვლას. მათ დაუპირისპირდნენ ნაციონალ-სოციალისტები, რომლებმაც საბოლოო ჯამში გამარჯვება მოიპოვეს.

დაიშალა ავსტრო-უნგრეთი. წარმოიქმნა დამოუკიდებელი ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკები. უნგრეთში ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ. ასეთივე ბედი ეწია ოტომანთა იმპერიასაც. არაბებმა თავისი ფსევდო დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის კონტროლის სფეროებად იქცნენ.

იტალიაშიც პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, სანამ ხელისუფლებაში დიქტატორი ბენიტო მუსოლინი არ მოვიდა. დიდ ბრიტანეთში ძალიან მძიმე ეკონომიკური კრიზისი სუფევდა, არ წყდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლები. გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საფრანგეთი აღმოჩნდა. ოთხი წლის მანძილზე სწორედ მის ტერიტორიაზე გადიოდა ფრონტის ხაზი; ეკონომიკა დანგრეული იყო, ფრანგი მამაკაცების 27% ომში დაიღუპა.

რუსეთის იმპერია დაემხო და 20-ანი წლების დასაწყისში ქვეყანაში საშინელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 1922 წელს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და დე-

კემბერში ახალი სახელმწიფო — სსრკ ჩამოაყალიბეს.

გერმანიის პროტექტორატი და ბოლშევიკური ინტერესების უმჯახება კავკასიაში

„საქართველოს რესპუბლიკა მაისში დაიბადა. მისი ბებია გერმანია იყო. ოდესმე ისტორია იტყვის, რა ძნელი იყო ამ გერმანიისთვის სოციალიზმით ორსული ქართული მუცლიდან იმ ბავშვის გამოღება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ერქვაო“, — წერდა შ. ამირეჯიბი.

ისარგებლეს რა რევოლუციური ანარქიით, 1917 წელს კავკასიას თურქი და გერმანელი აგენტები მოაწყდნენ. მაშინ მიხვდნენ კავკასიის პოლიტიკოსები, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა, ხოლო პეტროგრადსა და მოსკოვში დასკუპული ბოლშევიკები თავიანთი ყაჩაღური ხელისუფლების შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, ნახევარი სამეფო მიეცათ ავსტრიელების, გერმანელებისა და თურქებისათვის, ამიტომ, თვითგადარჩენის მიზნით, დაიწყეს რუსეთისაგან გამოყოფაზე ფიქრი.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტულ ხელშეკრულებას გერმანიასთან. მისი პუნქტების მიხედვით, მთელი ამიერკავკასია გერმანო-თურქულ ოკუპაციას ექვემდებარებოდა, ხოლო რეგიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ყარსი, არდაღანი, ბათუმი — თურქეთის მიერ იქნა ანექსირებული. **არც ერთ ხელისუფლებას, ბოლშევიკების გარდა, რომელიც მაშინ არსებობდა რუსეთში, ეს სეპარატისტული ხელშეკრულება არ უღიარებია.** ასეთი ვითარებაში საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის ბედი გერმანიას მიანდო, რომელიც თავისი მოკავშირე თურქეთის გვერდის ავლით ცდი-

ლობდა, ერთპიროვნულად გაეკონტროლებინა ეს ტერიტორია, თავის მხრივ, საკუთარი ინტერესების დათმობას არ აპირებდა თურქული მხარეც, რომელმაც, მიუხედავად გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობაზე აღებული პასუხისმგებლობისა, აიძულა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ხელი მოეწერათ „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებაზე, რომლითაც ოსმალეთმა მიითვისა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და სურამ-ლინის მაზრები, ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მიდამოები და ა.შ.

ამავე პერიოდში საქართველოს პოზიციას აშკარად ასუსტებდა სომხეთის არალეგიტიმური მოთხოვნებისადმი ინგლისის მხარდაჭერა. სწორედ ამის გამოძახილი იყო, რომ საქართველოს ნების გარეშე, ანტანტის პროექტით ბათუმს პორტო-ფრანკოს სტატუსი მიენიჭა. ჟორდანიას მთავრობა კი მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ თავაზიან ნოტას გზავნიდა საერთაშორისო კონფერენციაზე. სხვათა შორის, ამ ნოტაში ლაპარაკია „ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის“ დაარსების სახიფათო პერსპექტივაზე, რომელიც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ხოლმე სპეციალისტთა შორის. აი, რას ვკითხულობთ ხსენებულ ნოტაში: „ბათუმის ოლქის დაყოფა და რომელიმე მისი ნაწილის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა გამოიწვევს უღრმეს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერკავკასიის მეზობელ ხალხთა შორის. პორტო-ფრანკოს შექმნა და ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება სასწრაფო მოქმედების ქართველ ხალხს, რომელსაც ჩამოართმევენ მისი საუკეთესო ნავსადგურის მფლობელობას“...

ამაო აღმოჩნდა გარეშე ძალას მინდობილი „დამოუკიდებელი და დემოკრატიული“ მთავრობის მცდელობა. რუსეთში ანარქიის მოწყობით გერმანელებმა ხელთ იგდეს მთელი კავკასია, მაგრამ



როდესაც ანალოგიური პრობლემები მათსავე ქვეყანაში წამოიჭრა, გერმანელები განზე გადგნენ და ასპარეზი გამარჯვებულ ბრიტანულ იმპერიას დაუთმეს. ახლა უკვე „მეგობრად“ და „მფარველად“ ინგლისელები მოველინენ ახალფეხადგმულ საქართველოს, ის ინგლისელები, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღებაზე და ამით სასწორზე შეაგდეს საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მომავალი.

1918 წლის 28 მაისს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების შედეგად გერმანიას უფლება ეძლეოდა ამიერკავკასიის ნედლეულზე (ნავთობი, მანგანუმი) კონტროლი დაენესებინა რკინიგზასა და საზღვაო პორტებში. სამიათისიანი საქსპედიციო კორპუსი ფრიდრიხ კრეს ფონ კრენშტაინის მეთაურობით ყირიმიდან საქართველოში გადმოისროლეს. კორპუსის ნაწილები საქართველოს პორტებში — ფოთსა და ოჩამჩირეში გადაანაწილეს. გერმანიის სამხედრო დახმარებით აფხაზეთში შესაძლებელი გახდა ბოლშევიკების მხრიდან განხორციელებული მუქარის აღკვეთა. გერმანელები მონაწილეობდნენ ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და მომავალი შეტევისათვის მათ მომზადებაში. 1918 წლის ზაფხულის მანძილზე გაერთიანებული გერმანულ-ქართული გარნიზონები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყვნენ დისლოცირებულნი. მათ შემადგენლობაში შედიოდა უკრაინიდან და სირიიდან გადმოყვანილი ჯარები, ასევე, გერმანელთა მიერ განთავისუფლებული სამხედრო ტყვეებიც.

1918 წლის იანვარში საბოლოოდ განადგურდა კავკასიის ფრონტი და თურქულმა ჯარებმა, რომლებიც აქამდე შევიწროვებულნი იყვნენ, დაიწყეს კონტრშეტევები. 1918 წლის მაისისათვის **თურქებმა** არა მარტო დაიბრუნეს რუსული ჯარების მიერ **დაკავებული**



აღმოსავლეთ ანატოლიის ყველა ვილაიეთი, არამედ მოახდინეს ამიერკავკასიის რუსული ნაწილის ოკუპაციაც. ეს იყო **ყარსისა და ბათუმის მხარეები, ერევნისა და თბილისის გუბერნიის ნაწილი.**

სანამ პეტროგრადში დროებითი მთავრობა არსებობდა და შემდეგაც კი, როცა 1917 წლის 25 ოქტომბერს ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ, არც ერთი ცნობილი კავკასიელი პოლიტიკოსი არ ფიქრობდა თავისი ხალხის რუსეთისგან გამოყოფას.

ისარგებლეს რა რევოლუციური ანარქიით, 1917 წელს კავკასიას თურქი და გერმანელი აგენტები მოაწყდნენ. მაშინ მიხვდნენ კავკასიის პოლიტიკოსები, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა, ხოლო პეტროგრადსა და მოსკოვში დასკუპული ბოლშევიკები თავიანთი ყაჩაღური ხელისუფლების შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, ნახევარი სამეფო მიეცათ ავსტრიელების, გერმანელებისა და თურქებისათვის, ამიტომ, თვითგადარჩენის მიზნით, დაიწყეს რუსეთისაგან გამოყოფაზე ფიქრი.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ბრესტილიტოვსკის სეპარატისტულ ხელშეკრულებას გერმანიასთან. მისი პუნქტების მიხედვით, მთელი ამიერკავკასია გერმანო-თურ-

ქულ ოკუპაციას ექვემდებარებოდა, ხოლო რეგიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ყარსი, არდაღანი, ბათუმი — თურქეთის მიერ იქნა ანექსირებული. **არც ერთ ხელისუფლებას, ბოლშევიკების გარდა, რომელიც მაშინ არსებობდა რუსეთში, ეს სეპარატისტული ხელშეკრულება არ უღიარებია.** ამასთან, ბოლშევიკებმა ძალითა და მკვლევლობებით გარეკეს ახლადარჩეული დამფუძნებელი კრება, მათი მთავრობა სრულიად უკანონოდ გამოცხადდა.

ბოლშევიკებისაგან თავისუფალ სივრცეში რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში იქმნებოდა დროებითი მთავრობები და საკანონმდებლო კრებები. ამიერკავკასიაში ამგვარ სახელისუფლებო ორგანოს ამიერკავკასიის კომისარიატი წარმოადგენდა, რომლის კანონმდებელი ორგანო იყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც 10 აპრილს **ამიერკავკასიის რესპუბლიკა გამოაცხადა**, როგორც დროებითი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რაც რუსეთში ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაკავებამ განაპირობა.

თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები არ ხერხდებოდა, რის გამოც თურქული არმია ამიერკავკასიის სიღრმეში მიიწვიდა. დაეცა ყარსი; მოგვიანებით, მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, დაეცა მიუვალი ცი-



ხესიმაგრე ბათუმი. დაიკავეს რა ახალციხის მაზრა (მაშინ იგი ტფილისის გუბერნიაში შედიოდა), მონინაალმდევის საჯარისო ნაწილები გაერთიანებული ძალით ალექსანდროპოლს და ტფილისს მიადგნენ.

თურქები მოითხოვდნენ თანხმობას ბრესტის ხელშეკრულების პუნქტებზე, მაგრამ კულუარულ საუბრებში მიაწინებდნენ, რომ, თუ ამიერკავკასიის ხალხები გამოიყენებდნენ თვითგამორკვევის უფლებას და გამოეყოფოდნენ რუსეთს, გამოაცხადებდნენ თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, მაშინ ბრესტის ხელშეკრულება მათთვის ძალას დაკარგავდა. სინამდვილეში თურქები და მათი ფაქტიური მოკავშირეები სეიმში, კავკასიელი თათრები ეშმაკობდნენ. ოსმალეთის იმპერიის გეგმაში შედიოდა, კავკასიაში რაც შეიძლება მეტ მიწებს დაპატრონებოდა, რათა იქ თავისი მოსახლეობა ჩაესახლებინა საყოველთაო სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებამდე, რაც სამთა კავშირს სამომავლოდ კარგს არაფერს ჰპირდებოდა.

კავკასიელი თათრები, უფრო ზუსტად, მათი მეთაურები ბოლშევიკური გადატრიალებისა და, ფაქტობრივად, რუსეთის დამხობის შემდეგ მზად იყვნენ საამისოდ. სომხებთან ყველაფრის ისე დამთავრებას აპირებდნენ, როგორც

ეს 1915-1916 წლებში გაკეთდა ანატოლიაში; რაც შეეხება საქართველოს, მას წინასწარ წაართმევდნენ მუსლიმანებით დასახლებულ მიწებს, დაადგენდნენ პროტექტორატს, XVIII საუკუნის ოსმანთა პროტექტორატის მსგავსს.

ეს იყო XVI-XVII საუკუნეების გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან დაბრუნება. რუსეთი განზე დარჩა, ხოლო სუსტ სპარსეთს არ შეეძლო კავკასიის ამგვარი გარდაქმნისთვის ხელის შეშლა. ინგლისელები, იბრძოდნენ რა მესოპოტამიაში, შორს იყვნენ და, ამდენად, თურქი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, განემტკიცებინათ თავიანთი მონაპოვარი. ცხადია, თავიანთ გეგმებს თურქები ქართველებს არ აცნობდნენ. და ქართველი პოლიტიკოსებიც მათ ხაფანგში გაებნენ.

1918 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, რასაც მოჰყვა აზერბაიჯანის ასეთივე გადაწყვეტილება (სომხებმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტეს ამ ნაბიჯის გადადგმა და დამოუკიდებლობა 1919 წლის 15 მაისს გამოაცხადეს), გააძლიერა კავკასიის სამხრეთის გეოპოლიტიკური ორიენტაცია. სამთა კავშირმა კავკასიის რესპუბლიკების ეს დამოუკიდებლობა მაშინვე ცნო;

ზესახელმწიფოებმა, ცხადია, იგნორირება გაუკეთეს ამ საკითხს. თურქებმა გაცილებით უფრო მძიმე პირობები წამოუყენეს საქართველოს შეთანხმების მისაღწევად. ისინი მოითხოვდნენ, მათ სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში გადასულიყო უმეტესად მუსლიმანებითა და სომხებით დასახლებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რითაც საშუალება ექნებოდათ, თურქეთის მიერ უკვე ანექსირებულ აჭარასა და აზერბაიჯანს შორის კორიდორის შესაქმნელად, იმავდროულად ჩამოაშორებდა რა სომხეთს საქართველოს. ქართველებმა დახმარება გერმანიას სთხოვეს. პასუხად გერმანელებმა თბილისში რამდენიმე საჯარისო ნაწილი გადაისროლეს, მოახდინეს ქვეყნის ოკუპაცია და ცდილობდნენ, თავიანთი თავანყვეტილი მოკავშირე მოერჯულებინათ.

თურქები სიტყვიერად სხვას ამბობდნენ, საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ — აგრძელებდნენ თავდასხმებს და აცხადებდნენ, რომ ამას ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა სჩადიოდა (და არა თურქი სამხედროები), რომელსაც თვითგამორკვევა და საქართველოსგან გამოყოფა სურდა. ადგილობრივი მუსლიმანები (ჩვენთვის ცნობილი „თურქი მესხების“ სახელით) წამდვილად თავიანთი თანამემამულეების მხარეზე იყვნენ — ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს, კლავდნენ ქრისტიანებს, ბილწავდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს... სწორედ მაშინ გაჩანაგდა სამეფო სასახლე აბასთუმანში. იმ დროიდან მოყოლებული თურქ მესხებსა და ქართველებს შორის დამოკიდებულება დღესაც მტრულია. გერმანელთა ჩარევის შემდეგ თურქთა ჯარები და პარტიზანული რაზმები მდინარე ხრამთან შეჩერდნენ, მდინარეზე ორი გადასასვლელის მოშორებით თბილისიდან.

შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კავკასიის ხალხებმა, ისარგებლეს რა სრულიად რუსეთის ხელისუფლების დაცემითა





და დასუსტებით, თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელება გადაწყვიტეს — გამოყოფოდნენ რუსეთს, რასაც ამჟამად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ოფიციალური ამტკიცებს.

ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდნენ, კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობისათვის მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად არ გაჩენილა. ისინი თურქეთის პოლიტიკური ინტრიგისა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დაშლის შედეგად აღმოცენდნენ.

„ქართველი ნაციონალების მცირე ჯგუფის შეუპოვრობის მიუხედავად, დამოუკიდებლობა ნამდვილად არ წარმოადგენდა საქართველოს მთავარ პოლიტიკურ მიზანს. მეტიც, ფიზიკურმა და პოლიტიკურმა მოწყვეტამ პოლიტიკური რუსეთისაგან (როგორც სამოქალაქო ომის შედეგი) და თურქეთა დარბევის გამუდმებულმა მუქარამ მიიყვანა საქართველო (ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი) იქამდე, რომ ოფიციალურად გაენწყვიტა კავშირი რუსეთთან“ — მიუთითებდა დასავლელი ისტორიკოსი რ. გ. სანი.

საქართველომ რომ რუსეთისაგან თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიას მიენდო,

ამის შესახებ აი, რას წერდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი (ხოლო შემდეგ საქართველოსი), გენერალი კვინიტაძე:

„1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა... რაც ვეხიბ-ფაშას დაჟინებული მოთხოვნით გაკეთდა. ჩვენს დელეგაციას გადმოეცა მისი ულტიმატუმი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის თაობაზე. მეორე დღესვე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგაც საქართველო აღარ იყო ვალდებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები დაეცვა“.

ცხადია, მაშინვე გამოჩნდნენ ქართველები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, გამხდარიყვნენ მინისტრები, ქალაქისთავეები, მთავარსარდალები. სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის გულმხურვალე მომხრეები, კავკასიელი არისტოკრატები და ინტელექტუალები, ახლა არაჩვეულებრივი მონდომებით მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების დაცვასა და რუსეთის გინებას.

კავკასიის სეიმში იძულებულნი ვიყავით, თათართა წარმომადგენლების გამოსვლები მოგვესმინა, რომლებიც რუსეთისადმი სიძულვილით სუნთქავდნენ და არაორაზროვნად მიანიშნებდნენ ამიერკავკასიელი თათრების თურ-

ქებთან მომავალ კავშირზე, რომელთანაც 1918 წელს აზერბაიჯანი, ასრულებდა რა გერმანიის ბრძანებებს, საბოლოოდ აპირებდა შეერთებას (გამოეყო რა რუსეთს).

მაგრამ პოლიტიკური ელიტის ამ დამოკიდებულებას სრულიად არ იზიარებდა ხალხი, რომელმაც ქალიან მალე გაიგო, რომ ეს დამოუკიდებლობა მას არც მორალურ, არც კულტურულ და არც მათერიალურ სარგებელს მოუტანდა, არამედ მიზოხელთა გათიქვისა და ქარცხვის უფლებას (რომლებთანაც რუსული ხელისუფლების დროს, ასე თუ ისე, ასიწლიანი მშვიდობიანად იცხოვრა) მისცემდა.

თუკი კანონიერი და ძლიერი რუსული ხელისუფლება 1918-1919 წლებში კავკასიაში დაბრუნდებოდა, ალბათ, ძნელად თუ ნაანყდებოდა წინააღმდეგობას, მაგრამ ასეთი ხელისუფლება რუსეთში იმ დროს არ არსებობდა. „თეთრები“ — ადმირალ კოლჩაკისა და გენერალ დენიკინის ხელისუფლება — აგრძელებდნენ ძველი კანონის ტრადიციულ დაცვას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო სამოქალაქო ომების პირობებში, მაგრამ ისინი სუსტები იყვნენ და გამარჯვების პერსპექტივა ნაკლებად ჰქონდათ. ამასთან, კავკასიის ქედის სამხრეთში არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდათ; რუსეთის ცენტრში ბოლშევიკები ბატონობდნენ — ისეთ დანაშაულებს სჩადიოდნენ, რომელთან შედარებითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული ხელისუფლებების უხამსობანი ბავშვურ კაპრიზებს ჰგავდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ანტანტამ არ ცნო. ზუსტად ასე ესმოდა კავკასიის სახელმწიფოებრივი სიტუაცია რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც ადმირალი ა. ვ. კოლჩაკი ედგა სათავეში. რუსეთის სამხრეთში თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ა. ი. დენი-





კინმა შემდეგი საიდუმლო ინსტრუქციები მისცა ტფილისში ამიერკავკასიის მოხალისეთა არმიის მთავარ წარმომადგენელს, გენერალ ბარათოვს:

„მთელი ამიერკავკასია 1914 წლის ომამდე არსებული საზღვრების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, როგორც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფალი ნაწილი...

უნდა მომზადდეს საფუძველი ამ მხარეთა უმტკივნეულოდ ერთ მთლიანობად გადასაქცევად, სრულიად რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ქვეშ მოსაქცევად. ამავე დროს, საერთო სახელმწიფოებრივი რუსული ხელისუფლების დამყარებამდე ნებადართულია ამ მხარეთა დამოუკიდებელი მმართველობა, რომელიც ჩამოყალიბებულია და არსებობს“.

ამასთან, ხელმძღვანელობდა რა ზოგიერთი საიდუმლო დირექტივით, ანტანტის სახელმწიფოები არ ჩქარობდნენ კანონიერი რუსული ადმინისტრაციის აღდგენას ამიერკავკასიაში. კავკასიის ოკუპაცია გრძელდებოდა „თეთრი არმიისათვის“ „ზურგის გამაგრების“ საბაბით. მოკავშირეებმა დე ფაქტოდ აღიარეს კავკასიაში არსებული საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ხელისუფლებები.

ამიერკავკასიის „ახალგამოცხადებული“ ხელისუფლებები თავიანთ ანტირუსულ პოზიციას იმაზე უფრო თამამად ავლენდ-

ნენ, ვიდრე ეს გერმანო-თურქული ოკუპაციის დროს ხდებოდა. ამგვარად, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო რუსი სოციალ-დემოკრატი და გულმხურვალე მომხრე კულტურულ-ნაციონალური (და არა ტერიტორიული, როგორც ჩხენკელი) ავტონომიისა რუსეთის შემადგენლობაში, 1919 წლის 11 იანვარს ტფილისის პარლამენტში საჯაროდ გამოაცხადა, რომ „საქართველოს საზღვრებში არ გამოვიდოდა არც ერთი გაზეთი, იქნებოდა ის რუსული, სომხური თუ სხვა, რომლის საფუძველშიც საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნებოდა ჩადებული და მისი საქმიანობაც ამ პრინციპზე არ იქნებოდა აგებული“.

ამასთანავე, ევროპელი „მოკავშირეების“ მითითებისამებრ, საქართველოს მთავრობა აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა ისლამისტ ექსტრემისტებს ჩრდილოეთ კავკასიაში. აჰმედ ნალიკოვის (ჩეჩენთა ბელადი) შტაბი ტფილისში მდებარეობდა, სოლო ქართველი გენერალი კარაგალიძე მის არმიას მეთაურობდა. ტფილისიდან ხდებოდა, ასევე, ამ ჯარების მომარაგება საჭირო იარაღით.


მთავრობის მეთაური სამხრეთ რუსეთში გენერალი ა.ი. დენიკინი წერდა:

„თუ მხადველოვები მივი-

ღებთ, რომ ინგლისმა უარი თქვა თავისი ჯარების გოლშვიკების წინააღმდეგ დაძვრაზე, სოლო ამიერკავკასიის ტერიტორია უკვე თავისუფალი იყო თურქებისა და გერმანელებისაგან, გადაწყვეტილება მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციის შესახებ მოკლებული იყო ყოველგვარ სტრატეგიულ საფუძველს. ის მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური მოტივებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი (საქართველოს მარბანეცი, აზერბაიჯანის ნავთობი და გაზსადენი: გაქო-ტფილისი-გათუში თავისთავად განსაზღვრავდა ინგლისურ პოლიტიკას). ამას გარდა, ცდილობდა რა, დაემყარებინა პროტექტორატი სპარსეთზე, ინგლისს სურდა, რეალური დაპროექტება შეეძინა რუსეთისთვის იმ ტერიტორიაზე, რომლითაც შავ ზღვაში გათუმის მიმართულებით სანაოსნო გზა გადიოდა“.

ამასთან, ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკა ფრიად მოზაიკურად გამოიყურებოდა. თურქთა წასვლის შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გარდა, შეიქმნა ბათუმის ოლქი, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა (ყარსის ოლქი, ართვინის მხარე — ბათუმის ოლქში და ახალციხის მაზრა — ტფილისის გუბერნიამი).

კავკასიის დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდი ეროვნებათაშორისი კონფლიქტებით აღინიშნა. საქართველო ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო იყო კავკასიაში და დასავლეთს წარუდგა როგორც სოციალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც აღმოსავლეთში არნახული ექსპერიმენტი მოახდინა დემოკრატიული და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. მართლაც, საქართველოში სახელისუფლო მმართველობის აპარატი, არმიისა და ადმინისტრაციული სამ-





სახურების თანამდებობები სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ხელში იყო.

1919 წლის აპრილში გენერალ კვინიტაძის მეთაურობით ქართულმა ჯარებმა დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი არდაღანამდე. რელიგიურ-ეთნიკური ომი აჭარაში, სადაც ქართული ჯარები შევიდნენ ინგლისელთა ევაკუაციის შემდეგ, 1920 წლის ივლისში, გრძელდებოდა მხარეში 1921 წელსაც, წითელი არმიის შემოსვლამდე.

მე-20 საუკუნის 10-იან წლებიდან ევროპისა და წინა აზიაში გამოკვეთილად არსებობს ორი გეოპოლიტიკური ველი: 1904-07 წლებში შექმნილ ანტანტას (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი; პირელი მსოფლიო ომის [1914-1918] დროს ბლოკს დაემატნენ აშშ და იაპონია) უპირისპირდება გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის კოალიცია.

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ ეტაპზე გერმანია ახერხებს რუსეთის ბლოკირებას და გადაბირებას: გერმანიის მხარდაჭერით რუსეთში განხორციელდა სამხედრო გადატრიალება (ჩამოაგდეს მეფე); ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები, რომელთაც, მაღლიერების ნიშნად, 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან დადეს ზავი, გამოაცხადეს რუსეთის გამოვლა ომიდან (შესაბამისად, ანტანტიდანაც).

რუსეთის მიერ მითვისებული გეოპოლიტიკური არეალი მაშინვე გადაინაწილეს ყოფილმა მოკავშირეებმა:

— 1917 წლის 23 დეკემბრის საიდუმლო მოლაპარაკებით ინგლისმა და საფრანგეთმა წითელი რუსეთის იგნორირებითა და ამერიკა-იაპონიის გარეშე გაიყვეს გეოპოლიტიკური გავლენის ზონები: ინგლისის ველში მოაზრებულ იქნა კავკასია და კაზაკების ტერიტორია დონი-ყუბანის

აუზებში; საფრანგეთს კი დარჩა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი.

პარალელურად, 1918 წლის 3 მარტს ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულებით (მე-4 პუნქტი) ყარსის, არდაღანის და ბათუმის (იმერხევ-აჭარის) ოლქები დატოვა რუსეთის ჯარმა; ამ ოლქებს მიეცათ თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოებრივი მონყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ოსმალეთთან შეთანხმებით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის (და არა – გამოცხადების!) შემდეგ კავკასიის რეგიონში ისევ ჩნდება დამხვედური ქვეყანა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიუხედავად ქართველთა სახელმწიფოს აღორძინებისა, მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები ისევ ქართველი ხალხის ნების გარეშე ინაწილებენ ქართველთა მიწა-წყალს; კერძოდ:

გერმანია თავის მოკავშირე თურქეთის გვერდის ავლით ცდილობს საქართველოს დანარჩუნებას.

ამასობაში, 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ოსმალეთმა აიძულა მენშევიკური საქართველოს, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობები, ხელი მოეწერათ „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებაზე, რომლითაც ოსმალეთმა მიითვისა: ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქის, ახალციხისა და სურმალინის მაზრები, ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მაზრების 3/4, შარურდარალაღების მაზრის 1/5.

არც ეს ხელშეკრულება შესულა ძალაში.

ამ პერიოდიდან ყველა ცდილობს, სათავისოდ მომართოს სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ბათუმელთა ნება; შესაბამისად, აქტიურდება პლებისციტებისა და მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობების თემა: იწყება ამიერკავკასიის დემოგრაფიული სიტუაციის, როგორც გეოპოლიტიკური სიმძლავრის

განმსაზღვრელი ფაქტორის, მართვის ახალი ეტაპი.

1918 წლის ივლისში ოსმალები აცხადებენ, რომ აჭარაში ჩაატარეს პლებისციტი; მათი მიზანი იყო, სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეებისთვის დაემტკიცებინათ, რომ აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას ოსმალეთთან შეერთება სურს.

ოსმალეთის მიერ პლებისციტად წოდებული აქცია ბერლინში მიმდინარე ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოთა კონფერენციაზე აჭარის მოსახლეობის სახელით დაგმეს ზიარ-ბეგ აბაშიძემ და ყადირ შერვაშიძემ. 1918 წლის 1 აგვისტოს ამ ე. წ. პლებისციტის შედეგები დარღვევების ჩვენებით გააპროტესტა საქართველოს ხელისუფლებამ. საპასუხოდ, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან მეჰმედ VI-ის რესკრიპტით არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები (საჯაყები) ოსმალეთთან შეერთებულად გამოცხადდა. პლებისციტის შედეგებიცა და ეს რესკრიპტიც მაშინვე უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნიეს საბჭოთა რუსეთმაც და თურქეთის მოკავშირე გერმანიამაც. ბუნებრივია, მათაც თავიანთი ანგარიშები ჰქონდათ.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა მუდროსის საზავო ხელშეკრულებით (30.10.1918) დათმო კავკასია. ვერსალის სამშვიდობო კონფერენციამ და ხელშეკრულებამ (10.06.1919) კი კავკასიაში საბოლოოდ დაადასტურა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია:

„ოსმალეთის ჯარების წასვლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებში ინგლისის ჯარები შემოვიდნენ და მათ ხელში გადავიდა კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია. 1919 წლის იანვარში ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი და ბათუმის ოლქი. ინგლისის ხელშეწყობით ბათუმში გააქლირდა რუსული პოლიტიკაც“.

ნია ფიტიანიშვილი

გერონტი ქიქოძე – ეროვნული იდეოლოგი

გამოჩენილი ქართველი მწერალი, ესეისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და ეროვნული იდეოლოგი გერონტი ქიქოძე დაიბადა 1885 წლის 4 სექტემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1903 წლიდან სწავლა განაგრძო ევროპაში — ჯერ ლაიფციგში, შემდეგ კი ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1920-იან წლებში უნივერსიტეტში კითხულობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს.

1927-1928 წელს გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონისა“ და აღმანახ „არიფიონის“ ხელმძღვანელიც („არიფიონის“ წევრები იყვნენ ვ. გორგაძე, შ. დადიანი, კ. კაპანელი, ბ. მელიქიშვილი, ლ. მეტრეველი, ი. მოსაშვილი, მ. მრეველიშვილი, დ. სულიაშვილი, ი. ტატიშვილი, პ. ქავთარაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, კ. ჭიჭინაძე, მ. ჯავახიშვილი).

ბრწყინვალე განათლებისა და შესანიშნავი ქართულის მცოდნემ დიდი წვლილი შეიტანა ფრანგული ლიტერატურის შედევრების ქართულ ენაზე თარგმნაში. ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშად ითვლება გერონტი ქიქოძის მიერ ფრანგულიდან ნათარგმნი „ტრისტანი და იზოლდა“, „ნითელი და შავი“. „იტალიური ქრონიკები“, „შაგრენის ტყავი“, „პროსპერ მერიმეს ნოველები და სხვ.

მშვენიერი გემოვნების ლიტერატორის კრიტიკული წერილები და ესეები ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის. დიდებულია ის, როგორც ეროვნული იდეოლოგი.

გერონტი ქიქოძე გარდაიცვალა 1960 წლის 1 აგვისტოს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მკითხველს ვთავაზობთ გერონტი ქიქოძის ერთ შესანიშნავ იდეოლოგიურ წერილს „ენა და ეროვნული იდეოლოგია“, რომელიც დაიბეჭდა 1914 წელს „სახალხო ფურცელში“. მაშინ ავტორი მხოლოდ 29 წლისა იყო. ამ წერილით ბევრ რამეს ისწავლის ერის ბედზე დაფიქრებული კაცი. ეს წერილი ძალიან აქტუალურია დღესაც, რადგან საქართველოში ქართული ენისა და კულტურის ყოვლისმომცველად გავრცელების აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე გვესაუბრება.

1914 წელს საქართველოს არ ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრიობა და მაშინ ამგვარი ოპტიმისტური და ეროვნული წერილის დაწერა გერონტი ქიქოძის მტკიცე მამულიშვილურ თვითშეგნებაზე და



დიდი იდეოლოგისათვის დამახასიათებელ მომავლის განჭვრეტაზე მიგვითითებს.

ძმობის, ერთობისა თავისუფლების იდეები სხვა ხალხებსაც უტარებიათ, მაგრამ ბიძაშვილობის, სტუმართმასპინძლობის, სხვებისთვის თავის განირვის ჩვეულება ასეთი გამჯდარი სისხლში და გენში ბევრ ერს შეიძლება არ ჰქონდეს. ეს კი შემთხვევით არ ხდება, როგორც ჩანს, ღმერთი რალაციისთვის გვამზადებს, რალაციით უნდა დავეხმაროთ კაცობრიობას...

თუმცა მანამდე არა ერთი გამოწვევისათვის პასუხის გაცემა საჭირო, არა ერთი ხიფათია გადასატანი და ამ განსაცდელთაგან უფალი გვიცავს...

ამ გზაზე გერონტი ქიქოძის და სხვა დიდი იდეოლოგების ნააზრევს დიდი მნიშვნელობა აქვს. გერონტი ქიქოძის წინამდებარე წერილში დაკვირვებული მკითხველი უამრავ საგულისხმოს იპოვის.



ენა და ეროვნული ენაობა

ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჭმულობას და გრძნობათა მრავალფეროვნებას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც. ეს იმიტომ, რომ **ენა არ არის სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალა-როა იღვასთა და ემოციათა.**

დღეს საყოველთაო ქვეყნარტეზადაა ცნობილი ის დებულება, რომ ენა და აზროვნება ორი სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე სულიერი პროცესისა. იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების, ანუ სიტყვიერი გამოთქმის წყობილება სავსებით ეთანაბრება აზროვნების მიმდინარეობას. ამიტომ ენის სხვადასხვაობა ყოველთვის აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მონიშნავს მრავალი გზით. **ორ მეზობელ ერს ვერავითარი ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდე ვერ აშორებს ისე, როგორც მათი ენა.**

მაგრამ ენა არ არის მხოლოდ გათიშვის იარაღი: ის ძლიერ შემართებული და შემადუღებელი ელემენტიცაა. მისი შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს იმიტომ,

რომ ის აკავშირებს არა მარტო ცოცხალ თაობებს ურთიერთ შორის, ის ერთიმეორეს უახლოვებს წარსულს, აწმყოს და მომავალსაც. აი, აქ იჭერენ მიცვალებულნი ცოცხალთ. ისინი მათ ანდერძად უტოვებენ სიტყვათა და გამოთქმათა საუნჯეს. მაგრამ, რადგან სიტყვა იდეის კალაპოტშია, შთამომავლობა წინაპრებისაგან სიტყვასთან ერთად ტრადიციულ იდეასაც ღებულობს მემკვიდრეობით.


აქედან ცხადია, რომ **რაც უფრო მდიდარია ამა თუ იმ ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მდიდარია მისი სული, მით უფრო მრავალფეროვნანია მისი ენა.** კულტუროსანი ენის რიტმი მარტო გარეშე საგანთა ფხიზელ შთაბეჭდილებას როდი იძლევა. ის ააშკარავებს ძველისძველ ჩვეულებებს, დრომოჭმულ ტრადიციებს, აჩრდილისებურ ცრუმორწმუნეობებს, ის ხატავს უღრან ტყეებს და თვალუნვდენელ მინდვრებს, რომელნიც ერთ დროს ცის ტაცნობს საზღვრავდნენ, ის გვანიშნებს საგანთა ბნელ სულთ, რომელნიც ჩვენს შორეულ წინაპართათვის არსებობდნენ და ჩვენთვის აღარ არიან.

ამიტომაც, რომ **შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღე-**

ბით, რომორც თავის ენას. ის მას ერთი მხრით სწმენდს უცხო ელემენტებისაგან, მეორე მხრით მის გარეთ გატანას ცდილობს. ამგვარად იბადება ორი მიმდინარეობა, ორივე დამახასიათებელი ეროვნული ენერგისათვის: **მოძრაობა პურისტული და მოძრაობა ექსტენსიური.** პირველი, უწინარეს ყოვლისა, სინტაქსისა და ლექსიკონის სფეროში აშკარავდება; მეორე კი ყველაზე ძლიერ სიტყვაკაზმული მწერლობის შემწეობით ხორციელდება. ენის ლექსიკონი იზრდება და იწმინდება ეროვნული აქტივობის წყალობით, მისი სინტაქსი თანდათან ყალიბდება. ამგვარად, განმტკიცებული ენა უპირდაპირდება დაუმთავრებელ, უსუსურ, უკულტურო ენებს და ამარცხებს მათ: ამარცხებს არა ძალმომრეობით, არამედ პოეზიისა და ლიტერატურის შემწეობით.

ენერგიული ერები — ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თავიანთ ენას თანდათან უფართოებენ სამოქმედო ასპარეზს, როგორც ამას ძველი რომაელები შვრებოდნენ. როგორც ერთ დროს ლათინური, ისე ახლა ფრანგული, გერმანული და ინგლისური სცილდება ნაციონალურ საზღვრებს და ინტერნაციონალურ კუთვნილებად ხდება. **ენა უფრო ბასრი იარაღი აღმოჩნდა, ვიდრე შუბი ან ხმალი იყო და პოეზიამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც თოფმა, ვერც ზარბაზანმა.**

ძველი ქართველობა ენერგიული ერების რიცხვს ეკუთვნის. მისი ენერგია გამოიხატა არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ განცდილ ომებში: ეს ენერგია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა. თავის მეზობლებს ქართველობამ შეათვისებინა თავისი საეკლესიო ენა და სასულიერო ლიტერატურა, თავის მეზობლებს მან თვალწინ დაუყენა საუკეთე-





სო ნიმუში ეროვნულად გამოკვეთილი საერო პოეზიისა.

თვით ნასესხებ, უცხოეთიდან გადმოტანილ ლიტერატურაში მან ძლიერი ნაციონალური ელემენტები შეიტანა. სპარსული პოემები და რომანები მან უფრო გადმოაქართულა, ვიდრე გადმოთარგმნა: ერთი გერმანელი მეცნიერისა არ იყოს, „ვისრამიანი“ კიდევ უფრო თამამად შეიძლება ქართულ ეპოსად ჩაითვალოს, ვიდრე „ტრისტანი და იზოლდა“ — გერმანულად.

ქართული ენის სამოქმედო ასპარეზი თანდათან შევიწროვდა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში; მან ზედიზედ დაკარგა სახელმწიფო დანესებულებები, სკოლა, ოჯახი. ამასთან ერთად, ის შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით.

სალი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტარმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერბიოა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება. იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეები იშვიათად სცილდებიან პანია ესკიზებსა, მინიატურებსა და კუპლეტებს და უზომოდ იტანჯებიან, როცა რაიმე შემთხვევა მათგან მეტ გონებრივ ენერგიას მოითხოვს.

აუცილებელზე აუცილებელია ჩვენი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ამისათვის კი საჭიროა არამარტო ჩვენი კლასიკური მწერლობის შესწავლა, არამედ ხალხური ენის გაცნობაც. **ქართული ლიტერატურული ენა ისა უნდა გაინდოს, რომ არ ბალარბდეს.** მნივნობართა ენა, უნინარეს ყოვლისა, აბსტრაქტული ტერმინებითაა მდიდარი: მხატვრული, ცხოველფერადებიანი სიტყვები უფრო ხალხურ ლაპარაკში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ხალხი სხვადასხვა კილოს ხმარობს სხვადასხვა პროვინციაში. ცხადია, ლიტერატურულ ენას საფუძვლად უნდა დაედოს განსაზღვრული პროვინციის კილო, რომელიც ისტორიული, სოციალური და ესთეტიკური უპირატესობით არის აღჭურვილი. ასეთი კილო ქართლურია.

რასაკვირველია, ქართლის ლექსიკონი უნდა გამდიდრდეს სხვა პროვინციებიდან შემოტანილი სიტყვებით, მაგრამ სამწერლო ენის ძირითადი ფონდი მაინც ქართლური უნდა დარჩეს. ასეთი ენა გამოგვიყვანს თანამედროვე ბაბილონისებურ მდგომარეობიდან, ასეთი ენა საუკეთესო იარაღი იქნება მთლიანი საქართველოს იდეის გასამტკიცებლად. ის ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული აზროვნების განვითარებასაც.


მაგრამ მარტო ენის განმენდა როდი კმარა ეროვნული ენერგის

ის გასაღვივებლად: **ენისთვის საჭიროა ფართო სოციალური საფუძვლის შექმნაც,** ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენს დედაენას ხელახლა უნდა დავუპყროთ ის პოზიციები, უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში რომ დაჰკარგა.

დღეს შეგვიძლია იმის თქმა, თუ სად შეჩერდება მომავალში ეს ლტოლვა. მართალია, თანამედროვე ქართველობას აღარ ძალუძს ფართო საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება; მართალია, ქართული ლიტერატურა ისეთი ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ მისი შემწეობით შეიძლებოდეს სხვა ერების სულიერი დაპყრობა, მაგრამ თვით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მოიპოვებიან სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც ძალაუწებურად დაემორჩილებიან ჩვენი ენისა და კულტურის ზეგავლენას, თუკი სათანადო ენერგიას გამოვიჩენთ. **ჩვენ არავის ვაიძულავთ ჩვენს სამშობლოში იქნოს ბედნიერება, მაგრამ რაკი უცხოელები თავიანთი სურვილით მოდიან და ჩვენს მინანქალზე ესახლებიან, ზნეობრივი უფლება გვაქვს, ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ.**

წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილზმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა, გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტული სენსაციები. ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრდემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ღიმილი შეყვარებული ქალ-ვაჟისა. ის ხატავს ჩვენს მოღუშულ მთებსა და მოღიმარე მდელოებს, ვეშაპის ხმიან ჩვენს ჩანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს უღრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა.

„სახალხო ფურცელი“, 1914 წელი





რა სენსაციური ჩანაწერები დაგვიტოვა აკაკი სორაძემ?

ამ ვებგვერთელა მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეს უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები — ეხება ეს თეატრს თუ საზოგადო ყოფას — ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერიდან ჩანდა. XXI საუკუნის საქართველო, იქნებ, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანაწერების ავტორს (ამ გადასახედიდან ხომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს), მაგრამ, ვფიქრობთ, იმ ეპოქის თუ გარემოს გაცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის. მერე რა, რომ ამ ჩანაწერებში შეხვდებით მსახიობის კოლეგებს, რომლებიც მთლად მისაბაძი საქციელით არ გამოირჩევიან; იმავე დროს, შეხვდებით ლაგრენტი ბერიას, საქართველოს ცკ-ის ამა თუ იმ მდივანსა თუ თანამშრომელს, რომლებიც კოლეგებისგან დაბეზღებული მოღვაწის გადარჩენაზე „ზრუნავენ“, შეხვდებით კეთილ, სტუმართმოყვარე ბელადს, რომელსაც ქართველებთან ყოფნას არაფერი ურჩევნია; აქვე სხვა დიდი მსახიობებისა თუ რეჟისორების მისამართით გამოთქმულ საყვედურსა თუ მწარე კრიტიკასაც ამოიკითხავთ, მაგრამ გვინდა, შეგახსენოთ — ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვალთ დახახული ის მოვლენებია, რომლებიც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოეთში ხდებოდა, და ამ ჩანაწერებს სულაც არ აქვს უდავო ჭეშმარიტების მტკიცების პრეტენზია.



(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №5-7)

ვცხოვრობდით სასტუმროში. აქვე ვსაუზმობდით და ვსადილობდით. ერთ დილას ჩაის დასალევად სასტუმროს რესტორანში შევედი. იქ ყოველდღე იჯდა ხოლმე თავის მაგიდასთან ცნობილი სომეხი მსახიობი აბელიანი. აბელიანი ხშირად ესწრებოდა ჩვენს წარმოდგენებს და ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ჩვენით. რომ დამინახა, მიმიწვია თავის მაგიდასთან. მთხოვა, მასთან დავმჯდარიყავი. მეც უარი არ ვუთხარი, — მაინტერესებდა ამ დიდი მსახიობის გაცნობა და მასთან გასაუბრება. უყვარდა კონიაკის დალევა. მომანოდა მეც და ასე შევეყვით ლაპარაკს და თანაც პატარ-პატარა სასმისებით კონიაკს ვსვამდით. ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. ყვებოდა თავის ახალგაზრდობაზე, ამა თუ იმ როლის შესრულებაზე, იგონებდა

ქართველ, სომეხ და უცხო ქვეყნების მსახიობებს. ისე შევეყვი ამ საინტერესო საუბარს, რომ ვერც კი შევამჩნიე, კონიაკი როგორ მომეკიდა. მალე სადილობის დროც მოვიდა. იმ საღამოს იჩოს ვთამაშობდი. გამოვემშვიდობე. ვატყობ, მთვრალი ვარ. ყველამ იცოდა, რომ თეატრში მთვრალი მისვლა, საზოგადოდ, და ჩემ ირგვლივ შექმნილი ვითარებისა გამო, ჩემსა და ახმეტელს შორის დიდ სკანდალს გამოიწვევდა. წარმოდგენის დაწყებამდე დიდი დრო იყო. პირი დავიბანე, სარჩიმელიძემ მანქანა იქირავა და მთელი ერთი საათი დავდიოდი ქალაქში, რომ სიმთვრალე გამსვლოდა. მოვასწარი ერთი საათით წაძინებაც. და თავის დროზე თეატრში სრულიად ფხიზელი გამოვცხადდი. რასაკვირველია, ახმეტელი დაარწმუნეს, რომ მე მთვრალი მოვედი და მესმოდა ახ-

მეტელის ლანძღვა-გინება ჩემი მისამართით გვერდითი საპირფარეოდან. წარმოდგენა ჩვეულებრივად ჩატარდა.

მე სრულიად ფხიზელი ისევე მსუბუქად დავდიოდი და ხელზე წამოწოლილს ვატარებდი ლამარას ძალზე დაქანებულ დეკორაციაზე. ახმეტელმა ხელი ჩასჭიდა ამ ამბავს და თურმე იმუქრებოდა, რომ მე თეატრიდან მომხსნიდა. **მე მესმოდა ეს ხმები, მაგრამ მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია — როგორ ვიფიქრებდი, რომ საშა ისე დაწვრილმანდებოდა, რომ მომხსნიდა თეატრიდან წარმოდგენის ჩატარებისას სრულიად უდანაშაულოს.** ბაქოში ყოფნის დროს სანდრომ არაფერ მითხრა. დამთავრდა გასტროლები. თბილისში ჩამოვედით. ცოტა ხნის შემდეგ შევეუდექით მომავალი სეზონისთვის მზადებას. ერთ დილით მოვდივარ რეპეტიციაზე. გასახდელთან შემხვ-



და დასის გამგე ივ. ლალიძე და მითხრა, რომ ახმეტელმა მომხსნა და მთხოვა, სარეპეტიციო დარბაზში არ შევსულიყავი. რასაკვირველია, ეს ძალზე მეოცა. რეპეტიციაზე არ შევედი. მინდოდა, მენახა ახმეტელი. სცენაზე შესასვლელ კორიდორში შევხვდი მას. მარტო ორნი ვიყავით. უნდოდა, გვერდი აევლო ჩემთვის. გავაჩერე და ვუთხარი: ცოტა ხანს შეჩერდი, საშა. ახლა გავიგე, რომ შენ დაგინერია ჩემი თეატრიდან მოხსნის შესახებ. მე ამაზე არაფერს გეუბნები. რაკი ასე გინდა, ასე იყოს. ალბათ, თეატრისათვის ასე სჯობს, თუმცა ჩემი მოხსნა შენი გულიდან არ გამოდის. მე კარგად ვიცი, რაშია საქმე. ბევრი წელი მე და შენ ერთად ვიბრძოდით თეატრის გამარჯვებისთვის. ვიყავით მაგარი მეგობრები. შენ ბევრი გაგიკეთებია ჩემთვის, რისთვისაც მაღლობელი ვარ. მოდი, დავშორდეთ ერთმანეთს, როგორც ამხანაგები. ახლა დაიწყება თბილისში ქორიკნობა, ამით ისარგებლებენ რუსთაველის თეატრის მტრები. მოვიქცეთ კეთილშობილურად. დავიფაროთ ჩვენი წარსული მეგობრობა, რომ მე არ გავხდე მიზეზი ქორებისა და მითქმა-მოთქმისა. მე ახლა ნავალ სახლში და იქიდან არ გამოვალ. არავის შევხვდები. არავის არაფერს ვეტყვი. შენც გირჩევ, ნაკლები ილაპარაკო, მე რომ ვიცი შენი ამბავი — რომ გაბრაზდები, გონიერებას კარგავ და რას ამბობ, შენ თვითონ არ გესმის. მაგრამ იცოდე, საშა, თუ გავიგე, რომ შენ თავის მართლების მიზნით ჩემზე ცუდს ილაპარაკებ ან სახელის გატეხას დამიპირებ, მაშინ მე ვიტოვებ უფლებას მოქმედებისას. გისურვებ გამარჯვებას შენა და შენს თეატრს. მეც მცირე წილი მიდევს ამ თეატრის საქმიანობაში. იყავი კარგად.

ჩამოვართვი ხელი, გადავკოცნე, გამოვბრუნდი და წავედი სახლში ისე, რომ არავისთვის არა მითქვამს რა. ბინიდან სრულებით არ გამოვსულვარ. რასაკვირველია, დაიწყო თურმე ქალაქში მითქმა-მოთქმა, ათასი ქორები.

წულუკიძე და მისი დამქაშები რას არ ამბობდნენ ჩემზე, რომ საშას მიერ ჩემი დათხოვნა ხალხში გაემართლებინათ. რასაკვირველია, ჩემი ამხანაგები აღშოთებულნი იყვნენ. ჩემმა დათხოვნამ ხალხშიც და ხელისუფლებამაც აღშოთება გამოიწვია.

ჩემ გვერდით ცხოვრობდა ივ. აბაშიძე. ერთ საღამოს, როდესაც აივანზე ვიყავით და ჩაის შევექცეოდით, გაიღო აბაშიძის დერეფნიდან კარი და სრულიად მოულოდნელად შემოვიდა წულუკიძე, მოგვესალმა და მითხრა, რომ ჩემთან საქმე ჰქონდა. ძალზე გამიკვირდა: წულუკიძე, რომელმაც თეატრში დაატრიალა ორომტრიალი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ საშა და მე დავშორებოდით ერთმანეთს, ჩვენს ოჯახში მოდის, თითქოს არაფერი მომხდარა, შენობით მელაპარაკება, რასაკვირველია, ამან აღმაშფოთა, მაგრამ მასპინძელი ვიყავი და არ შემეძლო, წულუკიძე სახლიდან გამეგდო. მითხრა (რუსულად): „საშას შენთან პირისპირ უნდა ლაპარაკი. მას არ უყვარს ვასაძე და მასთან ლაპარაკიც არ სურს. ღამით მანქანით გამოგივლის და ქალაქგარეთ წაგიყვანს სალაპარაკოდ. ის შენ აუცილებლად დაგაბრუნებს თეატრში. არ ინერვიულო, აუცილებლად შეთანხმდებით.“

— მე თავი არ ვარ, კატასავით რომ მეთამაშოთ. რაზე უნდა ველაპარაკო? მან მომხსნა და ესე იგი მას ასე უნდოდა. პატარა ბიჭი ხომ არ არის, არ იცოდეს, რას აკეთებს. მე მას არ შევხვდები. ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ თქვენ და საშა მლანძღავთ. მე კი, როგორც ხედავთ, სიტყვას ვასრულებ — სახლიდან არ გამოვდივარ. თქვენც გამოიჩინეთ თავშეკავება“.

ვუთხარი ეს და განზე გავდექი. წულუკიძე წავიდა — მაინცადამაინც ჩემი ოჯახის წევრებსაც სიხარული არ გამოუჩუქავნებიათ წულუკიძის სტუმრობით. მისი წასვლის შემდეგ სულ ვფიქრობდი, რა მანევრი იყო ეს საშას მხრიდან. რა მახეს მიგებდნენ კიდეც. **ვფიქრობდი, რომ საშას სურდა ჩემი და**

ვასაძის ნაჩხუბება და ამიტომ სურდა ჩემთან მოლაპარაკება (როგორც თ. ბაქრაძემ გადმომცა, საშას უთქვამს მისთვის — რას გადაეკიდა აკაკი ამ ვასაძეს, რა არის მათ შორის საერთო). რასაკვირველია, თეატრში ჩემმა მოხსნამ დასის გათიშვა გამოიწვია. პროტესტის ნიშნად თეატრიდან წასვლა გადაწყვიტეს ვასაძემ, პატარაძემ, ტუშკიამ, ალსაბაძემ, ირ. ბამრაქაძემ, სალარაძემ, მ. აფსანიძემ, სტ. ჯაფარიძემ, თუშიშვილმა, ლაფაჩამ და ზომამ სხვამაც. გადაწყვეტილი ჰქონდათ, წასულიყვნენ ყველანი რომელიმე რაიონის თეატრში და იქ ემუშავათ. ახმეტელს კი სავსებით მოშორებოდნენ.

ერთ საღამოს დანამდვილებით გავიგე, რომ ახმეტელი ჩემი უარის შემდეგ საშინელ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა ჩემ შესახებ საზოგადოებაში. პარტიულელებში ამბობდა, რომ მე მენშევიკი ვარ, ტერორისტი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ხოლო უპარტიოებში ამბობდა, რომ მე ჩეკისტი ვარ და სხვა ასეთი. ამის გაგებას საშინლად აღმაშფოთა. როგორ შეიძლება, კაცი ისე გაბოროტდეს, რომ თავის ყოფილ მეგობარზე ასეთი სისაძაგლეები თქვას. **ეს პროვოკაცია ვერ მოვიტოვებ და გაბრაზებული ჩავიდე (ახალი დაღამებული იყო) ჩავიდევი რევოლუციური ჯიბეში, გავპარდი სახლიდან და წავედი თეატრისაკენ იმ გაბრაზებით, რომ ახმეტელი მომიკლა.** ვერ მოვიტოვებ მისი ასეთი ჩემი დამცირება და შეურაცხყოფა. ალბათ, ძალზე გულმოსულმა გონება დავკარგე. ერთი აზრი მიტრიალებდა — ახმეტელი მომეკლა და ამით ჩემი სახელი დამეცვა. რომ გზაში არავინ შემხვედროდა და რომ ჩემი მეუღლისთვის გზაკვალი ამებნია (ნინა მიხვდა, რომ მე კარგ საქმეს არ ვაპირებდი, ალბათ, სახეზე მეტყობოდა აფორიაქება და გამომედევნა) ავედი ზევით და მიხვეულ-მოხვეული გზით მთის გასწვრივ თეატრისაკენ თითქმის

გავრბოდი. ჩამოვედი ქავეჭავაძის ქუჩით. გადავედი ოპერისაკენ და გავეშურე თეატრისკენ. ოპერის წინ გაჩირაღდებული იყო — ნარმოდგენა ახალი დაწყებული იყო. კი არ მივდიოდი, მივრბოდი. შვილო, აკაკ, — შემომესმა ხმა, მივხვდი, ჩემ წინ გაჩნდა ყოფილი მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი. წამავლო ხელი და გამაჩერა (ანდრონიკაშვილი რალაც ნათესავად ერგებოდა ჩვენებს). დამინყო რალაც ლაპარაკი, ხელს არ მიშვებდა. საიდანაც ჩემი მეუღლეც წამომენია, ორივემ ჩამჭიდეს ხელი და არ მიშვებდნენ. ვერაფრით შევძელ, თავი დამეძვრინა მათგან. ქუჩაში ხალხი მიდიოდა, ალბათ, უჩვეულო სანახავი ვიყავი. ნაცნობები შემოგვეხვივნენ. ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ჩვენს სახლში მოდიოდა და მთხოვა, გავყოლოდი. ამ ქაჩავ-ქაჩავში გულმა გადამიარა და მეც უკან დავბრუნდი. ახლა რომ ვფიქრობ, — რა დიდი მაღლიერების გრძნობით ვიგონებ ანდრონიკაშვილს და ჩემს მეუღლეს, საშინელ საქმეს რომ გადამარჩინეს. ერთ ნუთს რომ წარმოვიდგენ, რომ მე საშას მოვკლავდი და, რასაკვირველია, მეც თავს მოვიკლავდი, შემდეგ დაიწყებოდა ჭორები, ვინ იცის, რას არ დამწამებდნენ, გავაუბედურებდი თეატრს, ჩემს თავს, ჩემს ოჯახს. რასაკვირველია, ეს საშინელება იქნებოდა.

დანამდვილებით ვიცი, რომ საშას ურჩევდნენ ჩემს აღდგენას, არწმუნებდნენ, რომ თეატრიდან ჩემმა მოხსნამ ხალხში და თეატრის მეგობრებში უკმაყოფილება გამოგინვია. არაერთხელ მოსულან ბერიასგან, ცეკადან წინადადებით, რომ ცეკას აზრია, მე აღდგენილი ვყოფილიყავ. მაგრამ საშა ჯინიანი კაცი იყო და არავის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა.

ზაფხული დაიწყო და კოლია შენგელაიამ მიმიწვია კინოსურათში „ნარინჯის ველი“ მონაწილეობის მისაღებად. მეც დავტოვე თბილისი და ნავედი ქობულეთში კინოექსპედიციაში. თურმე ახმეტელიც თავის ცოლით ქობულეთში ისვენებდა, მაგრამ მე მას

არ შევხვედრივარ.

თბილისში დაბრუნებისას ბერიამ თითქმის ყველა, ვინც აპირებდა თეატრიდან წასვლას, გამოიძახა თავისთან, მეც გამომიძახა. საკითხი იყო თეატრის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვთხოვდით, რომელიმე სხვა თეატრში გავეგზავნეთ. უცბად ბერიამ თქვა: „როგორ ფიქრობთ, თეატრი ზალიან დაზარალდება, თუ ახმეტელს მოვხსნით?“

მე ეს ძალიან მეუცხოვა და ვთქვი: „რა თქმა უნდა“.

„ეს როგორ?“ — ისევ მკითხა. ვუპასუხე: „90 პროცენტით“.

მოუვიდა გული და მითხრა: „დაბრძანდით. თქვენ არაფერი გესმით პროცენტების“.

მეც გავჩუმდი. დამსწრენიც გაჩუმებულნი იყვნენ, მალე დაგვიტხოვა.

მე დიდად ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ ახმეტელს, როგორც დიდ შემოქმედს. მე დიდად მაღლიერი ვარ მისი და არასოდეს დავივწყებ, რაც ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, გააკეთა. მაგრამ ახლა საქმე ჩემში როდია. **როგორ შემეძლო, წარმომედგინა რუსთაველის თეატრი უახმეტელოდ. მან ისე, როგორც არავინ, სახელი გაუთქვა ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობს, ქართველ რეჟისორს, თეატრს მთლიანად, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კავშირგარეთაც. მან შექმნა ნამდვილი ქართული თეატრი და დასახა გზები მისი შემოქმედებითი განვითარებისა. რასაკვირველია, თეატრს ჰქონდა აქა-იქ შეცდომები, მაგრამ თეატრი ზრდის პროცესში იყო და შეცდომებიც წარმოდგენიდან წარმოდგენამდე სწორდებოდა.**

მართალია, მე მოხსნილი ვიყავი თეატრიდან, მაგრამ ხომ არ შემეძლო რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ მეფიქრა ასე: „თუ მე არ ვიქნები, ყველაფერი წყალს წაულია“. ახმეტელი უნდა დარჩენილიყო თეატრში და განეგრძო მუშაობა ქართული თეატრის დიდებისთვის. ამიტომაც იყო, რომ ჩავიკეტე სახლში, გარეთ არ გამოვდიოდი და, როდესაც შემთხვევა

მომეცა, თბილისს გავცილდი. მე არ მინდოდა, ჩემის მეოხებით თეატრს რაიმე ზიანი შემთხვევოდა. მე ისევ კინოში ვმუშაობდი და თეატრში არ გამოვჩენილვარ.

არ გასულა რამდენიმე დღე და გაზეთში დაიბეჭდა ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ ახმეტელი განთავისუფლებულია თეატრიდან და დანიშნულია მთავარ რეჟისორად აკაკი ვასაძე და მასთან სარეჟისორო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ვასაძე, დავითაშვილი, პატარიძე, ტუსკია, ირ. გამრეკელი და მე. არ მახსოვს, იყო სხვებიც თუ არა.

ჩემთვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. ახმეტელის მაგივრად ვასაძე ძნელი წარმოსადგენი იყო.

როდესაც ახმეტელმა მიიღო ეს ცნობა, შეაგროვა დასი და დაიწყო დადგენილების დამუშავება. წულუკიძის მომხრეები გაიძახოდნენ, რომ არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას და სხვა ამგვარი. ახმეტელი, რასაკვირველია, არ მოელოდა მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას და მთელი სიბრაზე ჩემზე გადმოიტანა — მლანძღავდა, როგორც კი შეეძლო. კრებებზე ამბობდა, რომ მე კონტრრევოლუციონერი ვარ, ტერორისტი ვარ და სხვა ამგვარი. დასში იყო გინება ბერიასი.

ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა მუშაობას. ახმეტელს და მის მომხრეებს ჰქონდათ კრებები და გადაწყვიტეს, ახალი ხელმძღვანელობისათვის ჩუმი წინააღმდეგობა გაენიათ. უშლიდნენ მუშაობას ხელს, დასში არევ-დარევა შეჰქონდათ და სხვა ასეთი. ყველას სწყინდა, რომ ახმეტელის საქმე ასე დაბოლოვდა, მაგრამ პარტიის დადგენილება დადგენილება იყო და მას ყველა უნდა დამორჩილებოდა. უმრავლესობა დასისა შეუდგა მუშაობას. **ახმეტელმა გადაწყვიტა, რომ თავის ცოლთან ერთად მოსკოვს წასულიყო და იქიდან ებრძოლა ბერიას წინააღმდეგ. მისი მომხრეები თეატრში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახმეტელი ბერიას დაამარცხებდა და დაბრუნდებოდა თეატრში ისევ.** იმხანად თეატრის



დირექტორად დაინიშნა ვინმე გუგუნავა, ჩეკისტი, რომლის უჭკუო ხელმძღვანელობამ სულ აურია საქმე. დასში დარჩენილ ახმეტელის მომხრეებს და თვით ახმეტელს მოსკოვიდან ჰქონდათ მიწერ-მოწერა. რასაკვირველია, ამ წერილებში იყო ბერიასი და ჩვენი გინება და დარჩენილების გამხსნევა, რომ ბერიას მალე მოეღებოდა ბოლო.

როგორც გამოიჩვენა, ეს წერილები ხელში უფარდებოდა გუგუნავას და მას კი მიჰქონდა ხელმძღვანელობასთან. თეატრიდან გაიტაცეს „დურუჯის“ დოკუმენტები, სხვადასხვა მიწერ-მოწერა ჩააბარეს მსახიობ პლ. კორიშელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კონსპირაციის მცოდნე იყო; მან ეს „დოკუმენტები“ რკინის ყუთში ჩასდო და სადღაც მიწაში ჩამარხა. ახმეტელი დადიოდა მოსკოვში ცეკას წევრებთან და აგინებდა ბერიას — მათი მეოხებით სურდა ბერიას ჩამოგდება. რასაკვირველია, მოსკოვიდან ბერიას ყველაფერს აცნობებდნენ.

ერთი ასეთი წერილიც კი დაიჭირეს ახმეტელისა, სადაც ის ახალ ხელმძღვანელობას სამშობლოს მოლაღატებად თვლიდა და აიძულებდა თავის მომხრეებს, მალე დადგება „ჩვენი დრო“ და იმ „ერის გამყიდველებს“ სასტიკად ვაგებინებთ პასუხს, ვურჩევნებთ სეირსო. ყველაფერი ეს გუგუნავას სიტყვებიდან ვიცოდით. ოცდათექვსმეტ წელს თეატრი მოსკოვში გაიგზავნა საგასტროლოდ, სადაც წარმატება ხვდა. ამბობენ, ახმეტელი ჩვენს წარმოდგენებს ქანდარიდან უყურებდაო. მოსკოვიდან დაბრუნებულები განვაგრძობდით მუშაობას. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ ახმეტელი მოსკოვში დაუპატიმრებიათ (მისი მოხსნის ერთი წლის შემდეგ) და ჩამოუყვანიათ თბილისში. ახმეტელთან ერთად დააპატიმრეს მისი აქტიური თანამებრძოლებიც: შავიშვილი, ელორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, პ. კორიშელი, ივ. ლალიძე, თ. ქანთარია, ლვინიაშვილი, ნულუკიძე, რასაკვირველია, ეს ტრადიცი

იყო ჩემთვის. ახმეტელისა და ნულუკიძის უჭკუობამ, წინდაუხედაობამ, ახალგაზრდა მსახიობების უვიცობამ და გულუბრყვილობამ დაპატიმრებამდე მიიყვანეს ისინი და ბოლოს დალუპვამდეც.

ეჭყობა, ახმეტელმა და ნულუკიძემ სრულიად დაკარგეს გონება, დაავინწყდით, რა სახელმწიფოში ცხოვრობენ, რა წყობილებას ეწინააღმდეგებიან და ისიც საშინელ 1937 წლის პერიოდში. რასაკვირველია, მათი დაპატიმრება ჩვენ დაგვბრალდა (ამას აპრციალებდნენ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები). მე არ ვიცოდი სხვა და მე სრულიად არაფერი ვიცოდი ახმეტელის მიერ წამოწყებული „ბრძოლის“ და ვცდილობდი, არ გავრეოდო ამ ბრძოლაში.

მეცოდებოდა ახმეტელი, რაც უნდა იყოს, ჩემი მეგობარი იყო კონფლიქტამდე. გული მტკიოდა მისი უჭკუო საქციელისა გამო და აღშფოთებული ვიყავ ნულუკიძით, რომლის კარიერისტულმა მისწრაფებებმა საშინელ ტრადიციებში ჩააგდო თვით ახმეტელიც და მისი მომხრეებიც. მინდოდა შველა, მაგრამ რა შველა შემეძლო, როდესაც მე თვითონ ბენჯზე ვეკიდე (ისევე ავრცელდებდნენ ხმებს, რომ მე მენშევიკი ვარ — არასდროს ვყოფილვარ არც ერთ პარტიამში), ტერორისტი ვარ, რეზიდენტი ვარ და, ვინ იცის, კიდევ რა. მე დღემდე გულისტკივილით ვიგონებ იმ დღეებს და ვერ შევრიგებულვარ იმას, რომ კარგმა ამხანაგმა, შესანიშნავმა შემოქმედმა — ნულუკიძის ჭკუას აჰყვა და — გაიუბედურა თავიც და თავისი მომხრეებიც. ასე იცის განდიდების მანიამ. ადამიანს თუ თავი მხრებზე არ აბია და მოვლენებში ვერ ერკვევა, თუ აჰყვა ავადმყოფური პატივმოყვარეობის და თავმოყვარეობის გრძნობებს, თუ დაუპირისპირა თავისი თავი გარემოს, ის უთუოდ ხრამში გადაიჩეხება.

გამომიძახეს ერთ დღეს ჩეკაში და მომცეს წინადადება, ჩემი ბი-

ოგრაფია დამეწერა (მე მივხვდი, რომ ეს გამოწვეული იყო დაპატიმრებულების მიერ ჩემზე ნათქვამი ჩვენებით).

დავწერე ჩემი ბიოგრაფია დაწყებული ბავშვობიდან. ჩემი ცხოვრების არა დამიმალავს რა. ბავშვობა, მონაფეობა, სტუდენტობა, მენშევიკების პერიოდი, თბილისში გადმოსვლა, სახალხო სახლი, ფალავას სტუდია, რუსთაველის თეატრში მუშაობა. ეტყობა, ჩემმა ბიოგრაფიამ ვერ დააკმაყოფილა ჩეკა. უნდოდათ, ახმეტელზე მეთქვა მეტი.

უნდოდათ, ახმეტელის პოლიტიკურ სახეზე მეთქვა.

მე ტყუილს ვერ ვიტყვდი და დავწერე, რომ არავითარი კონტრავოლუციური და ანტისაბჭოური მასში არ შემინიშნავს, არც ბამიგია, რომ რაიმე კავშირი ჰქონდა უცხოელ აგენტებთან (ეჭყობა, უნდოდათ, ეს მითქვას). ვითქვი, რომ დიდი რაჟისორია და კარგი საამხანაგო კაცი. არ შემინიშნავს, რომ ფარული კრებები იმართებოდა თეატრში მის კაბინეტში.

ეტყობა, ჩემმა ასეთმა დახასიათებამ ახმეტელისა ვერ დააკმაყოფილა ჩეკა და მოითხოვდნენ, კიდევ მეთქვა რაიმე, რაც მათ ესაჭიროებოდათ. ეს იყო მიზეზი რომ მე თვით ბერიამ გამომიძახა შემდეგ ღამით. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ დამაპატიმრებდნენ — ისეთი ხმები დაყარეს ჩემზე და თან ყველამ ვიცოდით, რომ ბერიას კაბინეტიდან გზა მხოლოდ ჩეკაში იყო. სახლში არა ვთქვი რა. გულში გამოვემშვიდობე ოჯახს, სახლ-კარს და ნავედი.

კაბინეტში მარტო ბერია იყო, ოთახი ნახევრად განათებული იყო. ბერიას მდივანი მაშინ ი. თავაძე იყო. შევედი. არ მომესალმა, არც მიმინვია დასაჯდომად. მაგიდის უფრა გამოღებული ჰქონდა და შიგ რევილვერი ჩანდა. „თქვენ ყველაფერი დანერეთ საკუთარ თავზე?“ — მომმართა. „ყველაფერი“, — ვუპასუხე. „არაფერი დაგიმალავთ?“ — მკითხა. „რაც ვიცო-

დი, დავწერე, რაც არა, იმას როგორ დავწერდი“. „თქვენ იცით, რას წერენ თქვენზე თქვენი ამხანაგები?“ „არ ვიცი, მაგრამ ვხვდები, რას უნდა წერდნენ რეპრესირებული ადამიანები, რომელთაც ჩემი დალუპვა სურთ“. „და არა მარტო რეპრესირებულნი, ისინიც, ვინც თავისუფალნი არიან“.

დაკითხვა მიმდინარეობდა საშინელი ცივი ტონით, თითქოს ავაზაკი ვიდრე მის წინაშე. მე ვუპასუხე: „სამწუხაროდ, არ ვიცი, რას წერენ ისინი ჩემზე, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და არც თქვენ წინაშე და ვის უნდა დავესმინე?!“. „გულუბრყვილო ადამიანი ხართ“, — მიპასუხა.

გადავწყვიტე, რომ ამის მერე ჩემი გზა ჩეკასკენ იყო. მესმის, მცოდნოდა, რა ბრალდებას და ვინ მიყენებდა, გავცემდი მაშინ პასუხს, მაგრამ რომ არა ვიცოდი რა. გადავავლე თვალი ჩემს ცხოვრებას და ვერაფერი ვნახე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩემზე გულმოსული ყოფილიყო მას შემდეგ, რაც დავდექით საბჭოთა პლატფორმაზე, რაც განვაცხადეთ, რომ ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლებასთან და ვიბრძობლებთ საბჭოთა თეატრის შექმნისათვის, გარდა ერთგულებისა, პარტიისა და ხელისუფლების მიმართ სხვა არაფერი იყო ჩემს გულში. მთელის არსებით მივენდე ხელისუფლებას და ყოველი ჩემი მოქმედება თეატრის ინტერესებით იყო გამოწვეული. არც არავინ დამიჩაგრავს, არც ვინმეზე მითქვამს ცუდი, რომ ზიანი მიმეყენებინა. სინდისი ჩემი წმინდა იყო, მაგრამ მაშინ მარტო ჩემისთანა უდანაშაულონი დაილუპნენ. ბერიამ აიღო ტელეფონი და ვილაცხას დაურეკა და უთხრა: „ახლავე მოდით და ხორავას ყველა საქმე მომიტანეთ“.

ახლა ნამდვილად გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე გათავებულიყო — მართალი კაცი უმართებულოდ

ვილუპებოდი. გავიდა ცოტა ხანი და შემოვიდა გოგლიძე (შინსახკომის უფროსი) მრავალი „პაპაკით“ ხელში. დადგა კართან, დაელოდა ბერიას განკარგულებას. ბერიამ უთხრა — გაიცანით. არ იცნობთ? ხორავაა. გოგლიძეს სახეზე საშინელი გაკვირვება გამოეხატა — არ იცოდა, მართლა უნდა გამცნობოდა, თუ ეს ბერიას რალაც იონი იყო ჩემ მიმართ. გაკვირვების იერი მის და ჩემს სახეს არ მოშობია, ხელი გამომინოდა და ჩამომართვა.

ორივენი გავიდნენ გვერდით ოთახში.

მე არ მიკვირდა, რომ რეპრესირებულნი ჩემზე დანერდნენ, მათ უნდოდათ ჩემი დალუპვაც, რასაკვირველია, თუმცა მათ ამ ყოფაში ჩავარდნაში მე არავითარი ბრალი არ მიმიძლოდა. ალბათ, აღელვებისაგან გული წამივიდოდა, რომ არ დაბრუნებულიყო ბერია და არ ეთქვა: „აბა, წავიკითხოთ?“.

მე ვეღუმი; მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: სანამ შეიძლება ადამიანი დაეცეს, სანამ შეიძლება კაცის მზაკვრობა მივიდეს, რომ ასეთი რამ ჩაიდინოს — პირში გკოცნიდეს და ზურგს უკან სამარეს გითხრიდეს. ალბათ, ამ ხალხს სჭირდებოდა ჩემი თავიდან მოშორება. მე თვითონ წავიდოდი თეატრიდან, თუ მათ კარიერას ხელს ვუშლიდი.

შეკითხვა გამიმეორა. მე ვუთხარი: „ყველაფერი, რაც აქ წერია, ტყუილი და პროვოკაციაა. ვგრძნობ, რომ ჩემი ცხოვრება დასრულდა, მაგრამ, სანამ დამაპატიმრებენ, გთხოვთ, ნება მიბოძეთ, თქვენი თანდასწრებით შევხვდე ამ ადამიანებს. მინდა, მხოლოდ შევხედო მათ, შევაფურთხო თვალებში და მერე რაც გინდათ, ის მიყავით“.

გადაწყვეტილი მქონდა, სილა გამეწინა სათითაოდ ყველასათვის, სხვა საშუალება თავის მართლებისა მე არ მქონდა. ბერიამ დუმილის შემდეგ თქვა (მე ვგრძნობდი, რომ ეს დუმილი ნყვეტდა ჩემს ბედს, მეც მას ველოდი): „რა თქმა უნდა, მათ თქვენი დალუპვა

სურთ, ეს ცხადია. ხედავთ, როგორი ამხანაგები გყავთ?“. გაიარგამოიარა ოთახში და შემდეგ მითხრა: „წადით და იმუშავეთ. რა აქ წაიკითხეთ, უნდა დაივიწყოთ. განსაკუთრებით ავტორების გვარები. ეს ხალხი ჩვენ გვჭირდება. სიტყვა არავისთან დაგცდეთ, თორემ ძალიან მკაცრად მოგკითხავთ. თქვენთვის ყველაფერი გასაგებია? ნაბრძანდით“.

მე, გაბრუებული მომხდარით, მთვრალივით წამოვდექი და ბარბაცით წავედი კარისკენ. უცბად შემაჩერა და მეუბნება: „და რატომ არ შემოდისხართ პარტიაში?“ — ამ შეკითხვამ სულ დამიბნია დავთარი: ერთი წუთის წინ სიკვდილს ველოდი და ახლა პარტიაში შესვლაზე მელაპარაკება... ისევე გამიმეორა შეკითხვა. იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, ასეთი წინადადება ძალზე გაუგებარი იყო ჩემთვის.

„დანერეთ განცხადება“.

„მე დიდი ხანია, მინდოდა განცხადების დანერა, მაგრამ ახლა არ დავწერ“, — ვუპასუხე.

„როგორ? რატომ?“ — დიდი გაკვირვება გამოესახა სახეზე.

„ლავრენტი პავლოვიჩ, მას შემდეგ, რაც ჩემი „მეგობრების“ ჩვენებებიდან შევიტყვე, როგორ შემიძლია განცხადების დანერა?! ღმერთმა უწყის, რაში არ მდებენ ბრალს. კიდევ ერთხელ გადაამონმეთ ჩემი ცხოვრების დეტალები და მეც გამომცადეთ. იქნებ რაიმეს ვმაღავ. როცა დარწმუნდებით, რომ დასამალი არაფერი მაქვს, აი, მაშინ შემოვიტან განცხადებას“.

გულწრფელად მინდოდა შესვლა პარტიაში. მინდოდა, შევსულიყავ წმინდად. არ მინდოდა, ჩემი ცხოვრების ერთი მხარეც კი ყოფილიყო პარტიისთვის დაფარული, რადგან კარგად მესმოდა, რას ნიშნავდა პარტიაში შესვლა, რა დიდ პასუხისმგებლობას ავალებდა შემსვლელს. მთელი გულით ვიზიარებდი კომუნიზმის იდეებს და ვთვლიდი მათ ერთადერთ მიმართულებად, რომელსაც შეეძლო ხალხისათვის, ერისათვის მიეცა შვება და აღორძინება.



ძალიან გაუკვირდა ჩემი პასუხი, გადახედა გოგლიძეს და ცოტა დაფიქრების შემდეგ მითხრა — ეტყობა, ჩემი გულწრფელობა ეამა — „კარგი, შეგატყობინებთ, ნახვამდის“ და კაბინეტიდან გამოვივი.

მინდოდა მარტო ყოფნა. არ ვიცო, როგორ ამოვყავი თავი მთან-მინდაზე. ჩამოვჯექი კიბეზე: ახმეტელი, ჩემი ცხოვრება, თეატრში მომხდარი ამბები, ჩემი „ამხანაგების“ ჩვენებანი — ყველაფერი აირია თავში. ხვალ იმ ხალხს, რომელმაც მოინდომა ჩემი დალუპვა, უნდა შევხვდე, მათთან უნდა ვიმუშაო. ვის ვენდო, ვის ვეამხანაგო, განა შეიძლება უამხანაგოდ ყოფნა? მეყოფა კი ძალა, თავი შევიკავო. კრიტიკულად გადავხედე ჩემს ცხოვრებას: ბავშვობას, მონაფეობას, სტუდენტობას, მსახიობობას — ხალხთან დამოკიდებულებას... რა ჩავიდინე ისეთი, რომ ვინმეს ჩემზე გული ჰქონდა ნატკენი და ასე გავეწირე. ვიყავი ყოველთვის გულწრფელი, ვცდილობდი, მუდამ პრინციპული ვყოფილიყავი, ამხანაგებს თითქოს ვუყვარდი და პატივს მცემდნენ, არასოდეს ნაბიჯი ანგარების მიზნით არ გადამიდგამს, ვცდილობდი, მემსახურა ერისა და მშრომელთა ინტერესებისათვის. თვითონ მშრომელის ოჯახიდან წარმოშობილს ყოველთვის მეჯავრებოდა და ვერ ვიტანდი ფუქსავატობას, უპრინციპობას, მლიქვნელობას, შეიძლება, ძალზე პირდაპირი ვიყავი, მძულდა კაცი არა თავისი სიტყვის პატრონი და რა მოხდა ისეთი, რომ ამდენი მტერი გამომიჩნდა მსახიობთა წრეში... მაშინ ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა ვერ შევძელი... აი, ახლაც რომ ვწერ იმ ღამით განცდილს, ვღელავ. ობიექტური მკითხველი გამიგებს ჩემს აფორიაქებულ სულიერ მდგომარეობას...

თავს დამათენდა. სახლში დავბრუნდი. მეუღლისათვის არა მიტქვამს რა, მასაც მთელი ღამე არ უძინია. ძალიან ცუდი დრო იყო და სახლიდან გასულ კაცს, ვინ იცის, რა შეემთხვეოდა...

ვიცი, ვასაძეც იყო გამოძახებული ბერიასთან (თვითონ მითხრა) და ზოგი სხვებიც, მაგრამ ვინ იყვნენ, არ ვიცი; ან რა საუბარი ჰქონდათ, არც ეს ვიცი.

მინდოდა, ყველასთან ოფიციალურად დამეკავებინა თავი, მაგრამ როგორ შეიძლება, ხალხს სვებოდე, ერთად მუშაობდეთ და მარტობას გრძნობდეთ, ადამიანური ურთიერთობა არ გქონდეს ხალხთან, არ ამყარებდეთ მეგობრულ, ამხანაგურ ურთიერთობას — ასე ცხოვრება ხომ შეუძლებელია. ყველასი გეშინოდეს, ყველას ერიდებოდეთ, სულ ფიქრობდეთ, საიდან მოგელის მოულოდნელი თავდასხმა — ასე ხომ შეიძლება, კაცი ჭკუიდან შეცდეს. ასეთი დრო იყო მაშინ.

წინა ეპიზოდების დაწერის დროს ერთი აზრი თანმდევს და ჯერ ეს აზრი უნდა განვმარტო.

მკითხველი იტყვის უთუოდ: „რაა, ეს ხორავა, მოდგა ყველას, აკრიტიკებს, რაღაც წვრილმანებზე ლაპარაკობს, ისეთ წვრილმანებზე, რომლებსაც ნიჭიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. კარგი, იყვენ, ვთქვათ, ინტრიგანები, მსახიობთა წრეში ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, სამაგიეროდ, იყვენ კარგი მსახიობები და ბევრ შემთხვევაში ასახელეს ქართული თეატრი, რა საჭიროა წარსულის მოგონება, რაც იყო, იყო, ვიფიქროთ ქართული თეატრის მომავალზე“.

შეიძლება, მკითხველის აზრი მართალი იყოს მხოლოდ რევოლუციამდელი თეატრის მუშაკთათვის, როდესაც მსახიობი თურეისორი მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკური წყობის პირობებში ფასდებოდა მხოლოდ ნიჭიერებით და არა მისი ადამიანური თვისებებით. **განა ცოტა ვიცით მაგალითები წარსულიდან, თუ როგორი გარყვნილი და უკადრისი საქციელით ხასიათდებოდა ბევრი სხვა მსახიობიც. მეფის რუსეთისა და მენშევიკების დროს მსახიობი იყო უფლებო, შეიძლება ითქვას, მოქალაქეობრივი კონტროლის გარეშე იდგა. მას არავინ**

ეკითხებოდა ქვეყნის ბედ-იღბალზე, მსახიობი საჭირო იყო იმდენად, რამდენად თეატრის რეპერტუარის კარგი განმასხორციელებელი იყო. მართალია, იყვნენ ქართველი მსახიობები დიდი მოქალაქე-პატრიოტები (გუნია, მესხიშვილი, დადიანი, აბაშიძე და ბევრი სხვ.), მაგრამ ესენი გამონაკლისები იყვნენ — უმრავლესობა ლუკმის მაძებარი იყო და ამ ლუკმის ძებნაში ხშირად ადამიანურ ღირსებებს კარგავდნენ ხოლმე. ქართული თეატრის დრო-მოჭმულმა ტრადიციებმა, უპრინციპო დაჯგუფებებმა, რეაქციულმა იდეურობამ, განსაკუთრებით — მენშევიკების დროს, თეატრი თვითლიკვიდაციამდე მიიყვანა. ახალგაზრდობა გრძნობდა რა თეატრის ტრადიციას, გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა. ის უიმედობამ მოიცვა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მსახიობები თავის ქერქში იხარშებოდნენ, ხალხს იყვნენ მოწყვეტილნი, მოწყვეტილი მშრომელის სულისკვეთებას, მის ბრძოლას მომავლისთვის, არ იყვნენ ჩაბმული ამ ბრძოლაში, თუმცა, როგორც გვჩვენია, ლაპარაკით რევოლუციონერობდნენ. ასე გამოდიოდა — ვიღაცები იბრძვიან და ჩვენ დაფუცადოთ ამ ბრძოლის შედეგებს. თეორიულად ყველამ იცოდა, რომ თეატრი ხალხს უნდა ემსახურებოდეს, და იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ საჭიროა, ხალხთან ერთად იბრძოლო, მისი სულისკვეთებით გაიჟღინთო, გაიგო მიზნები ხალხის ბრძოლისა და შენი ნიჭიერება ამ მიზნის მიღწევას დაუმორჩილო. ე. ი. იბრძოლო იმ ახალი თეატრისთვის, რომელიც მებრძოლი მშრომელების ინტერესებს დაემორჩილება და ბრძოლაში გამარჯვების შემდეგაც განაგრძობს ზრდას ისევე, როგორც გაიზრდება ახალი ქვეყნის მშენებლობა. ფსიქოლოგიურად და იდეურად ქართული თეატრის მსახურნი საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას მოუმზადებულნი შეხვდნენ.




რაფიელ ერისთავი — 190

ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი იყო კახეთში ჩასახლებულ ერისთავთა შთამომავალი.

მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მუზეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში; იგი იყო ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის (1882) ერთ-ერთი ინიციატორი. რ. ერისთავის შემოქმედება მრავალფეროვანია. 70-80-იან წლებში რ. ერისთავის პოეზიაში ახალი ძალით გამოვლინდა ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი.

იგი ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან დაამუშავა მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური და სხვ. სამეცნიერო ტერმინოლოგია; გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (1873). მისი რედაქტორობით პირველად გამოიცა ს. ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონი (1884). 2014 წელი რ. ერისთავის საიუბილეო წელია — მისი დაბადებიდან 190 წლისთავი შესრულდა. ამ უდავოდ დიდ ქართველზე საინტერესოდ მოგვითხრობს თედო სახოკია წიგნში „ჩემი საუკუნის ადამიანები“, რომელშიც ღვანლთან ერთად ხაზს უსვამს რაფიელ ერისთავის დადებით პიროვნულ თვისებებს.



„ჩვენმა საყვარელმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა თავისი დღენი თითქმის სავსებით შესწირა სახელმწიფო სამსახურს. მხოლოდ უკანასკნელი პერიოდი მისი ცხოვრებისა, 1880 წლიდან 1889 წლამდე, როცა სამსახურის გარეშე იყო, მოახმარა ინტენსიურს შრომას სალიტერატურო ასპარეზზე. ამ ხანებში ხშირად ნახავდით რ. ერისთავს დიმიტრი ბაქრაძესთან და იმ დროის სხვა მწერლებთან ერთად **გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში**, რომლის გვერდით იყო არსენ კალანდაძისა და დრევიჩის სტამბაც. **ეს მაღაზია ერთგვარი კლუბი იყო მაშინდელი ქართველი ინტელიგენციისა, აქ წყდებოდა სხვადასხვა სალიტერატურო საკითხები, ამათუ იმ ქართული წიგნის დაბეჭდვის საქმე.** ამ დროს დაიბეჭდა რ. ერისთავის მიერ გალექსილი იგავ-არაკები კრილოვისა და ს. ორბელიანისა („სიბრძნე-სიცრუისა“), ბოტანიკური ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი მისი რედაქციით, მაგრამ ეს ლიტერატურული მუშაობა იმ დროს რ. ერისთავს მხოლოდ სულიერ კმაყოფილებას აძლევდა, ისევე, როგორც სხვა ქართველ ლიტერატორებს. მატერიალურ უზრუნველყოფაზე ან შრომისათვის, ნაწი-

ლობრივად მაინც, დაჯილდოებაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო. ასე რომ, რ. ერისთავს ამ ხანებში პური არსობისა მარად საძებარი ჰქონდა.

1888 წელს რაფ. ერისთავს გაეცნო სემინარიელი **სიკო გრძელიშვილი**, რომელიც შემდეგში ერთხანს გახეთ „ივერიაში“ თანამშრომლობდა, მერე ტომსკის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო ფაკულტეტზე და, იქ სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისში ექიმობდა. რაფიელმა ლაპარაკში შესჩვილა თავისი უმწეო მატერიალური მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ კახეთში (ქისტაურში) მშვენიერი ვენახები ჰქონდა და საუცხოო ღვინოც მოსდიოდა. სიკო გრძელიშვილმა, რომელიც იმ დროს უსაქმოდ იყო, ასეთი წინადადება მისცა პოეტს: როგორცა ბრძანეთ, ღვინოები გქონიათ, ღვინის პატრონი კი, მოგეხსენებათ, ღარიბად არ იხსენება. ბრალია, რომ სირაჯებს ალაგობრივ ჩაღის ფასად ჩაუგდოთ ხელში ასეთი ნაღდი და მომგებიანი საქონელი. ჩამოატანინეთ ქალაქში, აქ დავიქირავოთ სადამე დასამხარ ალაგას სარდაფი, ორნივე შიგ ჩავსხდეთ, ვყიდოთ ღვინო, მოვიგოთ ფული და მტერს თვალი დაუწყენოთ. აღარც სამსახური გვინდა, აღარც უფროსიო!.. ჩვენის თავისა და ჩვენის

შრომის პატრონი ჩვენვე ვიქნებით და უყვედრედ და ალალ ლუკმას გავიჩენთ. ახლა ყველა სოციალისტობს და საკუთარის შრომითა და ოფლით პურის ჭამა სასახელოა! თან ხელდახელ შეუდგინა რაფიელს გეგმა მათი მომავალი ვაჭრობისა და დაუხატა სურათი ფულების მოგების პერსპექტივებისა: მაშინ თქვენ ნაწერების გამოცემის საშუალებაც გექნებათ...

რ. ერისთავი, როგორც მოგეხსენებათ, მეტად ალალი გულის პატრონი იყო, უეშმაკო, ადამიანს ადვილად ენდობოდა. ეს წუთისოფელი ისე მოსჭამა, ერთი განაწყენებული კაცი არა ჰყოლია. ს. გრძელიშვილის ლაპარაკი რომ მოისმინა, სიხარულით ცას ეწია და გულწრფელად ნანობდა... რატომ აქამდე ვერ მივხვდი, ცხოვრება როგორ უნდოდა, აფსუს, რომ ვცდებოდი და ჩემი დღენი სახელმწიფო სამსახურს შევალეო...

მომავალმა ამხანაგებმა ერთად ისადილეს, კაი კახური ღვინით თავიანთი მომავალი ვაჭრობის სადღეგრძელოც დალიეს, მერე ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ საქმეს.

დაიჭირეს ერთი სარდაფი ჰუმუკინის ქუჩაზე, იქ, სადაც დღეს წითელი ჯვრის სააფთიაქო მაღაზიაა. მონაყვეს დახლი, კასრების დასად-



გმელი ადგილი. კახეთში რ. ერისთავმა განკარგულება გასცა, ურმებით მისი ღვინოები ქალაქში ჩამოეტანათ, ხოლო კახური ღვინოების მყიდველ სირაჯებს გამოუცხადა: ამას იქით ღვინოებს თქვენ ველარ მოგყიდით, რადგან ქალაქში მე თვითონ უნდა ვივაჭროო. სირაჯებმა კიდეც ისლა თქვეს: დიდი ხანი არ გაივლის, რომ ისევ ჩვენ შემოგვეხვენი, შვილონიასა, ყელგამონევით — ჩემი ღვინოები იყიდევითო!

ერთ მშვენიერ დღეს რ. ერისთავის სარდაფს მოადგა ღვინოებით სავსე კასრებიანი და რუმბებიანი ურმები.

ღვინოები რომ დააბინავეს, ამხანაგებმა როლები გაინანილეს: სიკო გრძელიშვილი დახლში იჯდებოდა და განაგებდა ფირმის საფინანსო ნაწილს, ხოლო რაფიელმა იკისრა მუშტრის დახვედრა, სუფრის გაშლა, კერძების მირთმევა, ხელადებით ღვინის ჩამოსხმა, მაყალზე მწვადების შეწვა, მუშტართან გახუმრება, დროზე მოალერსება, მოსწრებული სიტყვებისა და შაირების (პოეტი სახელგანთქმული მოშაირე ყოფილა. სოფელში ტოლი არა ჰყოლია. მოშაირეთა შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული რ. ერისთავი გამოდიოდა თურმე.) თქმა.

ქალაქს მსწრაფლ მოედო ხმა: პოეტ რაფიელ ერისთავსა და სიკო გრძელიშვილს ღვინის სარდაფი გაუხსნიათ და თავანკარა ღვინოებიცა აქვთო. მუშტარი მოაწყდა, მაგრამ რა მოაწყდა! სარდაფში ტევა აღარ იყო. მუშტარს უმთავრესად ის იზიდავდა, რომ სარდაფის პატრონები ნისიად გაცემაზე უარს არ ამბობდნენ. ერთ ნაწილს მუშტრისას იზიდავდა პოეტის ნახვა, მისი ხუმრობის გაგონება. ყველანი მადლიერნი და აღტაცებულნი ბრუნდებოდნენ. ქათინაურები არ ეზოგებოდათ რაფიელის მიმართ საქმის ასე სამაგალითოდ დაყენებისათვის, ასეთი კარგი ღვინოების ჩამოტანისათვის, რომლებიც ასე განსხვავდებოდა სხვა სარდაფებში გაყიდული მონათლული და მონამლული ღვინოებისაგან! ეს ქება სიამოვნებით უღიტინებდა პოეტის თავმოყვარეობას, გულს უკეთებდა, ამხნევებდა და იმედს აძლევდა

საქმის სასურველად დაგვირგვინებისას.

ქართლის სოფელ მეჯვრისხევამდეც მიაღწია ამათი სარდაფის ქებას. ამ სოფელში რაფიელის კომპანიონს ბიძა ჰყავდა — მღვდელი დავით გამრეკელი. მაღალი იყო, ძალზე მაღალი, სხვა ჩვეულებრივ სიკვდილის შვილ ადამიანებს ერთი მტკაველის სიმალიდან გადასცქეროდა, სიმალის პროპორციული სიმსოცა ჰქონდა, წინ ღიპგამოშვრილს. სოფლის სახლების კარები მღვდელისთვის ყველა დაბალი და ვინრო იყო. ასე რომ, შიგ შესასრულებლად უნდა მოხრილიყო წელში და თან, რაკი ღიპი სიფართით ვერ შეჰქონდა, უეჭველად განით, გვერდელა უნდა ცდილიყო შესვლას. მისი ტანის შესაბამისად საანაფორე მასალა უეჭველად ორი-სამი ადლით მეტი უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მღვდლები-სათვის საჭირო საანაფორეზე. ნიკაპზე ორ სართულად დაბაბი ჩამოჰყიდებოდა. მუდამ ჩასისხლიანებული ხარის თვალეები გადმოკარკლული ჰქონდა, ცხვირი გრძელი და კეხიანი. მისი სახის გამომეტყველება განუწყვეტილვ თითქო ერთ რასმე იძახისო: მაჭამეთ და მასვითო!.. მართლაც, ქორწინში თუნათლობაში ანდა ქელეხში სუფრას რომ მოუჯდებოდა, ჩვეულებად არა ჰქონდა ეთქვა: გავძეხიო (საჭმლითა და განსაკუთრებით — ღვინითა), სუფრიდან ყველანი აიშლებოდნენ და ყველაზე ადრე დამჯდარი მოძღვარი ყველაზე ბოლოს უნდა ამდგარიყო. რაც უნდა ბევრი სასმელი ჩაეშვა გვამსა შიგან, იძახდა:

დამისხი, დამალევინი ეგ ღვინო ოხერ-ტიელი!..

რაც დრო მიდიოდა, განზე იწევდა, საშინელ სახეს ღებულობდა, ბაყბაყ დევის ნატეხს ემსგავსებოდა, ამიტომ სოფელში მეტსახელად ბუა-მღვდელი დაარქვეს. დედები ატირებულ ბავშვებს ასე ამინებდნენ: გაჩუმდი, თორემ ბუა-მღვდელი მოვა და შეგჭამსო...

აი, ამ ბუა-მღვდელს უთხრა ერთმა ქალაქიდან ამოსულმა მღვდელმა — შენს დისწულს, სიკოს, ღვინის სარდაფი გაუღიაო. ქალაქში, სასინოდო კონტორაში, მაინც საქმე

ჰქონდა და გადაწყვიტა, რაფიელისა და გრძელიშვილის სარდაფს სწვეოდა.

მართლაც, ბუა-მღვდელი ერთ მშვენიერ (ყოველსავე შემთხვევაში მისთვის) დღეს, გორებით ჩავიდა რაფიელის სარდაფში და ზედნაადგა თავის დისწულს, დახლს უკან დამჯდარს. ერთმანეთის ამბორისყოფის შემდეგ სიკომ რაფიელს გააცნო: ჩემი ბიძააო, ერთიმეორის ნახვით უზომოდ გაიხარეს დიდი ხნის უნახავებმა. ბუა-მღვდელმა, პირველ ყოვლისა ის იკითხა: ხომ აკურთხეთ სარდაფი, როცა გახსენითო? უარი რომ გაიგონა, მაშინათვე ოლარი გადიკადა და შეუდგა კურთხევას. ამას თქვენი მოწონებული სადილი მოჰყვა, ქართლური თხელი ღვინოების შემდეგ კახური ბუა-მღვდელს დიხაც მოეწონა; ქართლური ღვინოები ჭყაპად მოეჩვენა და რაფიელ ერისთავს აჩვენა ღვინის ფასი. რაფიელი კასრებიდან ჩამოსხმას და სავსე ხელადების სუფრაზე მოტანას ვერც კი ასწრებდა. შემოსწრებულებიც გვერდით მოისხეს. ტოლუმბაშად რაფიელ ერისთავი (რაფიელ ერისთავი განთქმული თამადაც იყო.) იყო. ქართლიდან ჩამოსულმა სტუმარმა სარდაფშივე დაიძინა, — აქაურობას ვერ მოვშორდები, ამაზე უკეთეს ადგილას სადღა უნდა ნამიყვანოთო!..

მეორე დღეს სასინოდო კონტორაში მოისაქმიანა ბუა-მღვდელმა და სადილად, რა თქმა უნდა, ისევ თავის დისწულს მიაშურა. ისეთივე დახვედრა, როგორც წინა დღეს, ისეთივე გულუხვობა რაფიელის მხრივ. სარდაფში ნოლა ბუა-მღვდელს ისე გაუტკბა, მეორე ღამეც სარდაფში დარჩა, მით უფრო, რომ გაუხდელად დანოლის ხამი არ გახლდათ. მესამე დღეს ბუას ერთი ნათესავი ჰყავდა სანახავი, ინახულა და სავალდებულოდ ჩასთვალა, ისევ რაფიელთან ჩამოსულიყო. წინა დღეების menu არ შეუცვლიათ. მაინც ეკითხებიან: ხომ არაფერი გაკლიათ? ბედნიერმა და ნეტარმა ბუა-მღვდელმა არ იცოდა, რა სიტყვებით გამოეთქვა თავისი აღტაცება: ვენაცვალე ჩემ ნილ ღმერთს, რომ ჩემი დისწული, ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი ახალგაზრდა კაცი, ასეთ ღვთისნიერ და სათნო

ადამიანთან ჩავარდნილა ამხანაგადო. გულდამშვიდებით შემოძლია ნასვლა და სადარდელი არაფერი მექნება, რაკი თქვენს ფრთეთა ქვეშე შეუფარებია თავი ჩემს სიკოსაო, — ეუბნებოდა გულწრფელად რაფიელს.

ბუა-მღვდელი თვითონვე ამბობდა თავის ანაფორაზე — პატიოსან მღვდელს არ ჩაცემისო, ისე იყო დაგლეჯილი და აჭრელებული ათასგვარი საჭმელების ლაქებითა და თაფლის სანთლის ნალვენთებით. გადანყვიტა, რაც იქნებოდა, იქნებოდა და ახალი ანაფორა შეეკერა, მით უფრო, რომ თამამად შეიძლებოდა დისწულისათვის დაეკისრებინა მისი საფასური. მის ქალაქში ყოფნის მეოთხე დღეს გასწია სიონის ტაძრისაკენ, სადაც დუქანი ჰქონდა ერთ თერძს, რომელიც ათადან-ბაბადან მღვდლების ანაფორებსა და საეკლესიო შესამოსლებს ჰკერავდა. დუქანში, როგორც იყო, შეიტანა თავი და თერძს თავისი სურვილი განუცხადა. შემკერავმა მუშტრის თვალით აათვალიერა-ჩათვალიერა ბუა და დაფიქრდა: ბევრნაირი კომპლექციის მღვდელს გაუვლია მის ხელში, გასუქებულიც ბევრი უნახავს და გასასუქებლებიც, მაგრამ ასეთ ბაცბაც დევს პირველად და ხედავს მისი თვალები! — მამაო, — უთხრა თერძმა, — თქვენს ანაფორას მასალა ოთხი ადლით მეტი დასჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივს ანაფორასაო, მაშასადამე, ხუთი მანეთით ძვირი ეღირებაო. ბევრი იძახა ბუამ — ანაფორა ანაფორააო, მაგრამ თერძი ნათქვამზე მაგრად დადგა და თავისი გაიყვანა. ახლა არაჩვეულებრივ მუშტარს ზომის ალება მოუნდომა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერი მოუხერხა! ტაბურეტზედაც კი შედგა, მაგრამ ზედა წელს რომ გაზომავდა, ქვედაწელი გაუზომავი რჩებოდა. ამ წვალეებაში კინალამ ძირს ჩამოვარდა და კისერი არ მოიტეხა. რომ ვერას გახდა, ურჩია, დაზგაზე სიგრძეზე განოლილიყო. მეტი გზა არ იყო, ბუაც გაიშხლართა, მაგრამ ფეხები დაზგას იქით რჩებოდა გადაშვერილი. თერძმა მოინდომა, მეზობლებისათვის ერგვენებინა თავისი მუშტარი და მისი პოზა და გასძახა — ერთი აქ შემოდითო! დაუნყო გა-

წოლილ მღვდელს გაზომვა, სხვებმაც ხელი შეაშველეს, თან სიცილისაგან თავს ვერ იკავებდნენ და ხელებით მუცლებს იჭერდნენ. სიგრძის ზომა აიღეს, სიმსხოს გასაზომად კი ორი კაცი ერთმანეთს შველოდა. როგორც იყო, იმასაც მორჩნენ და უთხრეს: ახლა შეგიძლიათ, მამაო, ადგეთო. მეექვსე დღეს თავისი დისწული წამოიყვანა, ანაფორის საღირალი იმას მიაცემინა, ჩაიცვა და ახალი ანაფორა რაფიელის სარდაფში „დაასველა“ და „მშვიდობაში“ ყველას იქ ათქმევინა:

ბუა-მღვდელს ცისკარი ჰქონდა გახსნილი! ასეთი დრო თავის სიცოცხლეში არსად არ უტარებია! იმდენად იყო ბედნიერი, რომ სრულებით გადაავიწყდა მეჯვრისხევში დატოვებულ სულიერ სამწყსოზე ზრუნვა. მხოლოდ მეშვიდე დღეს მოაგონდა და თითქო ჭმუნვა რამ დააჩნდა ღვთის ხატებად შექმნილ სახეზედაო. ეხვეწნენ დარჩენას, — ღვთით არაფერი გვაკლიაო, მაგრამ ბუა-მღვდელმა, ნაუსვლელობა არ იქნებო. დალოცა „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი, დალოცა მისი ამხანაგი და აღუთქვა: არ დაგვიწყებთ, ამ ერთ თვეში გნახავთო...

ბუა-მღვდელი სიტყვის კაცი იყო, თავისი დაპირება აასრულა და კიდევ ჩამოვიდა თავის ძვირფას მასპინძლებთან. ესენიც შესაფერისად უხვდებოდნენ. სხვა მუშტარიც არ აკლდა სარდაფს.

კლება დაეტყო მხოლოდ კასრებს. რუმბებს. ამხანაგებმა თქვეს: მოდი, ვიანგარიშოთ, რა მოვიგებთ? იანგარიშეს და, უიმედო ნისიების ჩათვლელად ვალიც კი ედებოდათ. ღვინის ახალი პარტიის ჩამოსატანად ხარჯი იყო საჭირო და ეს ხარჯიც აღარსად გახლდათ.

— როგორა სჯობია საქმესა? — ეკითხება, ცოტა არ იყოს, დაფიქრებული რაფიელი თავის კომპანიონს.

— უნდა დავკეცოთ სარდაფი, სხვა გზა არ არის! — პასუხად ეუბნება სიკო.

— რა გაენყომა!.. — ამოხვრით ეუბნება რაფიელი და თავი იმით ინუგეშა, ქართველი კაცისათვის ვაჭრობა ღმერთს არ დაუნესებიაო. ცდა არ დამიკლია, არაფერი მითაკილნია, მუშტრისათვის ერთი

საწყენი არაფერი შემისხვედრებია, პირიქით, სულ მუდამ მიამებია... ბედი უნდა ყველაფერს, ბედიო... ჩემს სიცოცხლეში რა არ მინახავს, ვაჭრობალა მაკლდა და ისიც გამოვცადეო.

ასე გაათავა რაფ. ერისთავმა თავისი „ვაჭრობა“.

ბუა-მღვდელი, რომელსაც უეჭველად წილი ედო რაფ. ერისთავის სარდაფის დაკეტვის მოსწრაფების საქმეში, ამის შემდეგ დიდხანს არ შერჩენია ამ წუთისოფელს. ერთხელ, ჩვეულებრივ ნასვამი ბრუნდებოდა შინ. გამოსავლელი ჰქონდა ხევის წყალი მეჯუდა, რომელიც ზაფხულობით თითქმის დამშრალია; ქათამსაც კი შეუძლია შიგ გასვლა. ბუა-მღვდელი ნაქცეულიყო და თავით წყალში ჩავარდნილიყო, სხეულს წყალი არც კი სწვდებოდა თურმე. სანამ მიახრებდნენ საშველად, მოძღვარი წყლით გაგუდული დახვედრიათ.

რაფ. ერისთავი იძულებული გახდა, მიუხედავად მოხუცებულობისა, ისევე სახელმწიფო სამსახური ეძებნა. მისი ხნოვანების შესაფერი სამსახურის შოვნა იმ დროს მეტად გაჭირდა. პირდაპირ შიმშილს ებრძოდა პოეტი. გამოჩნდა ქართული ენის ცენზორის ადგილი საცენზურო კომიტეტში. მაშინ ცენზორობას მეტად ცუდი სახელი ჰქონდა. ისარლიშვილის დროის ცენზორობის სუსხი ქართულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არა ჰქონდა დაავიწყებული. ამ ხელობას ისე უყურებდნენ, როგორც ადამიანის გონების ჯალათობას, სულთამხუთაობას, მაგრამ ულუკმაპუროდ დარჩენილ მოხუცებულ პოეტს სხვა გზა არა ჰქონდა: იკისრა ცენზორობა.

ვერავინ იტყოდა, რაფ. ერისთავის ცენზორობის დროს ქართული ლიტერატურასა და ქართველ ლიტერატორებს გასჭირებოდათ. ნებით თუ უნებლიეთ ბევრჯერ უღალატნია რაფ. ერისთავს თავისი მოვალეობისთვის; ამისთვის ბევრჯერ საყვედურიც შეხვედრია უფროსებისაგან, მაგრამ ყველაფერს ითმენდა, ოღონდ ქართველობა მომდურავი არა ჰყოლოდა.

1895 წელს ორმოცდაათი წელიწადი შეისრულდა მას აქამთ, რაც რაფიელ ერისთავი სამ-



წარმო ასპარეზზე გამომვიდა; ორმოცდაათი წელიწადი საყვარელი პოეტი ჩვენი დავრდომილი ერის გამოფინებას, ფეხზე წამოყენებას ცდილობდა, ნახევარი საუკუნე იმის ცდაში გაატარა, სიტყვით თუ საქმით ქართველებისთვის შეაგნებინებინა მისი როლი სხვა ერთა შორის, მისი დანიშნულება.

რაფიელ ერისთავმა თავისი ერის საკეთილდღეოდ მოღვაწეობა სწორედ მაშინ დაიწყო, ოდეს საამისოდ ყველაფერი ხელს უცარავდა, ოდეს ყოველი ფეხის გადადგმაზედ ათასი დაბრკოლება ელოებოდა. იმ დროს, იმ საერთო ძილის დროს, როცა რაფ. ერისთავმა წერა დაიწყო, ქვეყნის სამსახურისათვის ფიქრი თითქმის ჩამქრალი იყო, თითქმის ყველას მარტოოდენ თავისი თავი ახსოვდა; გარნა შეგნებული არ იყო ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის, საზოგადოების კეთილდღეობა, ლხინი — იგივე კეთილდღეობაა, იგივე ლხინია ამ ქვეყნის, ამ საზოგადოების კერძო წევრისა.

და აჰა, რაფ. ერისთავს საასპარეზოდ ამ დროს, ასეთი განსაცდელის დროს გამოსულს, მით უფრო ფასი ედებოდა; მისი მოღვაწეობა მით უფრო ნაყოფიერია. მისი ლიტერატურული ფიზიონომია მით უფრო ღირსშესანიშნავია. ქართველმა ერმა ღირსეულადაც დააფასა თავისი თავკაცი, თავისი ეროვნული დარაჯი; სიცოცხლეშივე დადაფნეს მხცოვანი მამის თავი მაღლიერმა შვილებმა; სიცოცხლეშივე მოესწრო რაფ. ერისთავი თავისს ორმოცდაათი წლის შრომისა და თავგამოდეების ნაყოფს.

1895 წლის 22 ოქტომბერს თბილისში მთელმა ქართველობამ დიდის ამბით იდღესასწაულა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე. დიადი სახე ჰქონდა ამ დღესასწაულს; ცხადად დაამტკიცა ამ დღემ — ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება რამდენად განვითარებულია, საზოგადო მოღვაწის დაფასების უნარი და შნო რამდენად გვექონია! საქართველოს არც ერთი კუთხე არ დარჩენილა თავისი წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს ამ ეროვნულ და თანაც იშვიათ დღე-

სასწაულზე დასასწრებლად, საერთო სიხარულში მონაწილეობის მიხედვად; არ დარჩენილა არც ერთი შორეული კუთხე ჩვენი სამშობლოსი, ამ საერთო მხიარულებისა და დღესასწაულის გალობისათვის ბანი არ მიეცეს... ყველამ მიულოცა რაფიელ ერისთავს მისი დღესასწაული, ყველამ — თავადმა თუ გლეხმა, დიდმა თუ პატარამ, მოსწავლემ, მუშამ, ხელოსანმა... ყველამ საკვირველი ერთსულოვნებითა და გულწრფელობითა მადლობა გადაუხადა რაფ. ერისთავს, მონინებით მუხლი მოიდრიკა მისი ნიჭის, ამ დაუშრეტელი გონებითი წყაროს წინაშე.

ეს დღესასწაული, ეს დაუვინყარი დღესასწაული უფრო მით იყო შესანიშნავი, მით იყო საგულისხმიერო, რომ რაფ. ერისთავის 50 წლის იუბილე გადაიხადეს არა როგორც იუბილე თავადისა, არა როგორც იუბილე რომელიმე საპატიო გვამისა, სახელმწიფო სამსახურში დანიშნაურებულისა, არამედ იუბილე გადაიხადეს საზოგადო, საქვეყნო მოღვაწისა, რომელმაც თავისი ახალგაზრდული გული, გონება, ძალა სამშობლო ქვეყნის სამსახურს სავსებით შესწირა; რომლის გული, გული წრფელი და სიყვარულით გამთბარი, თანაბრად სცემდა, როგორც თავადის, ისე გლეხისათვის; რომლის გული როგორც ერთისა, ისე მეორის კეთილდღეობითა ჰხარობდა, ფრთას ისხამდა... კიდევ ამიტომ იყო, რომ ყველა ჰგრძნობდა რაფიელის ამაგს; კიდევ ამიტომ იყო, რომ ყველა ცდილობდა თავისებურად მადლობა გადაეხადა, ფიანდაზად გაშლოდა სიხარულით სახეგაბრწყინებულსა და ცრემლმორეულს მოხუცს.

1895 წლის ოქტომბრის 22, ეს საზოგადო ნადიმობის დღე, ეს დიდის ამბითა და ზეიმით გადახდილი დღე დაუვინყარი დარჩება ქართველთა ხსოვნაში. სხვათა შორის, ამ ეროვნულ დღესასწაულს დაესწრო ჩვენი პატივცემული სტუმარი — რუსი პოეტი ვასილ ველიჩკო. აღტაცებულია ყოველისავე ნახულითა და გაგონილითა, აი რა თქვა: „ბევრი იუბილე მინახავს რუსეთში, მაგრამ ეგეთი დიდი სახე, გულწრფელობასთან ერთად შეერთებული,

როგორც ედო რაფ. ერისთავის იუბილეს, არც ერთს არა ჰქონიაო. ის ერი, რომელიც ასეთი გულწრფელი სიყვარულით, ასეთი პატივისცემით უხდის სამაგიეროს თავის მოამაგე მშრომელს და საზოგადო მოღვაწეს, ვამბობ, ის ერი, რაც უნდა პატარა იყოს, რაც უნდა ყოველისფრით შემბორკველს გარემოებაში იყოს, თავის სახეს არ ჰაკარგავს, — მომავალი მისია, მომავალი უეჭვო, ბრწყინვალე“.

მრავალფეროვანია რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა ლიტერატურაში. მისი თავი და თავი ღირსება მისი ლექსებია, რომლებშიც იგი გვაცნობს ჩვენს დაბალ ხალხს, მის გულის პასუხს, მის სიხარულს, მის ჭირ-ვარამს; სწორედ იმ ლექსებმა, რომლებითაც რაფ. ერისთავის ლიტერატურული ფიზიონომია გამოირკვა, სწორედ იმ ლექსებმა, რომლებითაც რაფ. ერისთავმა ჩვენს მწერლობაში ლიტერატურული სკოლა შექმნა, ჩვენს მწერლობაში ახალი გზა გაჰკვალა და ამ გაკვალულ გზაზე მის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობი აღმოაჩინა.

თვისი წვლილი რაფ. ერისთავმა მეცნიერებაშიც შეიტანა. მის მიერ შედგენილი ლექსიკონი ბუნების სამთა სამეფოთაგან, ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით გამოცემული, იმ დროს ერთადერთი იყო ჩვენს მწერლობაში; დიდი ამაგი დაგვდო რაფ. ერისთავმა, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის რედაქტორმა. ჩვენი საყვარელი პოეტის კურთხეული მარჯვენა ჩვენს ნორჩ თეატრსაცა სწვდა, იმასაც დასდო ამაგი. „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“, „ჯერ დაიხოცნენ — მერე იქორწინეს“ და სხვა პიესები რაფ. ერისთავმა შესძინა ჩვენი თეატრის რეპერტუარს.

აგრეთვე, რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული წერილები, რუსულ გაზეთ „კავკაზში“ და საქართველოს სხვა პერიოდულ გამოცემებში დასტამბული („ბატონყმობა სამეგრელოში“) დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის შესწავლის მსურველს“.

თედო სასოკია,
ჩემი საუკუნის ადამიანები,
თბილისი, 1984



გურამ ჩჩელიშვილი — 80

გურამ ჩჩელიშვილიმა სულ სამიოდე წელი იღვანა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება თემატიკის მრავალფეროვნებით, დოკუმენტურთან დაახლოებული სტილით, ტევადი, დაწურული დიალოგებით, თხრობის სიზუსტით. მისი გმირების ახალგაზრდულ სიფიცხესა და ქედუხრელობას, ვნების სიმძაფრესა და პირველადმომჩინის ჟინს ერწყმის დიდი ადამიანური სილბო და შემწყნარებლობა. მისმა მცირე ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ (მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესა) დიდი კვალი დაამჩნია ქართული პროზის განვითარებას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ, რუსულ ენებზე. მას შესანიშნავი წიგნები უძღვნა მეგობარმა ნუგზარ წერეთელმა: „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ და „აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენ წინ“. მისი სცენარებით გადაღებულია ფილმები — „ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“.



გურამ ჩჩელიშვილის ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავდა სიმართლით, სისავსით, სიღრმით და თვით ლაკონურობითაც. იგი თავის თაობაში გამორჩეული ახალგაზრდა იყო თავისი ცხოვრებისეული და მწერლური სტილით, მუდამ განსაცდელს ეჭიდებოდა, თითქოს ეძებდა მას, აკი, შეეწირა კიდეც სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. იგი 1960 წლის 23 აგვისტოს 26 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა ქალაქ გაგრაში, როცა მღელვარე ზღვაში გადაეშვა უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად.

რულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივანებში.

მთელს ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჯი, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ, ტყისპირას გაგონილ დაუნერულ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი უგეგმიანესი ალვანებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებელი რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისათვის

უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს, ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია. მაგრამ აქ ზოგიერთი დაბნეულა და ველარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში.

შეუძლებელია ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს მოთხრობა „ალავერდობა“ და არ ეცნაუროს ის ჭაბუკური ჟინი, რომელმაც მისი გმირი ალავერდის ტაძრის გუმბათზე აიტაცა და ის სულის სიღრმემდე შემძვრელი გრძნობაც ახალ სივრცეებთან შეხვედრისა, რომელიც მას ამ სიმაღლეზე დაეპატრონა. აი, ამ მოთხრობის უკანასკნელი სტრიქონები:



„მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ქალიდან ამოვარდნილი ალავერდი, მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს, გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსას-

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისაგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს ეღიმება, ისე უაზრობად ეჩვენება აქ დგომა. ქვევით იხედებადა ღიმილი სიცილად იქცევა — დაბლა უკვე დაშლილია ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშუა ადგილას. ალვანებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს თავის უნებურ, უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს.

სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ“.

ლეილა აბაშიძე – ქართული კინოს პარსკვლავი

ახლახან, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი (1958), საქართველოს სახალხო არტისტი (1965), ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო არტისტი (1964), შრომის წითელი დროშის ორდენოსანი (1961), ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ (1966) პირველი პრემიის მფლობელი, ტოკიოში II მსოფლიო ფესტივალის I პრიზის მფლობელი (1997) ლეილა მიხეილის ასული აბაშიძე. ნატო ვარნაძის შემდეგ ლეილა აბაშიძე ყველაზე პოპულარული ქართველი ვარსკვლავი იყო. ის საბჭოთა კავშირის ქალი-ვარსკვლავების ხუთეულში შევიდა, რომელთაც 20-მილიონიანი დასწრების რამდენიმე ფილმი (5 ფილმი მთავარი როლით) აქვთ.



ლეილა აბაშიძე პირველად ეკრანზე 1941 წელს გამოჩნდა ფილმში „ქაჯანა“. ის კატოს როლს ასრულებდა და პარტნიორობას უწევდა ნატო ვარნაძეს. იმ დროისთვის მომავალი დიდი კინოვარსკვლავი მხოლოდ რვა წლის იყო. სკოლის დამთავრებამდე კიდევ ორი როლი შეასრულა: იუტა („ოქროს ბილიკი“, 1945) და ნაზიბროლა („აკაკის აკვანი“, 1947).

სწავლობდა თბილისის შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე. პირველი კურსის შემდეგ კინომსახიობთა სიჭარბის და კინოსტუდიის მიერ გამოშვებული ფილმების სიმცირის გამო სამსახიობო ფაკულტეტი დახურეს. თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა აკაკი ხორავამ დახურული კურსი გასაუბრებაზე მონებია და რამდენიმე მსახიობი აარჩია ინსტიტუტისათვის და ისინი II კურსზე დასვა. არჩეულთა შორის იყო ლეილა აბაშიძეც. კურსი მიჰყავდა დოდო ალექსიძეს. III კურსიდან ლეილა სამსახიობო ხელოვნებას ეუფლებოდა მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში. მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში „თვე სოფელში“, ტურგენევის

პიესის მიხედვით, სადაც ითამაშა ნატალია პეტროვნას როლი. სტუდენტობის პერიოდში გადაიღეს ფილმებში „ქეთო და კოტე“ (ყვავილებიანი გოგონა, 1948) და „გაზაფხული საკენში“ (ნინო, 1950). ინსტიტუტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ ლეილა აბაშიძე გაანაწილეს რუსთაველის თეატრში. თეატრში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულებული მნიშვნელოვანი როლი, რომ მოწვევა მიიღო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. თეატრში გადაჭრით უთხრეს: ან თეატრში დარჩი, ან კინოში იმოღვაწეო. ლეილამ კინემატოგრაფი აირჩია და დაიწყო მოღვაწეობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

ობოლმა, ლარიბმა გოგონამ სრულიად უპატრონოდ, მხოლოდ ბუნებით დაჯილდოებული მსახიობური ნიჭით გაიკვლია გზა კინემატოგრაფის დიდ სამყაროში და შექმნა განუმეორებელი როლები. საყოველთაო აღიარება მოუტანა კომედიური ხასიათის როლებმა ფილმებში მარინე („ჭრიჭინა“, 1954), ლია („აბუზარა“, 1957). ფილმმა „ჭრიჭინა“ (სცენარი მ. ბარათაშვილისა და ლ. ხოტივა-





რის, რეჟისორი სიკო დოლიძე) მთელი მსოფლიოს ეკრანები მოიარა და მსახიობს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ლეილა აბაშიძემ კომედიურ როლებთან ერთად განასახიერა სრულიად განსხვავებული სახეები და ტიპაჟები — ლელა („ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, 1954), მანანა („ჩვენი ეზო“, 1956), მაია წყნეთელი („მაია წყნეთელი“, 1959), მზია („სად არის შენი ბედნიერება, მზია?“ , 1959), დიძია („ხვეისბერი გორა“, 1964), ნინო („შეხვედრა წარსულთან“, 1966), ლალი-მზევინარი („შეხვედრა მთაში“, 1966), ვარდისახარი („დიდოსტატის მარჯვენა“, 1969), ქეთევანი („მოლოდინი“, 1969) და სხვ.

1959 წელს გადაიღეს ფილმი „მაია წყნეთელი“, სადაც ლეილა აბაშიძემ მაიას როლი შეასრულა. მაია წყნეთელი ლეილა აბაშიძის ნამდვილი სამსახიობო გამარჯვებაა.

ფილმ „შეხვედრა წარსულთან“ ლეილას მიერ განსახიერებული დრამატული როლით აღფრთოვანებული სერგო ზაქარიაძე მას ცნობილ უცხოელ ტრაგიკოს მსახიობებს ადარებდა და ამბობდა, რომ ლეილამ ფილმში ითამაშა ისეთ მაღალ დონეზე, როგორც სჩვევიათ ცნობილ ტრაგიკოსებს.

თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ, 1970-ინი წლებიდან დიდხანს არ იღებდნენ კინოში. 1970-იდან 1990 წლამდე, ანუ 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 5 ფილმში ათამაშეს, ქართულმა კინოხელოვნების წარმომადგენლებმა ლეილა აბაშიძე ისე ვერ გამოიყენეს, როგორც საჭირო იყო და ამით ბევრი დაკარგა კინემატოგრაფიამ.

თითქოს დაივიწყეს ერთ დროს მსახიობი ლეგენდა, რომელსაც საზღვარგარეთ მერი პიკფორდს ადარებდნენ. დიდი ხნით აიკრძალა ფილმი „ხვეისბერი გორა“, რომელშიც ლეილამ ერთ-ერთი შთამბეჭდავი დრამატული როლი ითამაშა, რადგან ფილმში ლეილას პარტნიორმა, ონისეს როლის შემსრულებელმა ნუგზარ შარიამ



საბჭოთა კავშირი დატოვა და თავშესაფარი ითხოვა საზღვარგარეთ. ამას დაერთო მსახიობ გორა აბაშიძის თვითმკვლელობა (ლეილას სიყვარულის გამო), რომელშიც ირიბად ლეილას ადანაშაულებდნენ რეჟისორები (თუმცა თვითმკვლელობის სხვა მიზეზებსაც ასახელებენ).

1981 წელს საკუთარი სცენარით (ლ. ჭელიძესთან ერთად) გადაიღო ფილმი „თბილისი-პარიზი-თბილისი“, სადაც მთელი თანავარსკვლავედი მოიწვია სათამაშოდ — ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, თვითონ კი თეა შერვაშიძის მთავარი როლი განასახიერა.

1986 წელს მსახიობი ქალის რო-

ლი განასახიერა ფილმში „ორმოტრიალი“ (რეჟ. ლანა ლოლობერიძე) და საკუთარი თავი ითამაშა.

2009 წლის 8 მარტს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავის გახსნის შემდეგ მსახიობმა განაცხადა: **„მე დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის. მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის ნატო ვაჩანაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაცურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, რომლებსაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვით, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალეობით წარდგეს მაცურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს“.**



ჩაის ღარბში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და მხირა ბიზნესის განვითარების რეალური წინადადება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1990 წლიდან მეჩაიეობაში ღრმა კრიზისული მდგომარეობაა, მთლიანად მოშლილია დარგის ინფრასტრუქტურა, 4-5 სანარმოს გარდა, განადგურებულია და აღარ არსებობს მანამდე არსებული 150 პირველადი გადამამუშავების და რამდენიმე დამფასოებელი ჩაის ფაბრიკა. ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი გატყვევებული, ეკალ-ბარდებითა და სარეველებითაა დაფარული, პრივატიზებული ჩაის პლანტაციები კი დანაწევრებული და მიტოვებულია. ამას ემატება ჩაის მცენარის ბიოლოგიური აქტივობის შემცირება, მისი დაკნინება ხანდაზმულობის (80-90 წ. ნაცვლად 60-70-ისა) გამო და ამოძირკვისა და ახლის გაშენების აუცილებლობა.



უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ჩაის პლანტაციების აღდგენისა და განახლებისთვის არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულია. მეჩაიეობის რაიონებში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მაღალი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, ისევე, როგორც კახეთის მოსახლეობისთვის მევენახეობას და მეღვინეობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩაის ბუჩქები უდიდეს როლს ასრულებს ნიადაგის ეროზიისგან დაცვაში. საერთოდ, ჩაი კომერციულად მომგებიანი, აგრეთვე, როგორც შიგა მოხმარების, სარფიანი საექსპორტო პროდუქტია. ჩაი ყოველდღიური მოხმარების უნიკალური პროდუქტია. სამწუხაროდ, ჩაის ქვეყანაში მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა ჩაი ენატრება. ასეთი 1 კგ ჩაის ფასი 30 და მეტი ლარია; წლიური მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე 1500-2000 ტონაა, მაგრამ დეფიციტურია. ჩაიზე მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ, ოფიციალური მონაცემებით, ჩაის წარმოებას ზრდიან იმ ქვეყნებში, რომ-

ლებშიც საამისო მინიმალური ბუნებრივი პირობებია, ჩვენთან კი პირიქითაა. სამაგიეროდ ჩვენი ბაზარი გაჯერებულია უცხოური ფირმების ფალისიფიცრებული, ხელოვნური საღებავებით შეფერილი და ჯანმრთელობისთვის მავნე ჩაის პროდუქციით. ასეთებია, ერთჯერადი მოხმარების „ქართული ბრენდებიც“. ისიც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ჩაის, როგორც „დღის საუკეთესო სასმელის“, მოხმარება ხელს უშლის ისეთი დაავადებების წარმოშობას, როგორიცაა კიბო, კარდიოლოგიური დაავადებები, კბილებისა და ღრძილების დაავადებები, თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციების მოშლა; ჩაი ასევე არეგულირებს ქოლესტერინის დონეს ორგანიზმში და სხვ. ამით არის განპირობებული მასზე მოთხოვნის ზრდა, რაც ჯანმრთელი ცხოვრების წესის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ჩაი არის „მსოფლიოს ძვირფასი განძი“ და ყველაზე პოპულარული და საყვარელი სასმელი ყველა ასაკში. ჩვენთან მასზე დიდი მოთხოვნაა, ჩაი ჩვენი მოსახლეობის კვების რაციონში ერთ-ერთი აუცილებელი და

შეუცვლელი პროდუქტია. ჩაის ინდუსტრიას სასიცოცხლო მნიშვნელობის წვლილი შეაქვს მწარმოებელი ქვეყნების ეკონომიკაში და ასეთი ქვეყნების რაოდენობა არა თუ იკლებს, მატულობს. **დარგის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ რეალურ ღონისძიებად მცირე ბიზნესის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს. ამ მიზნით, ჩემი წინადადებაა: შემოტანილი იქნას ჩინეთიდან მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი კიმიინის სახესხვაობის ჩაის** (რაც ჩვენ პირობებში 1935 წლიდან ცალკეულ ფართობებზე სამრეწველო მონაცემებით და 90-იან წლებში პირადად ჩემი ექსპერიმენტული კვლევებითაა დადასტურებული) **თესლი** გარკვეული რაოდენობით, ეტაპობრივად მაგ. 500 ან 1000 კგ ერთ ჯერზე და შეღავათიან ფასებში მიეყიდოს გურიის, სამეგრელოს, იმერეთის და აჭარის მცხოვრებლებს, რათა თავიანთ ნაკვეთებში გააშენონ მცირე ზომის — 200-დან 500-მდე კვადრატულ მეტრ ფართობებზე ჩაის მცენარეები შპალერული სახით. აღნიშნული მეთოდი ჯერ კიდევ ადრეულ



ნლებში — 1903-04 წლებში გამო-
ყენებული იყო ოზურგეთის ჩაის
სანერგეში, საიდანაც ჩაის საქმით
დაინტერესებულ ყოველ მოსახ-
ლეს უფასოდ ეძლეოდა ნერგები
თავის საკარმიდამოში ჩაის პატა-
რა პლანტაციის გასაშენებლად.
ასეთი წესით მარტო 1907 წელს
გაცემულ იქნა 11960 ძირი ნერგი,
მათ შორის 5000 ძირი — სამეგრე-
ლოს რაიონებში, ხოლო 1907-1915
წლებში — 60 ათასი (იხ. გ. ქარჩა-
ვა. საქართველოს ჩაის მეურნეო-
ბის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზ-
რის განვითარება. თბილისი,
„მეცნიერება“, 1967 წ. გვ. 20-22).

აღნიშნული მეთოდი დღესაც
გამოყენებულია იაპონიასა და ჩი-
ნეთში. მაგ. იაპონიაში თითქმის
ყველა სოფლად მცხოვრებს თა-
ვის ეზოში აქვს რამდენიმე ბუჩქი
ჩაი. მიღებული ნედლეულის 2-3-
4 და მეტ კგ-ს ტოვებს 0,8-1,0 მ
სიგრძის ავტომატური მოწყობი-
ლობის ბუნკერში (ისევე, როგორც
ამჟამად გორენიეს ფირმის ავტო-
მატურ რეჟიმში მომუშავე საოჯა-
ხო სარეცხი მანქანა, ან, მაგალი-
თად, პურის საცხობი საოჯახო
აპარატი), რომელიც უდგას სამ-
ზარეულოში. საღამოს, როცა სა-
მუშაოდან ბრუნდება, დახვდება
მაღალი ხარისხის გამშრალი ჩაი,
რომელსაც პირადად მოიხმარს,
ხოლო ნამეტს ყიდის (აბარებს).

ჩვენს პირობებში სასურველია,
აგრეთვე, ზონების მიხედვით მო-
ენყოს მცირე ზომის ჩაის სანერ-



გეები, რომლებშიც გამოყვანილი
იქნება სელექციური ჯიშის „კოლ-
ხიდას“ ნერგები და შემდეგ შელა-
ვითან ფასებში მიეყიდება მო-
სახლეობას. ჩვენ მიერ მოკვლეუ-
ლი წინასწარი მონაცემებით, მო-
სახლეობის დიდი ნაწილი სრულ
მხარდაჭერას აცხადებს ამ მეთო-
დის გამოყენებისადმი, მით უმე-
ტეს ახლა, როცა რაიონებსა და
სოფლებში თვითმმართველობის
ორგანოები ჩამოყალიბდა, რაც
ჯანსაღ პირობებს ქმნის ამ საქმის
პრაქტიკული განხორციელების-
თვის.

ჩაის დათესვიდან ან დარგვიდან
5-6 წლის შემდეგ, როცა ბუჩქები
მოსავლიანი გახდება, ნედლეუ-
ლის გადასამუშავებლად გამოყე-
ნებული იქნება მინი მოწყობილო-

ბები, ძირითადი საღნობი, საგრე-
ხი და საშრობი, რომელთა კონს-
ტრუქციები და პარამეტრები და-
მუშავებულია ჩვენ მიერ.

საღნობი მოწყობილობის ძირი-
თადი ნაწილებია: მართკუთხა პა-
რალებეპიპედის ფორმის საღნო-
ბი კამერა, რომელსაც ქვედა ნა-
წილში აქვს საპაერო არხი, დაკავ-
შირებული ელექტროკალორი-
ფელთან და დამჭირხნ ვენტილა-
ტორთან. კამერის ზედა ნაწილში
დაყენებულია საღნობი ბაქანი
უძრავი ბადის სახით. მასში ფოთ-
ლის ჩატვირთვა, გაშლა და მომლ-
ნარი ფოთლის გამოტვირთვა
ნარმოებს ხელით (GE F 2006 3919
B). დამუშავებულია, აგრეთვე,
ასეთი საღნობის მეორე ვარიან-
ტი, რომლის ზედა ჩატვირთვის
ზონაში დაყენებულია გამანაწი-
ლებელ-გამთანაბრებელი მექა-
ნიზმი შნეკის სახით (GE P 2008
4305 B).

აღნიშნული საღნობების კამერა
შეიძლება დამზადდეს ხისგან,
რაც ამცირებს მის ღირებულებას.
იგი საშუალებას იძლევა, ღნობა
ჩატარდეს ბუნებრივი ღნობის
მოთხოვნების დაცვით. მასში გა-
მოყენებულია 20-25 გრადუსი
ტემპერატურის ჰაერი, რაც განა-
პირობებს ენერგიის მცირე დანა-
ხარჯებს.

ფოთლის ღნობა შეიძლება ჩა-
ტარდეს, აგრეთვე, ბუნებრივ პი-
რობებში თბური ენერგიის გამო-
ყენების გარეშე — ხის ან ცემენ-





ტის იატაკზე, პოლიპროპილენის საფენებზე და ა. შ.

მცირეგაბარიტიანი მინისაგრების ნაწილებია: დგარი, წრიული ფორმის მაგიდა კიუვეტით გასახსნელი კარის გარეშე, რომელიც აადვილებს მის დამზადებას და აუმჯობესებს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას; ამჟღავნებული და ამძრავი მუხლა ლილვები, ცილინდრი, საწნერხი მექანიზმი. საგრებში ფოთლის მცირე პარტიების 7-დან 20 კგ-დე ჩატვირთვა და გამოტვირთვა ხორციელდება ხელით ცილინდრის სარკმლიდან. იგი გამართვის დროს არ საჭიროებს ფუნდამენტის მონყობას, გამოიჩრევა დაბალი ლითონტევალობით. მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება მცირე სათავსებში ოჯახურ პირობებში და ფერმერულ მეურნეობებში (GE U 2008 1416 Y). დღეში 10-საათიანი მუშაობის პირობებში ერთი მონყობილობის გამოყენებით შეიძლება მოიგრიხოს 70-დან 220 კგ-მდე მწვანე ფოთლის მიხედვით.

მინი საშრობის პრინციპული ტექნიკური გადანყვება ასეთია: იგი შეიცავს თბოსაიზოლაციო კედლების მქონე კარადის ტიპის საშრობ კამერას, რომლის შიგნით განლაგებულია ერთმანეთთან ტიხრებით დაკავშირებული ჰაერსადენები არხების სახით, რომლებშიც თავსდება ბადეები გასაშრობი ჩაის მასით. იგი შეიცავს, აგრეთვე, დამჭირხნ ვენტილატორს და ელექტროკალორიფერს. ერთი ცალი საშრობის გამოყენებით დღეში 10 საათიანი მუშაობის პირობებში შეიძლება გაშრეს 200 კგ-მდე მწვანე ფოთლის მიხედვით, გარემო პირობებისაგან დამოკიდებულებით.

საშრობი კამერა ხასიათდება მცირე გაბარიტული ზომებით 0,8X0,9X1.7მ; კონსტრუქციულად მარტივია, იდგმება ცემენტის იატაკზე მონტაჟის გარეშე. მისი დამზადება და ექსპლუატაცია შესაძლებელია მინიმალური ხარჯებით და კომერციულად მომგებიანია. მასში გამოყენებულია შრობის ახალი პრინციპი, შედეგად ცხელი ჰაერის თბური ენერ-



გია ზღვრულად არის გამოყენებული მისი გაქრევით სხვადასხვა ტენიანობის ჩაის მასაში. მისი მქკ აღწევს 0,8-0,85, ნაცვლად ინტელექტუალური საკუთრება, ექვემდებარება დაპატენტებას, რის გამო მასში გამოყენებულ შრობის პრინციპს არ ვასაჯაროებთ. კანონმდებლობის მიხედვით, დაინტერესებულ მხარესთან სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩვენ მას გადავცემთ ყველა აუცილებელ ტექნიკურ მახასიათებელს მიზერული ანაზღაურებით (რომ იტყვიან უფასოდ).

მზიანი მშრალი ამინდის პირობებში ჩაის შრობა შეიძლება აგრეთვე ჩატარდეს მზეზე, რაც ენ-



ერგის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა. მინი მონყობილობები გამოიჩრევა მარტივი კონსტრუქციით და მათი დამზადება შეიძლება კერძო სახელოსნოებში.

შეიქმნება კოოპერატივები 5-დან 10-მდე ადამიანის მიერ დაისინი გამოიყენებენ მინიმონყობილობებსა და მინისანარმოებს კოლექტიურად (ჯგუფურად) ან ინდივიდუალურად. სოფლის მცხოვრებთ გაენევა სათანადო დახმარება — აგროტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაციების და ინსტრუქციების სახით.

ახლანდელი ეკონომიკური სიღუხჭირის პირობებში ჩაის დარგში მცირე ბიზნესის განვითარების შემოთავაზებული სქემა ხელს შეუწყობს სასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდას და მოსახლეობისათვის ჩაიზე დეფიციტის აღმოფხვრას, აგრეთვე, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მომავალში კი ჩაის საექსპორტო პროდუქციის წარმოებას.

ინგოუ ჟოლაკი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ატესტირებული უფროსი მეცნიერმუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ლაურეატი, გამოგონებელი, პენსიონერი



ბეჟან ხორაგა

«აღმოსავლეთის საკითხი» XIX საუკუნის 20-იან წლებში და აფხაზეთი

XIX საუკუნის 20-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში აღმოსავლეთის საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საკითხის გადანყვეტისათვის ბრძოლაში რუსეთი ცდილობდა: შავი ზღვის ვაჭრობაში სრული თავისუფლებისათვის მიეღწია; დუნაის სამთავროებში (მოლდავეთი და ვლახეთი) პოლიტიკური გავლენა განემტკიცებინა; კავკასიაში, სახელდობრ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამფლობელოები გაეფართოებინა.

ბუქარესტის ზავის (1812წ.) დადების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა გართულდა. ოსმალეთს არ სურდა, ზავის პირობები შეესრულებინა; ამასთანავე, ტრაქტატის პირობების დაცვის მოთხოვნით იმერეთ-სამეგრელო-გურია-აფხაზეთზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ტერიტორიულ დათმობებთან დაკავშირებით პეტერბურგის ურყევ პოზიციას შეეჯახა. 1812 წელს ნაპოლეონთან ომისა და რუსეთის არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობის შემდეგ, ევროპის საქმეებში რუსეთის როლი გაიზარდა და მისი საერთაშორისო პრესტიჟი ამაღლდა. ამის გათვალისწინებით, პორტამ თავისი პრეტენზიები შავი ზღვის სანაპირო ციხეებით — სოხუმ-კალე, ანაკლია, კემხელი (რედუტ-კალე) — შეზღუდა; ამასთანავე რუსეთს ბუქარესტის ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობაში სდებდა ბრალს. რუსეთის პოზიცია ამ შემთხვევაშიც ურყევი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ რუსეთი ბუქარესტის ზავის პირობებს ყოველთვის იცავდა, ოსმალეთისაგან განსხვავებით, რომელიც, სრულიად უსაფუძვლოდ, შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეების მისთვის გადაცემას მოითხოვდა.

რუსეთის გავლენის ზრდამ ევროპაში ხელი შეუწყო ცარიზმის

პოლიტიკის გააქტიურებას შუა აღმოსავლეთში. რუსეთის მცდელობას, განეახლებინა ოსმალეთთან მოლაპარაკებები ბუქარესტის ტრაქტატის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, „ბრწყინვალე პორტამ“, რომელსაც ინგლისი უჭერდა მხარს, უარით უპასუხა და დასავლეთ საქართველოზე კვლავ პრეტენზია წამოაყენა.

რუსეთის ახალმა ელჩმა სტამბოლში — გრიგორი სტროგანოვი (1816-1821) ბალკანეთისა და კავკასიის საკითხებზე მუშაობის II-ის (1808-1839) მთავრობასთან მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა პორტა არ აპირებდა სერბეთისთვის აღთქმული უფლებები გადაეცა, არც ბუქარესტის ზავის თანახმად 1812 წელს მისთვის ახალქალაქის, ფოთისა და ანაპის დაბრუნებით აპირებდა დაკმაყოფილებას. ოსმალეთი პრეტენზიას აცხადებდა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე რედუტ-კალედან სოხუმის ჩათვლით. ინგლისის დიპლომატია, რომელიც პორტას პრეტენზიებს მხარს უჭერდა, როგორც პეტერბურგში ფიქრობდნენ, ამ გზით ბუქარესტისა (1812წ.) და გულისტანის (1813წ.) საზავო ხელშეკრულებების შეცვლას მიეღწეოდა.

XIX საუკუნის 10-იანმა წლებმა რუსეთ-ოსმალეთის დიპლომატიურ ბრძოლაში ჩაიარა, 20-იანი

წლების დასაწყისში კი „აღმოსავლეთის საკითხი“ გამწვავდა, რაც ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ 1821 წლის 25 მარტს (6 აპრილი) დაწყებულმა ბერძენების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ გამოიწვია. იმავე დროს, ოსმალეთის თვითნებობა გაძლიერდა: პორტამ დუნაის სამთავროებში ჯარები შეიყვანა და რუსეთის საზღვრის სიახლოვეს, მოლდავეთში, ღიად მოუყარა თავი. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრე დადებული ხელშეკრულებების დარღვევის გამო რამდენიმე უშედეგო პროტესტის შემდეგ ალექსანდრე I-მა (1801-1825) გ. სტროგანოვი სტამბოლიდან გამოიწვია, რაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტას ნიშნავდა.

რუსეთს ოსმალეთის მიმართ სხვა პრეტენზიებიც ჰქონდა. პეტერბურგის საგარეო უწყების განცხადებით, პორტა დუნაის სამთავროების თაობაზე შეთანხმებას არ ასრულებდა, მხარს უჭერდა ახალციხის საფაშოდან მარბიელ ლაშქრობებს, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ; რუსეთის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის ნებაყოფლობით შესვლას არ აღიარებდა; თავის ნებაზე განმარტავდა ბუქარესტის საზავო ხელ-



შეკრულების პირობებს, რომლებიც კავკასიაში ტერიტორიული გამიჯვნის საკითხს შეეხებოდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი ობიექტი აფხაზეთიც იყო. ბრწყინვალე პორტა აფხაზეთის სამთავრო ტახტისათვის ბრძოლაში ასლანბეი შარვაშიძეს უჭერდა მხარს და ახალგაზრდა მთავრის — მიხეილ შარვაშიძის (1823-1864) ჩამოცილებით ამ მხარეში რუსეთის გავლენის აღმოფხვრას ცდილობდა. 1826 წლის დასაწყისისთვის რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, რაც იმან გამოიწვია, რომ პორტამ დაარღვია შავი ზღვის სრუტეების ზონაში თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობის რეჟიმი და ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების მუხლები სერბეთისა და დუნაის სამთავროების თაობაზე, ხოლო პეტერბურგი დადებითად გამოეხმაურა ბერძენი პატრიოტების თხოვნას ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების შესახებ და ბერძენების განმათავისუფლებელ ბრძოლას მხარი დაუჭირა. 1826 წლის 5 მარტს რუსეთმა ოსმალეთს ულტიმატუმის წესით მოსთხოვა ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობების შესრულება – ჯარების გაყვანა მოლდავეთიდან და ვლახეთიდან და ამ ტერიტორიებზე იმ წესის აღდგენა, რომელიც განსაზღვრული იყო რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით, მაგრამ 1821 წელს ოსმალეთმა დაარღვია; სერბეთისთვის ბუქარესტის ტრაქტატით მიცემული ყველა უფლების აღდგენა, რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებების განახლება, რომელიც 1816-1821წ. უშედეგოდ მიმდინარეობდა და, ახალი ხელშეკრულების დასადებად რწმუნებულების დანიშვნა. უარის შემთხვევაში რუსეთი პორტას წინააღმდეგ ომის დაწყებას ფიქრობდა.

ინგლისი და საფრანგეთი ოსმალეთის სუსტი იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს და რუსეთ-ოსმალეთის ომის თავიდან აცილებას ცდილობდნენ. იმ მიზნით, რათა შეეკავებინა ცარიზმი ოსმალეთის

წინააღმდეგ ერთპიროვნული გამოსვლისაგან, ინგლისი შეეცადა, საბერძნეთის საკითხში ხელშეკრულებით მისთვის ხელ-ფეხი შეეკრა. 1826 წლის თებერვალში პეტერბურგში ჩავიდა ჰერცოგი ა. ველინგტონი, რომელიც, როგორც ნაპოლეონზე გამარჯვების მომპოვებელი, ევროპელი მონარქებისა და, მათ შორის, რუსეთის ხელმწიფის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. ნიკოლოზ I (1825-1855) დათანხმდა, ეთანამშრომლა ლონდონთან საბერძნეთის საკითხში.

4 აპრილს პეტერბურგში ინგლისისა და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით ერთობლივი მოქმედების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თუმცა მასში შევიდა მუხლი, რომელიც რუსეთს, აუცილებლობის შემთხვევაში, ოსმალეთის წინააღმდეგ ერთპიროვნული მოქმედების უფლებას აძლევდა. ლონდონმა ეს ფაქტი ა. ველინგტონის მისიის ჩავარდნად შეაფასა. ამრიგად, ინგლისის განზრახვა გამოჩენილი სარდლის დიპლომატიური გამოუცდელობის გამო ჩაიშალა.

რადგან პორტა ომისთვის მზად არ იყო, ამასთან, ლონდონის რჩევით, რომლის აზრითაც რუსეთთან ომი მკვეთრად დაასუსტებდა იმპერიას და ბალკანეთის ხალხების განთავისუფლებას ხელს შეუწყობდა, რუსეთის მოთხოვნები მიიღო. 1826 წლის 1 ივლისს აკერმანში (ამჟამინდელი უკრაინა, ოდესის ოლქის ქ. ბელგოროდ-დნესტროვსკი) რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. რუსეთის მხარეს წარმოადგენდნენ ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი და რუსეთის ელჩი ოსმალეთში ა. რიბოპიერი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მათ მიიღეს მითითება, რომ შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები — სოხუმ-კალე, ანაკლია, კემხელი — ოსმალეთს არ უნდა დაბრუნებოდა. საგარეო უწყების განმარტებით, სოხუმ-

კალე აფხაზეთის ქალაქი იყო, აფხაზეთი კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812წ.წ. ომამდე შევიდა; ანაკლია და კემხელიც, როგორც სამეგრელოს სამთავროს სიმაგრეები, რუსეთმა ომამდე დაიკავა. სამეგრელო კი, ისევე როგორც ქართლ-კახეთი, იმერეთი და გურია, დიდი ხანია, რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. **არც ერთი მათგანი მანამდე პორტას დაქვემდებარებაში არ ყოფილა და მათზე მხოლოდ ირანი ახორციელებდა ზოგჯერ სიუზერენულ უფლებებს, შემდეგ კი მან ეს პროვინციები გულისტანის ზავით რუსეთის შემადგენლობაში ცნო.**

ამრიგად, **რუსეთი ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები მან 1806-1812წ.წ. ომამდე დაიკავა და პორტას პრეტენზიები მათზე უსაფუძვლო იყო. პეტერბურგი განწყობილი იყო, პორტასთან ურთიერთობა მშვიდობიანად დაეკავშირებინა, ხოლო თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდებოდა, გადაწყვიტილი იქნებოდა მისი მიმართა, ანუ ომით გადაეწყვიტა საკითხი.** ინგლისის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთს ოსმალეთთან ომი არ დაეწყო და სადავო საკითხები თავის სასარგებლოდ არ გადაეჭრა. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის განვითარება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთ-ირანის ურთიერთობაზე. ირანის ნეიტრალიტეტის გარეშე რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებდა, ამიტომ ინგლისის დიპლომატიამ ირან-რუსეთის ახალი ომის პროვოცირება დაიწყო.

ამ მხრივ ლონდონს ირანში სასურველი ნიადაგი ჰქონდა. ირანის მმართველი წრეები, რომლებიც გულისტანის ზავს (1813წ.) დროებით დათმობად თვლიდნენ, რუსეთთან ახალი ომისათვის ემზადებოდნენ. ირანის მმართველი წრეების რევანშისტულ განწყო-

ბას ინგლისიც აღვივებდა, რომელიც ფათ-ალი შაჰს გულისტანის ზავის გადასინჯვისკენ უბიძგებდა. 1826 წლის 16 ივლისს ირანის 60-ათასიანმა არმიამ ტახტის მემკვიდრის — აბას-მირზას მეთაურობით მდ. არაქსი გადალახა და რუსეთის იმპერიის საზღვრებში შეიჭრა. **ინგლისელი მრჩევლების მიერ შემუშავებული გეგმით, აბას-მირზას თბილისი უნდა დაეკავებინა, რუსეთის ჯარები ქართლ-კახეთიდან განედევნა და თერგს იქით უკუეგდო. კავკასიის კორპუსის სარდალს, გენერალ ალექსი ერმოლოვს (1816-1827) საკმარისი ძალები არ ჰყავდა. მას კავკასიის მთიელთა წინააღმდეგაც უნდა დაებანდებინა ჯარის ნაწილები, ოსმალეთის საზღვარზეც და ირანის წინააღმდეგაც ებრძოლა.**

ირანის ჯარების ამიერკავკასიაში შეჭრა აკერმანის კონფერენციის დაწყებასთან იყო დაკავშირებული. რუსეთ-ირანის ახალი ომის დაწყებას პორტა იმედით შეჰყურებდა და ირანის თავდაპირველი წარმატებებით იმედმცემული ოსმალეთის დიპლომატია მოლაპარაკების გაჭიანურებას ცდილობდა. რუსეთის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ირანის მსგავსად, ინგლისის ნაქეზებით, მას ომს ოსმალეთიც გამოუცხადებდა. **რუსეთის დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკიც კი დაიწყო იმის თაობაზე, რომ დაეკმაყოფილებინათ პორტას პრეტენზია და სოხუმი და ანაკლია დაებრუნებინათ, თუმცა ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ სოხუმისა და ანაკლიის დათმობით მთელ დასავლეთ საქართველოს სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა.**

ა. ერმოლოვი ოსმალეთისთვის ამ ნავსადგურების დათმობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, სოხუმის დათმობა გამოიწვევდა ქრისტიანობის ამოგდებას აფხაზეთში და იქ ისლამის გაბატონებას; სოხუმის დაკარგვით რუსეთი დაკარგავდა ერთადერთ საიმედო ნავსადგურს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და, საბოლოოდ, აფხაზეთსაც. **აფხაზე-**

თის დაკარგვა კი რთულ პირობებს შექმნიდა სამეგრელოში, რომელიც აფხაზეთიდან ოსმალთა გამუდმებული თავდასხმების ობიექტი გახდებოდა, რაც ერთ-მორწმუნე ქართველებში რუსეთისადმი რწმენის დაკარგვას გამოიწვევდა. ამიტომ იგი სოხუმის სათანადოდ გამაგრების საკითხს აყენებდა.

ამავე ხანებში, პორტამ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსაც მიაქცია ყურადღება. 1826 წლის ზაფხულში ტრაპეზუნდიდან ანაპაში ახალი ფაშა, წარმომოხობით ჩეჩენი ჰაჯი ჰასან-ოღლუ ჩავიდა. როგორც ჩანს, პორტა იმედოვნებდა, რომ წარმომოხობით კავკასიელი ფაშა ადგილობრივ მთიელებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას შეძლებდა. 5 სექტემბერს ჰასან-ოღლუმ ანაპის მახლობლად შეკრიბა ჩერქეზული თემების მამასახლისები და მათგან სულთნის ერთგულებაზე ფიცის დადება და ანაპის თურქული გარნიზონის შენახვა მოითხოვა. მთიელებმა ფაშას განუცხადეს, რომ არც ერთ ხელმწიფეს არ ემორჩილებოდნენ და არავის მისცემდნენ ნებას, ვინმეს ისინი დაპყრობილად მიეჩნია. მიუხედავად ამისა, ფაშამ ზოგიერთი მამასახლისისაგან ფიცის დადებას მიაღწია იმ პირობით, რომ გამოსაღებს არ მოითხოვდა. თუმცა მალე მთიელებმა ამ შეთანხმებაზე უარი თქვეს და პორტასთან ურთიერთობა შეწყვიტეს.

ირანის ჯარის ნაწილების თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, კავკასიის კორპუსის ნაწილებმა ომის დასაწყისშივე ჩაშალეს ირან-ინგლისის გეგმები. 1826 წლის 3 სექტემბერს მდ. შამქორთან, ხოლო 13 სექტემბერს ელიზავეტოპოლთან (განჯა) ირანის არმია დაამარცხეს და მდ. არაქსის გაღმა გადარეკეს. შამქორთან და ელიზავეტოპოლთან რუსეთის ჯარების გამარჯვებამ ირანის არმია წელში გატეხა და გამარჯვების იმედი დაუკარგა.

რუსეთის ამ გამარჯვებამ ოსმალეთშიც კპოვა გამოძახილი. პორტა, რომელიც რუსეთთან ომის

დასაწყებად ემზადებოდა, იძულებული გახდა, თავი შეეკავებინა. უფრო მეტიც, როდესაც ომში რუსეთის უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა, პორტამ რუსეთის მიერ აკერმანში წამოყენებული კონვენციის ტექსტი უსიტყვოდ მიიღო. 1826 წლის 25 სექტემბერს აკერმანში რუსეთსა და ოსმალეთს შორის კონვენციას ხელი მოეწერა. აკერმანის კონვენცია ადასტურებდა ბუქარესტის ტრაქტატის პირობებს. ოსმალეთმა რუსეთის შემადგენლობაში ოფიციალურად აღიარა შავი ზღვის ნავსადგურები: სოხუმი, რედუტკალე (კემხელი) და ანაკლია; რუსეთის სავაჭრო ფლოტს ოსმალეთის ტერიტორიულ წყლებში თავისუფალი ნაოსნობის, ხოლო რუს ვაჭრებს ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიეცათ; რუსეთსა და ოსმალეთს შორის სასაზღვრო ხაზად მდ. დუნაი დაწესდა; დუნაის სამთავროებში ექვს თვეში უნდა აღდგენილიყო თვითმართველობა, სერბიას შინაგანი მმართველობის თავისუფლება ენიჭებოდა, უბრუნდებოდა წართმეული ტერიტორიები და სხვა.

ამრიგად, აკერმანის კონვენცია საგრძნობლად აძლიერებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიასა და ბალკანეთში და რუსეთის დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო, მაგრამ თურქეთი აშკარად უკმაყოფილო იყო, იგი შეთანხმების პირობების დარღვევას ცდილობდა და აშკარა კონფრონტაციაზე მიდიოდა. კვლავ გააქტიურდა ოსმალეთის პოლიტიკა როგორც აფხაზეთის, ისე მთლიანად დასავლეთ კავკასიის მიმართ; გააქტიურდა აფხაზეთის სამთავრო ტახტის მადიებელი ასლან-ბეი შარვაშიძეც, რომელსაც მხარს უჭერდა პორტა; თურქები იარაღით ამარაგებდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელებს, აფხაზეთიდან და ჩერქეზეთიდან კვლავ გაჰყავდათ ტყვეები. წარმომოხობით ლაზმა სერასკირმა ოსმანფაშამ, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ოსმალეთში და სულთნის კეთილგანწყობით სარგებლობდა,



შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გააგზავნა თავისი ბიძაშვილი აჰმედ-ფაშა, რათა ემართა ეს მხარე და მისი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ განეწყო. ამრიგად, პორტა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაკარგული გავლენის აღსადგენად კვლავ ენერგიულად ემზადებოდა. მისი ასეთი მცდელობა რუსეთის ინტერესებს ეჯახებოდა, რასაც მათ შორის კონფრონტაცია გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა.

1827 წლის ზაფხულში ლონდონში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბერძნების ეროვნულგანმათავისუფლებელ აჯანყებასთან დაკავშირებით შეთანხმების გასაფორმებლად. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ, მოლაპარაკება გაეჭიანურებინათ და ოსმალეთისთვის ბერძნების აჯანყების ჩახშობის საშუალება მიეცათ. ამით განაწყენებულმა რუსეთმა განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხს ერთპიროვნულად გადაწყვეტდა და ჯარის მობილიზაცია დაიწყო. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთის კატეგორიულმა განცხადებამ დააფრთხო და იძულებული გახდნენ, შეთანხმების გაფორმება დაეჩქარებინათ.

1827 წლის 6 ივლისს ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ლონდონის კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა სამი სახელმწიფოს ერთობლივ მოქმედებას პორტასთან მიმართებაში. ისინი ვალდებულებას იღებდნენ, ოსმალეთისთვის შეეთავაზებინათ თავიანთი შუამავლობა ბერძნებთან დაზავების თაობაზე; ოსმალეთს საბერძნეთისთვის ავტონომია უნდა მიეცა; კონვენციის ხელმომწერი მხარეებს ეკრძალებოდათ თავიანთი გავლენის გაზრდა ახლო აღმოსავლეთში ან სავაჭრო უპირატესობის მოპოვება. კონვენციის საიდუმლო მუხლის თანახმად, თუ პორტა უარს იტყოდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შუამავლობაზე საბერძნეთთან ურთიერთობის მოგვარების საქმეში, მაშინ

ოსმალეთის მიმართ იძულებითი ზომა იქნებოდა გამოყენებული. კონვენციის ხელმომწერი მხარეები საბერძნეთში გაგზავნიდნენ თავიანთ კონსულებს, ხოლო კონსტანტინოპოლიდან ელჩებს გამოიწვევდნენ; თუ ეს ღონისძიებაც არ იმოქმედებდა სულთანზე, სამხედრო-საზღვაო ესკადრებს თავს მოუყრიდნენ ხმელთაშუა ზღვაში და აიძულებდნენ ოსმალეთს, ბერძნებთან ომზე ხელი აეღო.

ლონდონის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე სულთანმა უარი განაცხადა. მაშინ, მოკავშირეთა ესკადრა საბერძნეთის სანაპიროსაკენ გაემართა, რათა პორტაზე ზენოლა მოეხდინა. 8 (20) ოქტომბერს მოკავშირეთა ესკადრა ნავარინის ყურეში შევიდა, სადაც ოსმალეთ-ეგვიპტის სამხედრო ფლოტი იყო დისლოცირებული.

თურქებმა საფრანგეთის საფლავმანო ხომალდს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მოკავშირეებმა ცეცხლით უპასუხეს და ბრძოლა გაჩაღდა. ნავარინის ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტი მთლიანად განადგურდა, 7 ათასამდე თურქი დაიღუპა, მოკავშირეებს კი არც ერთი ხომალდი არ დაუკარგავთ.

ოსმალეთის ფლოტის განადგურებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა პორტას საზღვაო სიძლიერე და ხელი შეუწყო ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებას. სულთანმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პოზიციების შესუსტებას რუსეთს აბრალედა, ამიტომ მან გააუქმა რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მათ შორის აკერმანის კონვენცია, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ჩაკეტა და რუსულ საქონელს კონსტანტინოპოლში ემბარგო დაადო. ამასთან, იგი რუსეთთან ომისთვის გამალებულ მზადებას შეუდგა.

ოსმალეთი ამიერკავკასიის საზღვარზე — ყარსში, ბაიაზეთში, არზრუმში არტილერიასა და ჯარს უყრიდა თავს; გააძლიერა ანაპის, ფოთის, ახალქალაქის,

ახალციხის ციხეები. ოსმალეთი გამომწვევად აწყობდა სასაზღვრო ინციდენტებს და ომის პროვოცირებაზე მიდიოდა. რუსეთმა კონტრლონისძიებებს მიმართა. შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ბრძანება მიიღო, აფხაზეთისა და ანაპის სანაპირო ოსმალეთის მტრული მოქმედებისაგან დაეცვა.

იმავდროულად, რუსეთი ირანთან ომს წარმატებით ეწეოდა. 1827 წლის აპრილში კავკასიის კორპუსი საერთო შეტევაზე გადავიდა. 26 ივნისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა ნახიჭევანი აიღეს. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ირანმა ოსმალეთს მატერიალური და ფინანსური დახმარება სთხოვა. მართლაც, პორტამ ზაფხულსა და შემოდგომაზე ირანს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია. ინგლისიც საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა, რათა ირანის არმიას მძიმე მდგომარეობა გამოესწორებინა და წინააზიაში რუსეთის წარმატება შეეზღუდა, მაგრამ მდგომარეობის შემობრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. კავკასიის კორპუსის ნაწილებმა 1 ოქტომბერს ერევანი, ხოლო 31 ოქტომბერს თავრიზი აიღეს. ნოემბრის პირველ რიცხვებში რუსეთ-ირანის საზავო მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოსალოდნელი ომის მოლოდინში ირანი დროის გაჭიანურებას ცდილობდა.

მაშინ კავკასიის კორპუსი შეტევაზე გადავიდა, 1828 წლის 15 იანვარს ურმია, ხოლო 25 იანვარს არდებილი დაიკავა და ირანის დედაქალაქს, თეირანს, რეალური საფრთხე შეუქმნა. რუსეთის ჯარების წარმატებით შემფოთებული ინგლისის დიპლომატიის ჩარევით კატასტროფის წინაშე მდგარმა ირანმა ზავი ითხოვა.

1828 წლის 10 (22) თებერვალს, თავრიზის მახლობლად, სოფ. თურქმანჩაიში, საზავო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. თურქმანჩაის ზავით რუსეთის ხელში გადადიოდა ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები; რუსეთსა და

ირანს შორის ახალი საზღვარი მდ. არაქსზე გავიდა; ირანს დაეკისრა 20 მლნ მანეთი (ვერცხლით) კონტრიბუცია; რუსეთისა და ირანის სავაჭრო გემებს თავისუფალი ნაოსნობის უფლება ჰქონდათ კასპიის ზღვის აუზში, ამასთან, რუსეთს ჰქონდა უპირატესი უფლება კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა; რუს ვაჭრებს ირანში შეღავათები ენიჭებოდათ; თურქმანჩაის ზავი სცნობდა გულისტანის საზავო ხელშეკრულებით შემოერთებულ სახანოებზე რუსეთის უფლებებს. ამით ბოლო უნდა მოეღობოდა გაუთავებელ სასაზღვრო ინციდენტებს.

ამრიგად, რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ინგლისის მცდელობა, ირანის მეშვეობით განედევნა რუსეთი ამიერკავკასიიდან, მარცხით დამთავრდა. თურქმანჩაის ზავმა განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა ამ რეგიონში, ირანთან ომში გამარჯვებამ რუსეთს აღმოსავლეთი ამიერკავკასია მოუპოვა და მათ შორის ომებს ბოლო მოუღო. რუსეთის წარმატებამ, მისმა გაძლიერებამ აღმოსავლეთში შეაშფოთა ინგლისი, რომელიც ცდილობდა ირანი ძლიერ ბუფერულ სახელმწიფოდ გადაექცია და მისი მეშვეობით რუსეთისათვის ინდოეთისაკენ გზა ჩაეკეტა. ამასთან, „ნისლიანი ალბიონი“ ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთის ბატონობისათვის კავკასიაში ბოლო მოეღო.

ირანთან ომში გამარჯვებამ ცარიზმს საშუალება მისცა, ოსმალეთთან კონფლიქტი სამხედრო ძალით გადაექრა. წლების განმავლობაში ოსმალეთის ანტირუსულმა მოქმედებებმა რუსეთს „ენერგიული რეაქციის საბაბი“ მისცა. 1828 წლის 14 აპრილს იმ მოტივით, რომ ოსმალეთი საერთაშორისო კონვენციებს უხეზად არღვევდა, რუსეთმა მას ომი გამოუცხადა. ნიკოლოზ I-მა ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთთან ომის თაობაზე მანიფესტით ამცნო. მასში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ომს ეწეოდა არა ახალი

ტერიტორიების შესაძენად, არამედ არსებული შეთანხმებების შესრულების მიზნით.

საომარი მოქმედებები ორ ფრონტზე — ბალკანეთსა და კავკასიაში გაიშალა. რუსეთის ჯარის ნაწილების მხარდახარ კავკასიის ფრონტზე გმირულად იბრძოდა ქართველთა სახალხო ლაშქარი. კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები ივნისში დაიწყო და თავიდანვე რუსეთის ჯარის ნაწილების წარმატებებით წარიმართა. 23 ივნისს კავკასიის კორპუსის ჯარებმა ყარსი აიღეს, ხოლო შემდეგ, ქართველთა სახალხო ლაშქრის აქტიური მონაწილეობით, 15 ივლისს — ფოთი, 24 ივლისს — ახალქალაქი, 16 აგვისტოს — ახალციხე. რუსეთის ჯარის ნაწილების გვერდით აფხაზთა სახალხო ლაშქარიც იბრძოდა ჰასან-ბეი შარვაშიძის მეთაურობით. მას მაიორის ჩინი ებოძა, ხოლო ფოთის აღებაში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა ოქროს იარაღით, წარწერით „მამაცობისათვის“.

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებების პარალელურად, 12 ივნისს, რუსეთის ჯარის ნაწილებმა თურქთა მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი ანაპა დაიკავეს.

ამრიგად, 1828 წლის ზაფხულში ოსმალეთმა კავკასიის ფრონტზე მნიშვნელოვანი დარტყმა იგემა. პორტა შეეცადა, მდგომარეობა გამოესწორებინა, ამიტომ ფრონტის ახალი მთავარსარდალი დანიშნა, ჯარის ნაწილებიც გააძლიერა და შეეცადა, კავკასიაში ანტირუსული აჯანყება მოეწყო, მაგრამ ამ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ცარიზმი შეეცადა, ჩრდილოეთ კავკასიაშიც განემტკიცებინა თავისი გავლენა და ყარაჩაი, რომელიც ფორმალურად რუსეთის მფლობელობაში ითვლებოდა, რეალურად შეეერთებინა. ყარაჩაი მდებარეობდა იალბუზის ძირში, მდ. ყუბანის სათავეში. მის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის, რადგან ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალი გზები მას-

ზე გადიოდა. თავის დროზე, ყარაჩაიზე გავლენის გავრცელებას ანაპის ფაშას მეშვეობით ოსმალეთიც ცდილობდა და 1826 წელს პორტამ მოახერხა კიდევ მისი დაქვემდებარება. ამან აიძულა ცარიზმი, ეზრუნა, ყარაჩაის ფორმალური დამოკიდებულება რეალურად ექცია.

1828 წლის ოქტომბერში კავკასიის ხაზისა და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ემანუელი ყარაჩაისაკენ დაიძრა. 20 ოქტომბერს რუსეთის ჯარსა და ყარაჩაელებს შორის მდ. ხუდესის სათავეებთან ბრძოლა გაიმართა. მთიელები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. 21 ოქტომბერს რუსეთის ჯარმა მათ მთავარ აულს უბრძოლველად მიაღწია. 23 ოქტომბერს ყარაჩაელებმა გ. ემანუელს მორჩილება გამოუცხადეს, იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლაზე ფიცი დადეს და მძევლები მისცეს. **ამრიგად, ყარაჩაი რუსეთს შეუერთდა. აქედან მოყოლებული ყარაჩაელებს კავკასიის ომში მონაწილეობა თითქმის არ მიუღიათ და ამიერიდან „მშვიდობიან მთიელებად“ ითვლებოდნენ.**

1829 წლის ზაფხულში დუნაის არმიამ და კავკასიის კორპუსმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს, რამაც ომის ბედი გადაწყვიტა. ყარსის, ბაიაზეთისა და ახალციხის საფაშოების დაკავების შემდეგ, 1829 წლის ზაფხულში კავკასიის კორპუსი აღმოსავლეთ ანატოლიის სიღრმეში ღრმად შეიჭრა და 27 ივნისს ოსმალეთის მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არზრუმი აიღო. მალე ბრძოლები ტრაპიზონის მიმართულებით გაჩაღდა. აგვისტოში დუნაის არმიამ ადრიანოპოლი აიღო და სტამბოლს რეალური საფრთხე შეუქმნა. რუსეთის ჯარის წარმატებებმა არამარტო სულთანნი, არამედ ინგლის-საფრანგეთიც შეაშფოთა. ისინი დივანისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ, სასწრაფოდ დაედო ზავი.

1829 წლის 14 სექტემბერს ადრიანოპოლში, ოსმალეთის სულთანთა ძველ სასახლეში, რუსეთსა და



ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ადრიანოპოლის ზავით კავკასიაში რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე ციხეებით: ანაპა და ფოთი; ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილი — სამცხე-ჯავახეთი ძველი ქართული ქალაქებით: ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყურის და სხვ. ოსმალეთი ცნობდა რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აგრეთვე, ერევნისა და ნახიჭევანის სახანოების შეერთებას, რასაც ადრე თურქმანჩაის ზავი ადასტურებდა. პორტამ კვლავ დაადასტურა რუსეთისათვის ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობისა და საკონსულო იურისდიქციის უფლება; ის ბოსფორს და დარდანელსაც თმობდა თავისუფალი ნაოსნობისათვის; ოსმალეთს დაეკისრა, აგრეთვე, კონტრიბუცია — 33 მლნ მანეთი ოქროთი; ხელშეკრულებამ დაადასტურა დუნაის

სამთავროების — მოლდავეთისა და ვლახეთის, აგრეთვე, სერბეთის ავტონომია; ოსმალეთმა ცნო საბერძნეთის ავტონომია. სულ მალე კი, 1830 წლის 3 თებერვალს საბერძნეთი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ადრიანოპოლის ზავი რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. მან უზრუნველყო რუსეთის პოზიციების განმტკიცება კავკასიაში, ხოლო ოსმალეთი კარგავდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენას ამ მხარეში. ადრიანოპოლის ზავით „ბრწყინვალე პორტა“ უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიაზე რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე და მათ „რუსეთის იმპერიის სამუდამო მფლობელობაში“ ცნობდა. ამ ტერიტორიებში შედიოდა დასავლეთ კავკასიაც, რომელიც, მართალია, ოსმალეთის მფლობელობაში არ იყო, მაგრამ მასზე

„ბრწყინვალე პორტას“ პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა. ოსმალეთის ეს ნომინალური გავლენა იმით იყო გამოწვეული, რომ სულთანი ყველა მუსლიმანის, მათ შორის, კავკასიელი მთიელების უზენაეს მფარველად და მბრძანებლად ითვლებოდა. პოლიტიკურად ისინი სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით ცნობდნენ სულთნის უზენაესობას. ამდენად, თუმცა ოსმალეთმა დასავლეთ კავკასია რუსეთის მფლობელობაში ცნო, ეს მხარე რუსეთს ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა. სანამ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიას, მათ შორის, ყუბანის მხარეს არ დაიპყრობდა, მისი ბატონობა სამხრეთ კავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა. ამრიგად, XIX საუკუნის 20-იან წლებში, რუსეთმა „აღმოსავლეთის საკითხის“ თავის სასარგებლოდ გადაჭრაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“

დიდი მხედართმთავარის, სწორუპოვარი გმირის, ქრისტიანობისათვის წამებული რაინდის, წმინდა შალვა ახალციხელის ბედი ძალიან ჰგავს საქართველოსას. იგი იყო სწორუპოვარი რაინდი, „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სარდალი, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ვაზირი, ერისთავთერისთავი.



1195 წელს შამქორის ბრძოლაში პირველი შეიჭრა მაჰმადიანთა კოალიციის სარდლობის ცენტრში და ხელთ იგდო მტრის უმთავრესი სიმბოლო — ხალიფას დროშა, რომლის ქვეშაც გაერთიანებული იყო თითქმის მთელი აღმოსავლეთი ერთი მიზნით — საქართველოს დასაქცევად. ხალიფას დროშა შალვა ახალციხელმა ფერხით დაუფინა საქართველოს მნათობს — თამარ მეფეს. ყოვლისა აღმოსავლისა, დასავლისა, სამხრისა და ჩრდილისა დედოფალმან ეს დროშა გელათის მონასტერს შესწირა. მას მერეც ყველა ბრძოლაში გამოიჩინა

თავი შალვა ახალციხელმა თავის ძმა ივანესთან ერთად. ბრძოლა კი ბევრი ჰქონდა საქართველოს. შალვა ახალციხელი საქართველოს სიმბოლოა, რომ არა შინა ღალატი, მას ვერავინ მოერეოდა. როგორც ჩვენი სამშობლო მუდამ ღალატის გამო ვარდებოდა სხვათა ტყვეობაში, ასევე სამხედრო სარდლობის ღალატის გამო ჩავარდა შალვა ახალციხელი მტრის ხელში, მისი ძმა კი მოიკლა. მერე ენამა შალვა ქრიატიანობისთვის, როგორც ენამებოდა ხოლმე ჩვენი სამშობლო ქრისტეს სარწმუნოებისთვის.



«საქართველო – ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული»

გამოჩენილი რუსი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი საქართველოს დიდი მეგობარი გახლდათ. 1913 წელს მოგზაურობისას გემზე ოლივერ უორდროპს გაეცნო, რომელმაც ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ წააკითხა. კ. ბალმონტი მოგვიანებით დაწერს: „ბედმა მარგუნა გზაში სიხარული. პირველსავე საღამოს გემზე რუსულად დამელაპარაკა ინგლისელი, რომელიც სადილად ჩემს პირისპირ იჯდა. იმის შემდეგ ტენერიფამდე, სადაც იგი მიდიოდა, მე და ის სულ რუსულად და ინგლისურად ვლაპარაკობდით. ეს იყო ოლივერ უორდროპი... მისტერ უორდროპის დას კარგად იცნობენ საქართველოში მცხოვრებნი. მან მშვენივრად თარგმნა ინგლისურად რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.



1913 წლის ზამთარში, პარიზში კ. ბალმონტს პაოლო იაშვილი ეწვია. რუსმა კოლეგამ ფრიად გაიხარა და ბოლოს ქართულად წაიკითხა „ვეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვეტები.

აი, როგორ აღწერს ამ შეხვედრას კ. ბალმონტის ქალიშვილი: „მთვლილდნადა, ორი თუ სამი მეგობრის თანხლებით, ჩვენთან ქართველი პოეტი იაშვილი მოვიდა. მან ბალმონტს მოზრდილი, ტყავი ჩასმული ზიჩის დიდებული ბრავიურებით დასურათებულ ნიგნი დაუტოვა... კარგად მახსოვს პაოლო, ახალგაზრდა, ელვანდური და ლამაზი. ისეთი გზებით ჰყვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომ მშვიდად ვერ იჯდა სკამზე... მის მიერ მოტანილი ნიგნი კი არ მოსცილებია ამის სამუშაო მაგიდას“.

პაოლო იაშვილთან შეხვედრამ კიდევ უფრო გაუღვივა საქართველოს ნახვის სურვილი ბალმონტს, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა: „მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ

**კონსტანტინე ბალმონტი:
ვთქვამ რა... საქართველოს, ვუკვნი
გულითად სულს ჩემი შემოქმედების
ყველა მეგობარს, როგლებას ვა მარჯვენ.**

რალაც ძალა განვებ მავნიანებდა, რომ ყველა ნანახი სილამაზის შემდეგ მინახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

ერთ-ერთი საუბრისას პოეტს ქართველი კოლეგისათვის უთქვამს: „ვერ წარმოიდგენთ, როგორის ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“.

როგორც კი გადაწყდა საქართველოში კ. ბალმონტის ჩამოსვლის საკითხი, პაოლო იაშვილმა თბილისში სასიხარულო ცნობა აფრინა, რომელიც გაზეთმა „თემმა“ 6 აპრილს გამოაქვეყნა. პაოლო იტყობინებოდა: „თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს. ამ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას „ოქანეთის“ — პოლინიზიაში მოგზაურობის

დროს შებრძოლ შთაბეჭდილებებზე... ეჭვი არ არის, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობით დაუხვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს“.

იმავე გაზეთში დაისტამბა კ. ბალმონტის რამდენიმე ლექსი პაოლო იაშვილის თარგმანით.

1914 წლის 10 აპრილს კონსტანტინე ბალმონტი თბილისს ეწვია. გაზეთი „თემი“ 14 აპრილს წერდა: „10 აპრილს საღამოს საქართველოს სამხედრო გზით ესტუმრა თბილისს რუსეთის გამოჩენილი მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი, რადგანაც ვერას გზით ვერ შეიტყვეს თბილისში, რადღეს უნდა ჩამოსულიყო პოეტი, ამიტომ შესაფერი დახვედრაც ვერ მოახყვეს... ჩვენი რედაქციის წარმომადგენელმა ნახა კ. ბალმონტი, დაეკითხა მას, იქნება იგი თავისუფალი თუ არა 12 აპრილს, რომ მიიღოს ქართველი საზოგადოების



მიპატიჟება. კ. ბალმონტმა სიხარულით მიიღო ეს ამბავი და თანხმობა განაცხადა. იმავე დღეს მოახდინეს თათბირი. გადაწყდა, რომ მეჯლისის მის პატივსაცემად გაიმართოს ახალ „კლუბში“ წერაკითხვის საზოგადოების, სიტყვაკაზმული საზოგადოების, დრამატული საზოგადოებისა და ფილარმონიული საზოგადოების სახელით. სამწუხაროდ, ვერ მოასწრეს ვერც აფიშების დროზე დასტამბვა, ვერც ყველა გაზეთში გამოცხადება. ამისდა მიუხედავად, დიდძალი საზოგადოება დაესწრო 12 აპრილს როგორც მეჯლისის, ისე ნადიმს“.

შეხვედრა შედგა. კონსტანტინე ბალმონტი დირექტორის ოფისში მოათავსეს. კიბეზე ასვლისას ქართველი ქალები ყვავილებს უფენდნენ ფეხქვეშ. ზაქარია ფალიაშვილის ლოტბარობით ფილარმონიული საზოგადოების გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები. ნაიკითხეს პოეტის ლექსები. შეხვედრა დამთავრდა ნადიმით, რომელსაც ასამდე კაცი დაესწრო და დილის 5 საათამდე გასტანა. ლხინის დროს პოეტს ძღვნად მიართვეს „ვეფხისტყაოსანი...“

შეხვედრაზე აკაკი წერეთელმა თბილისი სიტყვა წარმოთქვა: „მადლობა ღმერთს, ახლა მომრავლდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც გვპირდებიან გაზაფხულს, რომელიც ეკლებს კი არა, ყვავილებს მოგვიტანს. ერთ მათგანს ვხედავთ დღეს ჩვენ შორის — უაღრესად სიმპათიურ ინტელიგენტსა და გამოჩენილ პოეტს — კონსტანტინე ბალმონტს. მივესალმომთ, ბატონებო, მას, როგორც გაზაფხულის პირველ მერცხალს, ჩვენი გულითადი მრავალჟამიერთ“.

ერთი დეტალი: ერთხელ ქუჩაში ტიცინი ტაბიძის მეუღლე, ქალბატონი ნინო, მიდიოდა. იგი უცხო მამაკაცმა შეაჩერა:

— ქალიშვილო, გინდათ, ლექსები წაგიკითხოთ? — ჰკითხა უცხოზობმა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ იქნებ ჯობდეს, შინ გამომყვეთ, — იყო პასუხი...

მინვევა მიღებული იქნა. ის საღამო კონსტანტინე ბალმონტმა ნინოს სახლში გაატარა, მრავალი ლექსიც წაუკითხა. გამოთხოვების დროს მასპინძელმა ლარნაკიდან ყვავილები ამოიღო და მადლობის ნიშნად პოეტს მიართვეს.

მოსდა უცნაური რამ — თურმე ბალმონტს სასტუმროში მთელი საღამო ელოდებოდა ტიცინი ტაბიძე...

ორი კვირა დაჰყო თბილისში პოეტმა და უკან გაბრუნებისას წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებას. გაზეთი „თემი“ 28 აპრილს იტყობინებდა: „მგოსანი კ. ბალმონტი გაემგზავრა 24 აპრილს პეტერბურგს. 1 მაისს უკვე პარიზში იქნება. გულით და სულით სწუხდა, რომ ვერ მოახერხა უქეიფობის გამო დასავლეთ საქართველოში წასვლა. დაგვიტოვა მან შემდეგი წერილი: „მე ვაგათავე დიდი მოგზაურობა რუსეთში. ვკითხულობდი ლექციებს მრავალ ქალაქში, პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, რიგიდან დაწყებული თბილისამდე. მსმენელები არა მარტო თანაგრძნობას მიცხადებდნენ, არამედ ხშირად აღტაცებითაც მხვდებოდნენ, არსად ისე არ გამხარებია თანაგრძნობა, როგორც აქ, საქართველოს ლამაზ დედაქალაქში. მე მოხარული ვარ და ბედნიერი, რომ ქართველმა საზოგადოებამ გამომიცხადა ასეთი სიმპათია, მხოლოდ ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე, უქეიფობის გამო მენახა დასავლეთი საქართველო, მისი დედაქალაქი ქუთაისით, რომლის შესახებ გაგონილი მაქვს მრავალი რამ მიმზიდველი და რომელსაც უეჭველად ვნახავ შემდეგ, როდესაც მეორედ ჩამოვალ კავკასიაში. ვტოვებ რა ხვალ საქართველოს, ვუძღვნი გულითად საღამს ჩემი შემოქმედების ყველა მეგობარს, ვინც მე მზე მაჩუქა! კ. ბალმონტი, 1914 წლის 22 აპრილი, ტფილისი“.

კ. ბალმონტი რუსეთის გავლით პარიზში დაბრუნდა. კარგა ხანს აწვალებდა თბილისში ნანახი და განცდილი. ვერც ქართველების სიტბო დაივიწყა და დაიბადა ლექსი „საქართველო“:

**საქართველო! ცოცხლობს,
ცოცხლობს, ცოცხალია! —
მღერის თერგი და
არაგვიც ამას მღერის.
მე ეს მესმის, და მეც მჯერა,
მართალია.
და მამ, რისთვის, ვით ბალახი
ბინძურ მტვერის,
ვისიც გულში ცოცხლობს
მხოლოდ გრძნობა მტერის,
შბედავს კიდეც მოსვლას
წმინდა ქვეყანაში,
სადაც ხალხი ცხოვრობს
მზიურ ოცნებაში,
ვინც ტაძარში შედის,
იმას ეს ახსოვდეს:
ფრთხილად, როცა
სილამაზე შურს ითხოვდეს.
გაიგონეთ კრულვით თქმული
ჩემი ლექსი:
უმადლესსა ყურადღება
უმადლესი.**

პოეტი პარიზში გატაცებით შეუდგა რუსთაველის პოემის თარგმნას. 1915 წელს კი სამშობლოში დაბრუნდა. პოემის თარგმნისას რიგი პრობლემები წამოიჭრა. საჭირო გახდა ხანგრძლივი დროით თბილისში ჩამოსვლა. და აი, 1915 წლის 1 ოქტომბერს იგი საქართველოს დედაქალაქშია. ჩამოსვლის მეორე დღესვე შემოიარა თბილისი, იყო სიონში, ქაშვეთში, ლურჯ მონასტერში, ანჩისხატში, ნარიყალაზე, მთანმინდაზე, დიდუბის ეკლესიაში, მცირე ხნით „შეიხედა“ ქართველ მწერალთა კაფე „ქიმიერიონში“, ეწვია მცხეთას... 3 ოქტომბერს კი არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ლექციით წარუდგა შეკრებილთ, ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. თავისი გამოსვლის დასასრულს კ. ბალმონტმა თქვა: „როგორც ჰომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, რუსთაველიც საქართველოა... რუსთაველი ამ პოეტებზე მაღლა დგას, რამეთუ თავისი ჯადოქრობით იგი თვით ცხოვრებას აჯადოებს... მაღალი და სრულყოფილია იგი, რომელიც გნებავთ, ევროპულ გენიაზე, გნებავთ, სოფოკლე იყოს, გნებავთ, შექს-



პირი, და როგორც ცის აღმოსავლეთის ნაპირი, ყოველთვის მდიდარია თავისი საღებავებით, ვიდრე ცისა და დედამიწის შეხების წერტილი...

დარბაზი მონუსხულივით უსმენდა საყვარელ პოეტს. მოახლოებული ქარიშხლის მოლოდინში გაოცებული ბალმონტიც უტყვად შესცქეროდა ხმაგაკმენდილ დარბაზს. ერთი პირობა შიშმაც კი შეაკრთო, მაგრამ ეს მოხდა სულ რაღაც ერთ წუთში, მერე დარბაზი აიშალა და ტაშიც ნიაღვარივით მოსკდა. თბილისელებმა პოეტს საკუთარი ლექსების დეკლამირება სთხოვეს. კ. ბალმონტმა შორს დაიჭირა თხოვნა. აქაოდა, რუსთაველის შემდეგ რომელი პოეტი გაბედავს სცენაზე პირის გაღებასო. მაგრამ, რაკი საშველი აღარ მისცეს, ორად-ორი ლექსი — „საქართველო“ და „ტკივილების ელვარება“ წაიკითხა...

შეხვედრის დასასრულს მადლიერმა საზოგადოებამ სასურველ სტუმარს დაფნის გვირგვინით შემკული რუსთაველის პორტრეტი მიართვა. ალისფერ ბაფთაზე ქართულად ეწერა: **„კონსტანტინე ბალმონტს — ქართველები“**. რაკი შეხვედრაზე ბილეთები გაიყიდა, პოეტმა შემოსავლის ათი პროცენტი წმინდა ნინოს ლაზარეთს შესწირა. დასასრულს გაიმართა ბანკეტი. ამჯერად კ. ბალმონტს გვერდიდან არ მოსცილებია პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, ჰოვანეს თუმანიანი, ი. იმედაშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ლეონიძე.

საქართველოში მეორედ ჩამოსვლისას საპატიო სტუმარი დასავლეთ საქართველოშიც წაიყვანეს. ქუთათურებმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს, მოატარეს რაჭა-ლეჩხუმი, ჰყავდათ ფიათურაშიც. ქუთაისში ყოფნისას ი. მეუნარგიამ კ. ბალმონტს მის მიერვე ფრანგულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ მიართვა. 9 ოქტომბერს კ. ბალმონტი თბილისში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებული პოეტი დიდხანს მოგზაურობდა რუსეთის ძალაქებში



კონსტანტინე ბალმონტი ქუთაისში

და „რუსთაველის საღამოებს“ მართავდა.

დადგა ნანატრი დღეც — პოემის თარგმანი დასრულდა. კ. ბალმონტმა გადაწყვიტა, კვლავ სწვეოდა საქართველოს და განუულ მუშაობაზე ანგარიში ჩაებარებინა ქართველი ხალხისათვის. 1917 წლის ივნისში იგი ტ. ტაბიძესთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. რამდენიმე დღით ბორჯომსა და ნალვერსაც ეწვია. თბილისში იგი კვლავ წარუდგა ქართველ საზოგადოებას, წაიკითხა პოემის მისეული თარგმანის ნაწყვეტები.

ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ კ. ბალმონტი საქართველოს სამხედრო გზით მინერალურ წყლებზე გაემგზავრა, ხოლო მოსკოვში მიბრუნებულმა იმავე წელს საბაშნიკოვების გამომცემლობაში დასტამბა „ვეფხისტყაოსანი“.

შემდგომ წლებში პოეტის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა — სევდა დაეუფლა და დეპრესიამაც იმძლავრა. ხანგრძლივი დროით კალამიც გვერდზე გადადო, თუმცა 1920 წელს კინოსცენარი დაწერა „ვეფხისტყაოსანზე“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, კერძოდ, 1920 წელს განათლების სახალხო

კომისარს კ. ბალმონტმა პარიზში წასვლის ნებართვა სთხოვა. **პარიზისაკენ მიმავალი პოეტი ბერლინში „რუსთაველის საზოგადოების“ საპატიო წევრად აირჩიეს.**

საბედისწერო გამოდგა საზღვარგარეთ გამგზავრება — კ. ბალმონტის დიდი სურვილის მიუხედავად, იგი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ პოეტს დ. ხელაძემ შესთავაზა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის მეორედ გამოცემა. მართლაც, 1933 წელს პარიზში ზიჩის ილუსტრაციებით პოემა დაისტამბა, ხოლო 1933 წელს მოსკოვში გამოიცა. სამწუხაროდ, 1937 წელს მარტოსული კონსტანტინე ბალმონტი მოხუცთა თავშესაფარში მოხვდა და რუსეთის მინაზე დაკრძალვაზე მეოცნებე პოეტი 1942 წელს პარიზის მახლობლად, ნუაზა-ლეგრანში დაკრძალეს.

კონსტანტინე ბალმონტმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს. მან ერთ-ერთმა პირველმა აამეტყველა რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ და რუს ერს გააცნო ქართველი ხალხის განძი.

მამია ჩერბოლეიშვილი

„მხედრები“, XIX საუკუნის მიწურული



საქართველოს მხატვარი — ვლადისლავ სტანოვსკი (1852-1932)

რუსი და პოლონელი ფერმწერი ვლადისლავ სტანოვსკი დაიბადა 1852 წელს კასპიის ზღვის სანაპიროს ერთ პატარ სოფელში. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და 1879 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1880 წელს მიიღო ორი ვერცხლის მედალი, ხოლო

1881 წელს ორი ვერცხლისა და ერთი ნამახალისებელი მედალი. ამის შემდეგ რაღაც დროის განმავლობაში სწავლობდა ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ისე, რომ სწავლა არ დაუმთავრებია, ამერიკაში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა ჯერ მშენებლად, შემდეგ — ფერმერად

და მხატვრად. სწავლობდა ნიუ იორკში, განიცდიდა ინგლისელი მარინისტების შემოქმედების გავლენას, ხშირად მოგზაურობდა ზღვით.

1880 წლის ბოლოს ის რუსეთში დაბრუნდა და სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1889 წელს დაასრულა პეიზაჟური ფერწერის განხრით. 1890 წელს დაბრუნდა თბილისში, სადაც მონაწილეობა მიიღო არა ერთ გამოფენაში, ხოლო 1899 წლიდან დაიწყო მასწავლებლობა. 1904 წელს ერთი წლით მიუნხენში გაემგზავრა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ კი საცხოვრებლად პოლონეთში გადავიდა, სადაც ვარშავასა და კრაკოვში დროდადრო აწყობდა თავისი ნამუშევრების გამოფენას. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს პეიზაჟებს. ამდენად, ის საინტერესოა ჩვენთვის, როგორც საქართველოს კიდევ ერთი მხატვარი.



„თერგის სანაპიროზე“, 1904 წ.

დარბის კრიზისიდან გამომდინარე, ჩინეთიდან უნდა შემოვიტანოთ მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხიანი კიმინის სახესხვაობის ჩაის თესლი და შედეგადად შევქმნიოთ მრეწველობის, საფაბრიკოსო, იმპორტის და აჭარის მცხოვრებლებს.





ვლადისლავ სტახინოვიჩი — „თერგის სანაპიროზე“, 1904 წ.

ISSN 1987-5908



9 1771987 159000 6